



ტყიბულელ ქალთა ცხოვრების, ურობისა და მიგრაციის თავისებურებები

ალექსანდრა არომვილი

ტყიბულელ ქალთა ცხოვრების, შრომისა და
მიგრაციის თავისებურებები



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

კვლევის ავტორი: ალექსანდრა აროშვილი

კვლევის ხელმძღვანელები: თათული ჭუბაბრია, გიორგი ცინცაძე

ფოტოს ავტორი: ნიკოლოზ თაბუკაშვილი, გადაღებულია 2015 წელს, "საქნახშირში".
ფოტოზე გამოსახულია ხათუნა შარვაძე, "საქნახშირის" თანამშრომელი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ წერილობითი ნებართვის გარეშე. ©

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge>

info@socialjustice.org.ge

www.facebook.com/socialjustice.org.ge

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი ცდილობს აღწეროს საქართველოს მონოინდუსტრიულ, ქვანახშირის მომპოვებელ ქალაქ ტყიბულში მცხოვრებ ქალთა შრომასთან და შრომის ბაზარზე მონაწილეობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. თუმცა, უშუალოდ დასაქმების/უმუშევრობის გარდა, ის ცდილობს დააკვირდეს ტყიბულში ქალთა ცხოვრებას ზოგადად, მათ ძირითად გამოწვევებსა და საჭიროებებს, რაც, ერთი მხრივ, ქალაქის მთელ რიგ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ თავისებურებებზე გვესაუბრება, მეორე მხრივ კი უფრო ფართო, გლობალურ და ეროვნულ დონეზე არსებულ სტრუქტურულ გამოწვევებსა და ფაქტორებზე, რომლებიც გარდაუვლად მოქმედებს ტყიბულელ ქალთა ცხოვრებასა და შრომაზე.

ადგილზე წარმოებული სავსე სამუშაოებითა და მოპოვებული რაოდენობრივი თუ თვისებრივი მონაცემებით, ნაშრომი ცდილობს, ააგოს ტყიბულში ამჟამად მოქმედი ქალთა შრომითი ბაზარი, მისი დემოგრაფიული, სექტორული განაწილება და განვითარების პერსპექტივები; სამუშაო ადგილების სპეციფიკა, ანაზღაურებისა და შრომითი პირობების თავისებურებები; ტყიბულელ ქალთა სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და მენტალური ცხოვრების ძირითადი ასპექტები და თავისებურებები, ქალთა თაობებს შორის არსებული განსხვავებები როგორც ეკონომიკასა და სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობისა და აქტიურობის, ისე ზოგადი შეხედულებების თვალსაზრისით; ქალაქში არსებული ზოგადი სოციალური კრიზისი, რომელიც გარკვეულწილად სწორედ ქალთა დასაქმების კონკრეტულ ტიპზე - შრომითი მიგრაციის შედეგებზე დგას; ტყიბულიდან ემიგრირებულ ქალთა შრომის მნიშვნელობა და მასშტაბი, ისევე, როგორც ამ პროცესის უშუალო და ირიბი შედეგები.

გარკვეული პერიოდით ქალაქში ცხოვრებისა და უამრავ ადამიანთან საუბრის, ქალაქის საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შედეგად, ჩემთვის ცალსახად გამოიკვეთა, რომ მტკიცება, რომლის თანახმადაც ტყიბული მთლიანად დამოკიდებულია მხოლოდ შახტაზე და მეშახტეთა ხელფასზე, ვერ ხედავს ქალაქის ფორმალური თუ არაფორმალური ეკონომიკის გარეთ არსებული შრომის უზარმაზარ ჯაჭვს - ქვეყნის გარეთ სამუშაოდ ემიგრირებული ქალების მიერ მიღებული შემოსავლების მასშტაბსა და გარდამტეხ მნიშვნელობას ქალაქის სოციალური და ეკონომიკური სიცოცხლის შენარჩუნებისთვის. ამ ფენომენის გათვალსაზრისების მცდელობით, კვლევა ადგენს, რომ ტყიბულელ ქალთა უდიდესი ნაწილი შრომის ბაზარზე მონაწილეობს არა ადგილობრივ დონეზე, არამედ მის გარეთ; რომ ამ და სხვა მახასიათებლებით, რაც ქალების ყოველდღიური ცხოვრების სხვა გამოწვევებიდან დგინდება, ტყიბული წარმოადგენს ტიპიურ „კუმშვად ქალაქს“, სადაც ადგილობრივად გაწეული მძიმე ფიზიკური შრომა თუ ქვეყნის გარეთ მიგრანტ ქალთა მძიმე ფიზიკური და ემოციური შრომა ისევ რესურსებისგან დაცლას - ახალგაზრდათა ქალაქიდან გადინებას ემსახურება. ნაშრომის მტკიცებით, ეს უკანასკნელი ფენომენი ამწვავებს ადამიანთა სპეციფიკურ დამოკიდებულებას საკუთარი ქალაქისადმი, ქალთა დამოკიდებულებას საკუთარი თავებისადმი და შვილებისადმი, როგორც, კონკრეტულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობებს, რომელიც მათ მეტნაკლებად პასიურ მოქალაქეებად აქცევს.

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომი წარმოადგენს თვისებრივი მეთოდებით წარმოებულ კვლევას ტყიბულელ ქალთა ცხოვრების, შრომისა და მიგრაციის ძირითადი თავისებურებების შესახებ, რისთვისაც განხორციელდა ქალაქში სავსელე სამუშაო, მომზადდა სამაგიდე კვლევა და ჩატარდა 16 სიღრმისეული ინტერვიუ ტყიბულში მცხოვრებ თუ ტყიბულიდან ემიგრირებულ ქალებთან.

ინტერვიუების ფარგლებში შესწავლილ იქნა სხვადასხვა ტიპის სამუშაო ადგილებზე დასაქმებულ ქალთა, დიასახლისთა და ემიგრანტ ქალთა:

- დასაქმების, ანაზღაურებისა და შრომის პირობების საკითხები;
- განათლებისა და პროფესიით დასაქმების შესაძლებლობის საკითხები;
- თვითრეალიზაციის, დაწინაურებისა და კარიერული წინსვლის, პროფესიული განვითარების შესაძლებლობების საკითხები;
- საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო პირობები და საშუალებები;
- მიგრაცია და მიგრაციის შედეგები;
- ძირითადი საზოგადოებრივი შეხედულებები და დამოკიდებულებები; ქალაქის პრობლემების მიმართ დამოკიდებულებები; ქალთა საჭიროებების მიმართ დამოკიდებულებები;
- სხვა ძირითადი საჭიროებები და გამოწვევები.

რესპოდენტთა შერჩევა განხორციელდა შემდეგი სამი კრიტერიუმის გათვალისწინებით:

1. **ასაკობრივი დიაპაზონი:** ინტერვიუები ჩაიწერა თითქმის ყველა თაობის ქალთან;
2. **ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზარი, რომელიც ასაქმებს ტყიბულელ ქალებს:** ინტერვიუები ჩაიწერა ყველა იმ ძირითად სფეროში დასაქმებულ ქალთან, რომელიც შეადგენს ადგილობრივ შრომით ბაზარს, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში; როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური დასაქმების შემთხვევაში; ასევე, ინტერვიუები ჩაიწერა მიგრანტ ქალებთან იტალიასა და თურქეთში.
3. **სოციალური მდგომარეობა:** ინტერვიუები ჩაიწერა როგორც ყველაზე დაბალანაზღაურებად და დაბალ პოზიციებზე მომუშავე ქალებთან, ისე საშუალო რგოლისა და ხელმძღვანელ პოზიციებზე მყოფ ქალებთან; ასევე, კერძო მეწარმე ქალებთან.

ასაკობრივი დიაპაზონი, რომელიც ფარავს გამოკითხულ რესპოდენტებს:

15-19	20-24	25-30	30-35	35-39	40-44	50-54	55-59	60-64
-------	-------	-------	-------	-------	-------	-------	-------	-------

დასაქმების ადგილები, რომელიც ფარავს გამოკითხულ რესპოდენტებს:

- საქნახშირი
- სამკერვალო ფაბრიკა
- სამკერვალო ატელიე
- მუნიციპალიტეტის მერია
- ა.ა.ი.პ კულტურის ობიექტთა გაერთიანება
- საჯარო სკოლა
- საბავშვო ბაღი
- ბანკი
- საცხოვრი
- საკონდიტრო
- სამეურნეო მაღაზია
- ქსელური სუპერმარკეტი
- კერძო ოჯახები იტალიაში
- კერძო ოჯახი თურქეთში

კვლევის მონაწილეებთან შეთანხმებით, მათი კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველსაყოფად, კვლევაში შეცვლილია რესპოდენტთა სახელები. გარდა ამისა, რესპოდენტთა იდენტიფიცირების თავიდან აცილების მიზნით, კვლევაში განგებ არ არის გამოყოფილი ცხრილი, თუ რომელი რესპოდენტი შეესაბამება რომელ დასაქმების ადგილს. ყოველი ციტატის ბოლოს, შეცვლილი სახელების გვერდით მიწერილია რესპოდენტთა რეალური ასაკი.

სამაგიდე კვლევა განხორციელდა ორი მიმართულებით: რაოდენობრივი, სტატისტიკური მონაცემების მოპოვებითა და დამუშავებით და კვლევისთვის რელევანტური ლიტერატურის მოძიებითა და მიმოხილვით.

რაოდენობრივი მონაცემების თვალსაზრისით დამუშავდა როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაცია, ისე ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან მიღებული ინფორმაცია;

ლიტერატურის მიმოხილვისას გამოყენებულ იქნა რამდენიმე ძირითადი თეორიული ჩარჩო და სამეცნიერო სტატია, რომლებიც აღწერენ: გლობალიზებული ეკონომიკის პირობებში, განვითარებად ქვეყნებიდან და პოსტ საბჭოთა ქვეყნებიდან ქალთა შრომას და მიგრაციას; მსოფლიოში დღეს მიმდინარე სოციალური კლავწარმოების კრიზისის ფენომენს; მსოფლიოში დღეს მიმდინარე ურბანული „შეკუმშვისა“ და გარკვეული ქალაქების ყველა რესურსისგან დაცლის ფენომენს.

საველე სამუშაოები მოიცავდა გარკვეული პერიოდით ტყიბულში ცხოვრებას, ძირითადი საყოფაცხოვრებო პირობებისა და გამოწვევების საკუთარ თავზე გამოცდასა და აღქმას,

საქალაქო ინფრასტრუქტურასა და სივრცეებზე დაკვირვებას, ასევე სხვადასხვა ადამიანებთან, მათ შორის მემახტეებთან, მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან, მოზარდებთან საუბრებსა და შეხვედრებს.

შესავალი

არსებობს უამრავი საკითხი, რომელიც შეგვიძლია, მხოლოდ თემატური ჩარჩოს ფარგლებში ვიკვლიოთ. მაგალითად, ასეთი საკითხი შეიძლება იყოს რომელიმე კონკრეტულ ქალაქში, მაგალითად ტყიბულში - რომელიმე კონკრეტული სოციალური ჯგუფის, მაგალითად ქალების - სოციალური ცხოვრების რომელიმე კონკრეტული მიმართულების, მაგალითად შრომის სპეციფიკა და ამ სპეციფიკის რაიმე კონკრეტული ასპექტები - მაგალითად, ის ძირითადი წინაღობები, რაც, შესაძლოა, ხელს უშლიდეს მათ ეკონომიკურ აქტივობას - შრომის განხორციელებას. თუმცა, დღევანდელი გლობალიზებული ეკონომიკა, მთელი თავისი საერთაშორისო წესრიგით: შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილებით,¹ პერიფერიული და ცენტრალური ეკონომიკებით, ერი-სახელმწიფოსა და საჯარო ინსტიტუტების კრიზისით, პოსტ-საბჭოთა ქალაქების გადატაკებით, სიღარიბის ფემინიზაციით, თანამედროვე მიგრაციული მოძრაობებითა თუ არსებული საინფორმაციო-ტექნოლოგიური შესაძლებლობებით იმაზე დიდ და პირდაპირ გავლენას ახდენს დღეს მსოფლიოში ცალკეულ ქალაქებში მიმდინარე პროცესებზე და იქ ადამიანების ცხოვრებაზე, ვიდრე აქამდე, ოდესმე ახდენდა ისტორიაში.

განვითარებად თუ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ ადგილობრივი მკვლევარების მიერ განხორციელებული კვლევებისა და ანგარიშების დიდი ნაწილი ამ ქვეყნების მოსახლეობების პრობლემებს ხშირად მხოლოდ მათ ვიწრო თემატურ არეალში იკვლევს და იშვიათად საუბრობს იმ სტრუქტურულ და გლობალურ უსამართლობებზე, რომელთა აღიარების გარეშეც, შეუძლებელია, ერთი მხრივ, ამ პრობლემათა სიღრმისეული გააზრება, მეორე მხრივ კი ისეთი ინიციატივებისა თუ პოლიტიკების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც საგრძნობლად გააუმჯობესებდა მდგომარეობას მოცემულ პრობლემასთან მიმართებაში.

სწორედ იმიტომ, რომ ამ ქვეყნების მოსახლეობებისა თუ მისი ცალკეული ქალაქების მაცხოვრებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული საჯარო, კერძო თუ აქტივისტური ინიციატივების უმეტესობა ჯერ კიდევ თვალს ხუჭავს სტრუქტურულ ძალადობაზე, იმით, რომ ხშირად გვერდს უვლის ზემოთაჩამოთვლილი ფენომენების სხვადასხვა პრობლემათა გამომწვევ ფუნდამენტურ მიზეზებად აღიარებას, ისინი ან არაეფექტურნი აღმოჩნდებიან ხოლმე აღნიშნულ პრობლემათა გადაწყვეტაში (როგორც მსგავს ქვეყნებსა და ქალაქებში ადგილობრივ მთავრობებსა და საჯარო ინიციატივებს ემართებათ) ან რაიმე პრობლემასთან მიმართებაში სტანდარტული გზამკვლევებისა და ჩარჩო-დისკურსების

¹ იგულისხმება 1970-იანი წლებიდან დაწყებული შრომის საერთაშორისო დანაწილების გადაწყობა, რომლის ფარგლებშიც წარმოების პროცესი განვითარებულმა ქვეყნებმა გადაიტანეს განვითარებად ქვეყნებში. ამ ტერმინის კონვენციური გაგების ფემინისტური კრიტიკა ამბობს, რომ წარმოების გადატანასთან ერთად, ამ დროიდან იწყება კვლავწარმოების ადგილმონაცვლეობაც: განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში უფრო და უფრო მეტად გადადის კვლავწარმოების შრომა - მიგრანტი ქალების სახით.

შეთავაზებით სრულიად გაუცხოებულები ჩანან ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ვერ ახერხებენ მათი რეალური საჭიროებების დადგენასა და მოხელთებას, რაც ხშირად ემართებათ სხვადასხვა საერთაშორისო თუ ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციებს; ამ აქტივობათა შედეგები, ძირითადად ცალკეული პირებისთვის მიიღწევა ან ერთჯერადი დახმარებების ხასიათი აქვს - ინდივიდუალური გამძლეობებისა და საქველმოქმედო პროგრამების სახით, რაც არაერთი ადამიანის ცხოვრებას ხშირად მნიშვნელოვნად ცვლის სასიკეთოდ, თუმცა ვერ იწვევს საერთო გაუმჯობესებებს, რაც საგრძნობლად შეცვლიდა ამა თუ იმ ვითარებას.

იმისთვის, რომ ქალაქ ტყიბულში ქალთა შრომით ბაზარზე მონაწილეობის მთავარი წინააღმდეგობები ვიკვლიოთ, პირველ რიგში უნდა შევხედოთ ქალაქში დღეს არსებულ შრომის შესაძლებლობებს და მის ძირითად მახასიათებლებს, რაც უპირველესად ქვანახშირის წარმოებასა და ქალაქში „მემახტეთა“ ხელფასის მნიშვნელობასთან მიგვიყვანს. თუმცა, ქვანახშირის წარმოება და მისი სამუშაო ძალის მკვეთრად გამოხატული გენდერული ხასიათი ვერ გამოგვადგება ქალთა დასაქმების სერიოზულ წინააღმდეგობად დასახვისთვის, ვინაიდან ტყიბულს ქვანახშირის გაცილებით გაფართოებული წარმოების პირობებში - წარსულ პერიოდებში ალტერნატიულ სამუშაო ადგილებზე ქალთა დასაქმების მდიდარი ისტორიული გამოცდილება აქვს.

დამოკიდებული საქართველოს ისტორიაში, ტყიბულში ქალთა ცხოვრება იშვიათად თუ ხდება ვინმეს ინტერესის საგანი. იმის გამო, რომ ტყიბული „მემახტეების ქალაქია“, ხშირად მიიჩნევა, რომ ქალები ტყიბულში ან არ მუშაობენ ან მათ შრომას რაიმე განსაკუთრებული მახასიათებელი არ აქვს. წინამდებარე ნაშრომით ვცდილობ წარმოვაჩინო, რომ ეს განსაკუთრებული მახასიათებელი ქალაქის პირდაპირი და სპეციფიკური კავშირია მიგრანტთა შრომის გლობალურ ბაზართან; რომ თუ კონკრეტულად არ დავაკვირდით, რით ცოცხლობს ქალაქი მემახტეთა ხელფასისა და ზოგადად შახტის მიერ შექმნილი ადგილობრივი ეკონომიკის „კარკასის“ გარდა; არა მხოლოდ ეკონომიკურად, არამედ სოციალურად; თუ კონკრეტულად არ დავინახეთ, როგორ ნაწილდება მისი შენახვის ტვირთი კაცებსა და ქალებზე და რა არსებით ფენომენებს ვაწყდებით აქ, რაც მათ ერთმანეთისგან აშორებს და სრულიად სხვადასხვა ტიპის, ორივე შემთხვევაში ტრაგიკულ და ბრუტალურ შრომაში რთავს, ჩვენ ვერ დავინახავთ ტყიბულს მის დღევანდელი მდგომარეობაში, მის ნამდვილ, მოქმედ სახესა და რეალურ გამოწვევებს, რომლებიც არამხოლოდ სიღარიბეს და უმუშევრობას აღწერს, არამედ ასევე განსაკუთრებულ უიმედობას, აპათიას და ქალაქში მომავლის ქონის შეუძლებლობის განცდას, რომელიც ქალაქის სულისკვეთებად იქცევა. ეს მდგომარეობა და განცდა, თავის მხრივ, ქალაქის ეკონომიკური სიცოცხლის დეგრადაციაში განსხეულდება - ახალგაზრდების აბსოლუტური უმრავლესობა ქალაქს სკოლის დამთავრებისთანავე ტოვებს, მემახტეები ვერ ახერხებენ ორგანიზებულ წინააღმდეგობას ხელფასების რეალური ზრდისა და შრომითი პირობების ხელშესახები გაუმჯობესებისთვის, ხოლო ქალაქი ვერ ახერხებს მათთვის ქმედითი სოლიდარობის გაწევას.

შეიძლება ითქვას, დღეს ტყიბული იმყოფება არატიპიური განვითარების ეტაპზე, რომელსაც ვერც ტრანზიციულს დავარქმევთ და ვერც ფიქსირებულს; ის ეკონომიკურად, სოციალურად და კულტურულად სპეციფიკურად მუტირებულია და საჭიროებს განსაკუთრებულ და ფაქიზ დაკვირვებას, რომელიც დაამსხვრევს მსგავსი ქალაქების შესახებ არსებულ ზოგად საზეპიროებს - როგორც ეკონომიკური ზრდის ბუნდოვან იმპერატივსა და მხოლოდ ტურიზმის განვითარებაზე ორიენტირებულ, ნეოლიბერალური სახელმწიფოს მემარჯვენე საზეპიროებს დაბალბიუჯეტური ქალაქის შესახებ, ისე - მხოლოდ ქვანახშირის მოპოვებელ ინდუსტრიაზე დამოკიდებულებისა და მშრომელთა ორგანიზების შესახებ არსებულ მშრალ მემარცხენე საზეპიროებს, რომლებიც ხშირად ასევე ზარმაცია, დაინახოს ან მშრომელთა ორგანიზების რეალური წინაღობები, ან ქალაქში მიმდინარე სხვა სოციალური და ეკონომიკური პროცესები და მათი მნიშვნელობა და მასშტაბები, როგორცაა, მაგალითად, დღევანდელ, გლობალიზებულ ეკონომიკაში ქალაქ ტყიბულის მონაწილეობის ძირითადი როლი - ქალაქიდან ადამიანური რესურსის და განსაკუთრებით, ქალების ექსპორტის ფენომენი.²

დღევანდელი, სპეციფიკურად დეფორმირებული ტყიბულის ეკონომიკური, საზოგადოებრივი და კულტურული იერსახის გააზრების ერთადერთ რეალურ მეთოდად სწორედ მისი ცხოვრების იმ სფეროზე დაკვირვებას მივიჩნევ, რომელიც ზემოთნახსენებ ზედაპირულ წარმოდგენათა მიღმა, ისტორიულად ყოველთვის ააშკარავებდა დამალულ, მთლიან სურათს. სწორედ ასეთი საკითხია ისტორიულად ქალთა შრომა და ქალთა შრომის განსაკუთრებული ხასიათი, რომელზე დაკვირვებაც ამ შემთხვევაში გვაჩვენებს, რომ ტყიბული დღეს ქვანახშირის მწარმოებელი ქალაქის გარდა, ასევე „მიგრანტთა მწარმოებელი“ ქალაქიცაა, გვევლინება რა ახალგაზრდა თუ საშუალო ასაკის ქალების მიმწოდებლად გლობალური ზრუნვის შრომის ბაზარზე. წინამდებარე კვლევის მიხედვით, ქალთა ამ აქტივობას ძირითადი თუ არა, ძალზე მნიშვნელოვანი კონტრიბუცია შეაქვს ქალაქის ეკონომიკური და სოციალური სიცოცხლის კვლავწარმოებაში.

გარდა ამისა, ტყიბულელ ქალთა ცხოვრებისა და შრომის ბაზარზე მონაწილეობის თავისებურებების სიღრმისეულად გასაგებად, ვფიქრობ, საჭიროა ავაგოთ ამ ქალაქში ქალთა ცხოვრების მთლიანი სურათი, რაც არა მხოლოდ მათ ადგილობრივ თუ ქვეყნის გარეთ ეკონომიკურ აქტივობასა და შემოსავლებს დაითვლის, არამედ გააანალიზებს ამ ეკონომიკური აქტივობების ზოგად ხასიათს, მათ გამოძწევს; თანმდევ და მახასიათებელ სიმპტომებს და შედეგებს არამხოლოდ ეკონომიკურად, არამედ სოციალურად, ემოციურად, მენტალურად და საზოგადოებრივად. ამისთვის, ჩვენ თავად ქალაქის, როგორც აწმყოში მოცემული ეკონომიკური, საზოგადოებრივი, ინფრასტრუქტურული, კულტურული თუ მენტალური პორტრეტის აგება დაგჭირდება, რომელიც თავს დააღწევს ქალაქის გააზრებას, როგორც

² Lindio-McGovern, Ligaya. "Labor export in the context of globalization: The experience of Filipino domestic workers in Rome." *International sociology* 18, no. 3 (2003)
Federici, Silvia. "Women, globalization and the international women's movement." *Canadian Journal of Development Studies/Revue canadienne d'études du développement* 22, no. 4 (2001)

წარსულის ანარეკლის, როგორც წარსულის ნანგრევის ან ნარჩენისა, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაშია აღქმადი, თუ მას მისსავე წარსულთან შევადარებთ.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული პერიოდიზაცია მნიშვნელოვანია ტყიბულის დღევანდელი ყოფის გააზრებისთვის - როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში სხვადასხვა ფაზების: 90-იან წლებში შახტის დახურვის, 2006 წელს შახტების პრივატიზაციისა და გახსნის, 2016 წლის მშრომელთა გაფიცვის და მისი შემდგომი ფაზის ანალიზის თვალსაზრისით; ისე საბჭოთა ტყიბულის წარმოდგენისთვისაც, რომელთან შეპირისპირებაშიც განიხილება ხოლმე ეს დანარჩენი - მოცემული ნაშრომი მის დანახვას პირველ რიგში მიმდინარე ცხოვრებაში ცდილობს, რათა ქალაქს კიდევ ერთხელ არ მივაკეროთ მხოლოდ ტიპიური, გადარიბებული პოსტ-საბჭოთა მონოინდუსტრიული ქალაქის იარლიყი, რაც ახალს არაფერს გვეუბნება. ჩემი რწმენით, ტყიბულის დღევანდელი მდგომარეობის, ისევე როგორც ამ მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების ანალიზი სწორედ აწმყოს სიღრმისეული გააზრებით და ამ მდგომარეობის შეძლებისდაგვარად ბოლომდე წვდომიდან უნდა დავიწყოთ, რომელშიც ის დღეს, ამჟამად იმყოფება.

ყოველივე ზემოთქმულის შესაბამისად, კვლევის მიმდინარეობისას ვეცადე, აღმექვა ქალაქი ისეთად, როგორც ის დღეს არის, ისტორიული განვითარების ეტაპების ჩვენებისა და ამ პერიოდიზაციათა ძირითადი ამხსნელი თეორიების პირდაპირ გამოყენების გარეშე, რაშიც განსაკუთრებით სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის, სოციალური მდგომარეობის ქალებთან სიღრმისეული საუბრები დამეხმარა. ვფიქრობ, სწორედ დღევანდელ, მოქმედ ტყიბულში მცხოვრებ ქალთა შრომის სპეციფიკა გვაჩვენებს, თუ რა გლობალურ ეკონომიკურ პროცესებზეა ქალაქი ამჟამად რეალურად მიერთებული და რა მტკიცებულებები საზოგადოებრივი პროცესები მიმდინარეობს მასში, რომლებიც ტყიბულს ყოველგვარი რესურსისა თუ სიცოცხლისგან ცლის და რომელიც ქალაქში მძიმე სოციალური კვლავწარმოების კრიზისში ვლინდება.

აღნიშნულ ნაშრომში ინტერვიუების მეშვეობით ვასაბუთებ, რომ ტყიბულში ქალთა შრომის ბაზარზე მონაწილეობის საკითხი და მიმდინარე სოციალური კვლავწარმოების კრიზისი დაკავშირებულია ორ დიდ გლობალურ პროცესთან, რომელთა სიღრმისეული გააზრების გარეშეც შეუძლებელი იქნება ტყიბულელ ქალთა უმთავრეს სოციალურ, ეკონომიკურ თუ მენტალურ გამოწვევებს და შესაბამისად, ქალაქში არსებულ სხვადასხვა კრიზისებს ჩავწვდეთ და მათი ფუნდამენტური მიზეზები გავიგოთ:

პირველი, ეს არის შრომის საერთაშორისო დანაწილება და ეკონომიკური გლობალიზაცია, რომელიც ტყიბულის მსგავს (განვითარებადი/პოსტ-საბჭოთა ქვეყნების, მონოინდუსტრიულ) ქალაქებში ქალთა ორგანიზებას და რეკრუტირებას საექსპორტოდ, თანამედროვე მიგრაციულ მოძრაობაში, ზრუნვის გლობალურ ბაზარზე ახდენს;

და მეორე, მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში მიმდინარე ცვლილებებისგან წარმოშობილი ფენომენი, რაც მთელ მსოფლიოში არსებულ კატარა დასახლებებსა და ქალაქებში

მოსახლეობის შემცირებასა და ქალაქიდან ყველა რესურსის გადინებას - ურბანულ შეკუმშვას იწვევს, როგორც გლობალიზაციის სივრცით და დემოგრაფიულ გამოვლინებას.

ყოველივე ზემოთქმულის შესაბამისად, ნაშრომი სვამს შემდეგ კითხვებს: რა კონტექსტში უნდა გვესმოდეს დღეს ქალების რეალობა და რას ავლენს კონკრეტულად ტყიბული გლობალური უთანასწორობის და სიღარიბის ფემინიზაციის კუთხით? რა გამოწვევების წინაშე დგება აღნიშნული კონტექსტის გააზრების გარეშე ადგილობრივ დონეზე ქალთა გაძლიერებისაკენ მიმართული სახელმწიფო თუ კერძო ინიციატივები?

ტყიბული, როგორც გვიანი პოსტ-საბჭოთა კუმშვადი ქალაქი

ტყიბული, იმერეთისა და რაჭის გამყოფი, ულამაზესი ქედის ქვეშ გაშენებული ნისლიანი პატარა ქალაქი, რომელიც ცნობილია ქვანახშირის წარმოებით, არაჩვეულებრივი, ისტორიული თეატრით, უნიკალური მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლით და სხვ., დღეს სიცოცხლისთვის საშიში შრომით, დეგრადირებული ინფრასტრუქტურითა და მოსახლეობისგან დაცლით გამოირჩევა.

თუ 80-იანი წლების ბოლოს ტყიბული სავსე იყო მოსახლეობით, დასაქმება უზრუნველყოფილი იყო როგორც კაცების, ისე ქალებისთვის, შახტების გარდა კი ქალაქში არსებობდა ალტერნატიული ადგილობრივი ეკონომიკა და მიმდინარეობდა აქტიური საზოგადოებრივი, სოციალური და კულტურული ცხოვრება, დამოუკიდებელი საქართველოს საინფორმაციო ველში ტყიბული იშვიათად თუ გამოჩენილა და თითქმის ყოველთვის, ეს ქალაქში მდებარე ქვანახშირის საწარმოს უკავშირდებოდა: იქნებოდა ეს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შახტების დახურვა; ვარდების რევოლუციის შემდეგ შახტების პრივატიზება და მოპოვების აღდგენა თუ უკვე „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში მემახტეთა სრულმასშტაბიანი გაფიცვა. ასევე, მთელი ამ დროის განმავლობაში, შახტაში მუშათა დაღუპვის ტრაგიკული შემთხვევები.

მიუხედავად იმისა, რომ ტყიბული ნამდვილად არის გაღარიბებული, პოსტ-საბჭოთა მონოინდუსტრიული ქალაქი ყველა შესაბამისი ზოგადი ეკონომიკური და სოციალური პარამეტრით, მისი მხოლოდ ამგვარი კატეგორიზაცია უხილავად ტოვებს ტყიბულის სხვა, განსაკუთრებულ თავისებურებებს, რომლებიც ამ ქალაქში მცხოვრები ადამიანების, განსაკუთრებით კი ქალების ყოველდღიურ გამოწვევებში ამოიცნობა. ქალები, რომლებიც ისტორიულად პასუხისმგებელნი არიან სოციალურ კვლავწარმოებაზე³, ცხადად გრძნობენ და

³ „სოციალური კვლავწარმოების თეორია“ ამტკიცებს, რომ საქონლისა და სერვისების წარმოება და სიცოცხლისა და ადამიანური ურთიერთობების წარმოება ერთი ინტეგრირებული პროცესის განუყოფელი ნაწილებია და ერთნაირად მონაწილეობს ეკონომიკური ღირებულების შექმნაში, იქნება ეს „სოციალური კვლავწარმოების“ ფორმალური სექტორი: ჯანდაცვა, ბავშვთა სკოლამდელი აღზრდა,

საუბრის მეშვეობით ავლენენ სოციალური კვლავწარმოების მწვავე კრიზისს, რომელიც ქალაქში დგას; ტყიბულელ ქალთა შრომა აჩვენებს საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის მიერ შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილების პრობლემას, რომელიც ქალთა თანამედროვე მიგრაციულ მოძრაობას უკავშირდება შედარებით განვითარებული ქვეყნებისაკენ ზრუნვისა და შინ მოვლის შრომაში ჩასართავად. ტყიბულელი ქალების განწყობების, აზრების, ფსიქოლოგიური მდგომარეობის, დამოკიდებულებებისა და სულისკვეთების გაცნობა გზას გვიხსნის, მშრალი, წინასწარი კატეგორიზაციების მიღმა, ამ გამოცდილებებიდან ტყიბულის მდგომარეობის მისადაგება დღეისთვის უფრო ზუსტ კონცეფციებთან შევძლოთ, როგორცაა, მაგალითად, „კუმშვადი ქალაქები“.⁴

„ურბანული შეკუმშვა“ სოციოლოგიური ტერმინია, რომელიც სხვადასხვა ისტორიულ მონაკვეთებში სხვადასხვა ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური ცვლილებების შედეგად, ქალაქებიდან მოსახლეობის მასიურ გადინებას უკავშირდება. (Martinez-Fernandez et al., 2012) „კუმშვადი ქალაქების“ წარმოშობა გლობალიზაციის შედეგად ბოლო ათწლეულების მანძილზე განვითარებულ სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებს მოჰყვა, როგორც წარმოებითი და სოციალური ცვლილებების მთელ კასკადს, რომელიც კაპიტალის გლობალიზაციას ეყრდნობა და რომელმაც 80-იანი წლებიდან მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი ახლებურად გადააწყო. „კუმშვადი ქალაქების“ წარმოშობას ძირითადად ხსნიან „გლობალურ ქალაქთა“ ძლიერი კონკურენტურობით, რომლებიც სხვადასხვა ტექნოლოგიური, ლოჯისტიკური, ფინანსური და სხვა ტიპის რესურსული შესაძლებლობებით იზიდავს კაპიტალს, რესურსებს, მოსახლეობასა და უნარებს დანარჩენი ქალაქებიდან მთელი მსოფლიოს მასშტაბით, პატარა ქალაქები და დასახლებები კი ვეღარ უწევენ მათ კონკურენციას (Sassen, 2001); თუმცა სხვადასხვა კონტექსტებში, კუმშვად ქალაქებს სხვადასხვა მაპროვოცირებელი მიზეზები და მახასიათებლები აქვს, მაგალითად, იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაცია შოკური თერაპიით მოხდა, ასევე წარმოიქმნა კუმშვადი ქალაქები, რომლებიც რესურსებისა და ადამიანების უწყვეტ გადინებას განიცდიან. სამწუხაროდ, არსებულ საკითხზე აკადემიური ლიტერატურა ძირითადად დასავლური ქალაქების გამოცდილების ანალიზს ეყრდნობა, როგორცაა ამერიკული ქალაქების შეკუმშვა ან აღმოსავლეთ გერმანული ქალაქების შეკუმშვა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, დანარჩენ პოსტ-საბჭოთა სივრცეში კი ნაკლებია სიღრმისეული გამოკვლევები იმის შესახებ, თუ კონკრეტულად როგორ ხორციელდება დასახლებებისა და ქალაქების შეკუმშვა და რა მახასიათებლები აქვს მათ ჩვენს კონტექსტში; რაც აღნიშნული ფენომენის შესახებ ცოდნას გაამდიდრებდა.

კვლევის მომდევნო თავებში, ქალაქში ჩატარებული სავსე სამუშაოებისა და სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზიდან ჩანს, რომ ტყიბული, ყველა მისი არსებული სოციალური და

აფთიაქებსა თუ სურსათის მაღაზიებში შრომა და სხვ; თუ მისი არაფორმალური სექტორი: შინშრომა, ემოციური შრომა, ბავშვთა აღზრდა, სოციალური ურთიერთობების კვლავწარმოება და სხვ;

⁴ [„კუმშვადი ქალაქები: გლობალიზაციის ურბანული გამოწვევები“, 2012](#)

ეკონომიკური პარამეტრით: მკვეთრად შემცირებული საწარმოო საქმიანობით, ეკონომიკური დადმასვლითა და უმუშევრობით/არასაკმარისი შემოსავლებით, მოსახლეობის დაბერებით, ათვისებული საცხოვრებელი სივრცის რაოდენობის შემცირებით, უძრავი ქონების ფასების ვარდნით, საბიუჯეტო რესურსების შემცირებით, საჯარო რესურსების პრივატიზაციით, პირდაპირ იმეორებს უკლებლივ ყველა მახასიათებელს, რომლებიც სხვადასხვა კუმშვად ქალაქებს ახასიათებთ.

დღეს მსოფლიოში მიმდინარე ქალაქთა კუმშვას ეკონომიკური, დემოგრაფიული, გეოგრაფიული და ფიზიკური განზომილებები აქვს. ქვემოთ ვნახავთ, რომ ტყიბულის შემთხვევაში, კუმშვას მკვეთრად გამოხატული გენდერული განზომილება აქვს, ვინაიდან ადგილობრივი შრომის ბაზარი ჯერ კიდევ ინარჩუნებს კაცებს ქვანახშირის მოპოვებაში ჩართვის შესაძლებლობის გამო.

ინტერვიუები ასევე აღწერს, თუ როგორ მოქმედებს ტყიბულის კუმშვა მოსახლეობის ზოგადი განწყობის, სამოქალაქო აქტიურობის, მემახტეებისადმი სოლიდარობის, სხვადასხვა ეკონომიკური თუ სოციალური ინიციატივების მარცხებსა, ლიმიტებსა და შეუძლებლობაზე; როგორ ჩაშენდება ქალაქის ეს მახასიათებელი მოსახლეობის მენტალურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობებში; როგორ წარმოშობს ქალაქში მომავლის არქონის განცდას და როგორ მოქმედებს ეს განცდა კონკრეტულად ქალებზე.

ტყიბულის შრომის ბაზრის ძირითადი მახასიათებლები

ზოგადი აღწერა

ქალაქ ტყიბულის შრომის ბაზრის ძირითადი სტრუქტურა დასაქმების მხოლოდ ორ ძირითად შესაძლებლობას, ქვანახშირის მოპოვებას და არსებულ საჯარო დაწესებულებათა ქსელში მუშაობას გულისხმობს. შრომის ბაზრის მთავარი წილი ქვანახშირის მომპოვებელ კომპანია „საქნახშირზე“ მოდის, რომელიც 2006 წლიდან ტყიბულში არსებულ ქვანახშირის საბადოებს ფლობს და მუნიციპალიტეტის შემოსავლებში თითქმის 95%-იანი წილი აქვს.⁵ ეს მოსაზრება გაზიარებულია მოსახლეობაშიც, რომლებიც, ინტერვიუების მიხედვით, კომპანიას ქალაქის მთავარ დამფინანსებლად მიიჩნევენ, თუმცა, მეორე მხრივ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ 2019-2020 წლებში „საქნახშირისგან“ ბიუჯეტში არ შესულა „არც ერთი თეთრი“, ხოლო 2021 წელს, მუნიციპალიტეტმა კომპანიისგან მიიღო მხოლოდ ქონების გადასახადი.

ტყიბულის შრომის ბაზრის ზოგად სპეციფიკასა და ადგილზე წარმოებული სავსე დაკვირვებების საფუძველზე დგინდება, რომ დღეს ქალაქში არ არსებობს არათუ

⁵ მონაცემი მოყვანილია [ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმაში](#).

„საქნახშირზე“ მსხვილი დამსაქმებელი, არამედ, არც ალტერნატიული დასაქმების რაიმე სხვა კერა, თუ არ ჩავთვლით იმ მუდმივ, ქალაქის საზოგადოებრივი და სოციალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელ სამუშაო ადგილებს, რომელთა არსებობაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნებისმიერი ადმინისტრაციული დასახლების ცხოვრებისა და ბაზისური უსაფრთხოებისთვის: სახელმწიფო სამსახურები და საჯარო ობიექტები, პოლიცია, სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის სექტორი, ყოველდღიური სურსათის, საყოფაცხოვრებო საშუალებების სავაჭრო ობიექტები და აფთიაქები, ასევე, მცირე რაოდენობის სხვადასხვა ტიპის შერეული მაღაზიები.

„საქნახშირის“ შემდეგ, ტყიბულში კერძო სექტორში დასაქმების ალტერნატივად სამკერვალო ფაბრიკა ითვლება, რომელშიც ძირითადად ქალები არიან დასაქმებული, თუმცა, აქ მომუშავეთა ინფორმაციით, დასაქმებულთა რაოდენობა მხოლოდ 50-60 ადამიანს შეადგენს. პანდემიის პირობებში შეკვეთების ნაკლებობის გამო, ფაბრიკა ამჟამად გაჩერებულია და არ ფუნქციონირებს.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის (როგორც საქალაქო, ისე სასოფლო) ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურა 2017 წელს მოიცავდა:⁶

<i>ეკონომიკური საქმიანობის ტიპი</i>	<i>ობიექტების რაოდენობა</i>	<i>მასშტაბი</i>
კვების ობიექტები	17	100% მცირე
საცალო ვაჭრობა	102	100% მცირე
იურიდიული მომსახურება (ნოტარიუსი, ადვოკატი)	3	100% მცირე
საყოფაცხოვრებო სერვისები (სალონები, ავტომანქანების შეკეთება, სამრეცხაო და სხვ)	12	100% მცირე
სასტუმრო, ჰოსტელი და სხვ.	12	100% მცირე
მშენებლობა	25	96% მცირე
სამრეწველო საქმიანობა	35	75% მცირე
ტრანსპორტი	37	98% მცირე
საკომუნიკაციო მომსახურება	3	100 % მცირე

⁶ Ibid, p.8

და სხვ.	-	-
---------	---	---

ზემოთმოყვანილ მონაცემებში ჩანს, თუ რამდენად ღარიბია ტყიბულის ეკონომიკური სტრუქტურა და არადივერსიფიცირებულია შრომითი ბაზარი. ამჟამად, ტყიბულში მოქმედებს, ასევე, ჯამში ორი ათეული ადამიანის დამსაქმებელი ორ ბანკი და ორი სამედიცინო კლინიკა. „საქნახშირის“ გარდა, ერთადერთი მსხვილი დამსაქმებელი კი ისევ მხოლოდ საჯარო სექტორია.

ქალაქის მაცხოვრებელთა და საწარმოში დასაქმებულ ადამიანთა დემოგრაფიული მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ ქვანახშირის მოპოვების შრომაში ჩართულ ადამიანთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა კაცია; შახტა გამოირჩევა კაცთა დასაქმებით, საჯარო სექტორი კი ძირითადად ქალთა დასაქმებით. შახტაში მუშაობენ როგორც ახალგაზრდა, ისე საშუალო და გარკვეული რაოდენობის საპენსიო ასაკში მყოფი კაცები, საჯარო სამსახურებში კი, როგორც რესპოდენტთა ინტერვიუებიდან ირკვევა, ძირითადად მუშაობენ საშუალო ასაკის და საპენსიო ასაკში მყოფი მოქალაქეები. ეს ორი დემოგრაფიული ფაქტორი ბარიერად იქცევა ტყიბულში ახალგაზრდა ქალთა დასაქმებისთვის: ერთი მხრივ, შახტა შეუსაბამო სამსახურად მიიჩნევა ქალთათვის და ქალთა დასაქმება აქ ვერ ხერხდება, მეორე მხრივ კი, ვინაიდან საჯარო სამსახურებში იშვიათად თავისუფლდება სამტატო სამუშაო ადგილები, ახალგაზრდებს უჭირთ დასაქმება.

ადგილობრივი შრომითი ბაზარი ქალთათვის შედგება ფორმალური დასაქმების მხოლოდ ორი მსხვილი აქტორისგან - საჯარო სტრუქტურებისა და სამკერვალო ფაბრიკისაგან. დანარჩენი სამუშაო ადგილების უმეტესობა - ძირითადად ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში - არაფორმალური ხასიათისაა და გულისხმობს შრომითი ხელშეკრულების გარეშე, საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ნორმებისა და სტანდარტების მიღმა შრომას, უკიდურესად დაბალი ანაზღაურებით.

აღსანიშნავია, რომ „საქნახშირში“ არსებული სახელფასო სისტემა, რომელიც, შახტაში დასაქმებულებისა თუ ტყიბულის სხვა მოქალაქეების შეფასებით ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და მოპოვებით სამუშაოებში ჩართული მუშების ხელფასებს შორის უთანასწორო უფსკრულს აჩვენებს, ვერ აკმაყოფილებს ქალაქში ოჯახების გამოკვების, შენახვისა და საზოგადოებრივი კვლავწარმოების ბაზისურ საჭიროებებს, რასაც ადასტურებს ქალაქში მკვეთრად გამოხატული შემდეგი სოციალური ფენომენები:

- ქვეყნის გარეთ ქალთა შრომითი მიგრაციის უპრეცედენტო მასშტაბი და მზარდი რაოდენობა, რაც შემოსული ფინანსური ტრანსფერებით შახტის ხელფასების ერთადერთი მსხვილი შემავსებელი და ქალაქში სოციალური კვლავწარმოების ძირითადი დამფინანსებელია;

- სამომხმარებლო სესხებისა და ვალების უპრეცედენტოდ მაღალი რაოდენობა, რაც ხშირად ხელფასიდან-ხელფასამდე თავის გატანის ერთადერთი საშუალება ან ერთადერთი გამოსავალია ნებისმიერი „გაუთვალისწინებელი“ ხარჯის წარმოქმნის შემთხვევაში;
- ქალაქში არსებულ სავაჭრო ობიექტებში გაბატონებული გადახდის სპეციფიკური წესი, რომლის თანახმადაც მემახტეთა ხელფასის დღეს მაღაზიებში ხდება მთელი თვის განმავლობაში დაგროვებული ვალების განულება, მემახტეთა ხელფასიდან 2-3 დღის შემდეგ კი თავიდან იწყება ნისიების აღრიცხვა; და სხვ.

ტყიბულის შრომის ბაზარი არ არის მხოლოდ ტიპური არადივერსიფიცირებული შრომითი ბაზარი, რომელიც იხსნება მხოლოდ ქალაქის მონოინდუსტრიულობით, არამედ მას პოსტ-საბჭოთა კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ზოგადი და განსაკუთრებული თავისებურებებიც გააჩნია, როგორცაა, მაგალითად, დასაქმებაში არაფორმალური გავლენებისა და კავშირების უპირატესობა, როგორც საზოგადოებრივ, ისე პოლიტიკურ დონეზე. ამ და სხვა თავისებურებებზე დაკვირვება მეტად დაგვეხმარება, ტყიბულელ ქალთა შრომის ბაზარზე მონაწილეობის ხასიათი, მასშტაბები, გეოგრაფია და ბარიერები უკეთესად გავიგოთ.

შრომის დემოგრაფიული სტრუქტურა, გენდერული და სექტორული განაწილება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციით, 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, უშუალოდ ქალაქ ტყიბულში ოფიციალურად აღრიცხებოდა 9,770 მოსახლე - 5,148 ქალი და 4,622 კაცი. უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან 2014 წლის შემდგომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერა აღარ ჩატარებულა, შეუძლებელია დავადგინოთ ამჟამად ქალაქში რეალური მოსახლეობის ზუსტი რიცხოვნობა, თუმცა, თუ დავაკვირდებით მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირების ზოგად ტენდენციას, რომელიც 1989 წლის შემდეგ, ძირითადად, უწყვეტად კლებადია და გავითვალისწინებთ უკანასკნელ წლებში გარე მიგრაციის ზრდის ტემპებს, ასევე, გავითვალისწინებთ, რომ ამ აღწერაში ვერ ხვდება სეზონურად ან რამდენიმე წლით ქუთაისსა თუ თბილისში გადინებულთა რაოდენობა, რაც ახალგაზრდების უდიდეს ნაწილს შეადგენს, შეგვიძლია თამამად ვივარაუდოთ, რომ ქალაქ ტყიბულში რეალური მოსახლეობა შესაძლოა საგრძნობლად იყოს შემცირებული; ქვეყანაში ზოგადად არსებული სოციალური მდგომარეობის დამძიმებისა და ადგილობრივი შრომის ბაზრის/ზოგადი ეკონომიკური გამოწვევების გათვალისწინებით.

„საქნახშირის“ ინფორმაციით, ტყიბულის ქვანახშირის მომპოვებელ საწარმოში ამჟამად დასაქმებული 1230 ადამიანიდან მხოლოდ 95-ია ქალი, რაც ქვანახშირის მოპოვების სპეციფიკიდან გამომდინარეობს არსებული ტექნოლოგიური დონისა და სიმძლავრის პირობებში. „საქნახშირის“ ინფორმაციით, „კომპანია განეკუთვნება თავისი საქმიანობის

სფეროთი მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან საწარმოთა კატეგორიის ნუსხას, სამუშაოების უმეტესი ნაწილი მოიცავს ფიზიკურ შრომას, გამომდინარე აქედან ქალბატონებისთვის ვაკანტური არის პოზიციები, რომელიც მოიცავს მსუბუქ ფიზიკური დატვირთვას ან ადმინისტრაციულ-საოფისე სამუშაოებს“, თუმცა, მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, გაიზრდებოდა თუ არა დასაქმებულ ქალთა რაოდენობა საწარმოში ტექნოლოგიური განახლება-გადაიარაღებისა და მოპოვების პროცესის თანამედროვე სტანდარტებთან სრულად დაახლოების შემთხვევაში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ 95 ქალი ადმინისტრაციის თანამშრომლებსაც მოიცავს, გამოჩნდება, რომ უშუალოდ მოპოვებით სამუშაოებში ჩართულ ქალთა რიცხვი გაცილებით ნაკლებია. შახტაში დასაქმებული რესპოდენტის განმარტებით, ამ რიცხვში შედიან ასევე დამლაგებლები და ეგრეთწოდებულ „სალამპეში“ მომუშავე ქალები, რომლებიც შახტაში შემსვლელებს აღრიცხავენ. მიუხედავად იმისა, რომ ქალები „საქნახშირში“ ზოგადად არ მუშაობენ მძიმე ფიზიკური დატვირთვით, რესპოდენტის განმარტებით, არის შემთხვევები, როდესაც ქალებს ნიჩბებით უწყვეტ გადმოყრილი ნახშირის შეგროვება.

მოსახლეობის რიცხოვნობისა და 2014 წლის შემდეგ მისი მოსალოდნელი კლების პირობებში, „საქნახშირში“ მომუშავე 1230 ადამიანიდან 1100-ზე მეტი ადამიანი რომ კაცია, ეს მიუთითებს, რომ დღეს „საქნახშირი“ ასაქმებს ამჟამად ქალაქში რეალურად მცხოვრები კაცი მოსახლეობის დიდ ნაწილს, ხოლო თუ კაცი მოსახლეობის საერთო ციფრს ამავე აღწერიდან გამოვაკლებთ მამრობითი სქესის ბავშვთა და ხანდაზმულთა ასაკობრივ კატეგორიებს, რომლებსაც არ შეუძლიათ შახტაში მუშაობა, ვივარაუდებთ, რომ „საქნახშირი“ დღეს ასაქმებს შრომისუნარიანი ასაკის მამრობითი სქესის კაცების დაახლოებით ნახევარს. საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალაქ ტყიბულში ამჟამად რეალურად მცხოვრები ოჯახების უმეტესობის ერთი კაცი წევრი მაინც შახტაშია დასაქმებული.

საჯარო სექტორში დასაქმებულთა უმრავლესობა ქალია, გარდა მუნიციპალიტეტისა და საკრებულოსი, სადაც რაოდენობრივად ჭარბობენ კაცები. კაცები ჭარბობენ მუნიციპალიტეტის მმართველობით პოზიციებზეც. საჯარო სკოლებსა და სასკოლო აღზრდის დაწესებულებებში მომუშავეთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ქალია, ისევე, როგორც მუნიციპალიტეტის ბალანსზე მყოფი არაკომერციული იურიდიული პირების ობიექტებში დასაქმებულთა უმრავლესობა. მაგალითად, კულტურის ობიექტების არაკომერციული იურიდიული პირების გაერთიანებაში, რომელიც მოიცავს როგორც ქალაქში არსებული კულტურის ობიექტებისა და ხელოვნების სკოლების, ისე მუნიციპალიტეტში არსებული სოფლების საკლუბო და საბიბლიოთეკო ქსელებს - აქ მომუშავეთა 76% ქალია, „ა.ა.ი.პ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში“ მომუშავეთა 92% ქალია, ა.ა.ი.პ „საზოგადოებრივ ჯანდაცვაში“ კი ყველა დასაქმებული ქალია. კაცების რაოდენობა ქალებისას მნიშვნელოვნად აღემატება მხოლოდ ა.ა.ი.პ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრში.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობრივი და გენდერული გადანაწილება:

დასაქმების ადგილი	ქალი	კაცი	სულ
ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია	59	61	120
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო	10	27	37
ა.ა.ი.პ ტყიბულის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“	13	-	13
ა.ა.ი.პ ტყიბულის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“	218	18	236
ა.ა.ი.პ ტყიბულის მუნიციპალიტეტის „კომუნალური გაერთიანება“	50	70	120
ა.ა.ი.პ ტყიბულის მუნიციპალიტეტის „კულტურის ობიექტების გაერთიანება“	134	43	177
ა.ა.ი.პ ტყიბულის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“	40	72	112
ჯამში:	524	291	815

ამ მონაცემებს, ემატება, ასევე, ტყიბულში საჯარო სექტორის ყველაზე მსხვილი - სასკოლო განათლების სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა, რომელიც ქალთა ყველაზე მსხვილ დამსაქმებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ადგილობრივ მასწავლებელთა ინფორმაციით, ტყიბულის 6 საჯარო სკოლაში და მუნიციპალიტეტის სოფლებში დასაქმებული დაახლოებით 400 მასწავლებლიდან, უდიდესი უმრავლესობა ქალია. მნიშვნელოვანია, რომ სკოლების პარალელურად, ტყიბულში განვითარებულია ე.წ რეპეტიტორის - კერძო მომზადების ინსტიტუტი, რაზეც კვლევის ფარგლებში გამოკითხული თითქმის ყველა რესპოდენტი მიუთითებს. მათი განმარტებებით, არაფორმალური თვითდასაქმების ამ ფორმაში ქ. ტყიბულის სკოლის მასწავლებელთა უმეტესობაა ჩართული დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით.

საინტერესოა ტყიბულში საჯარო სექტორის, როგორც დამსაქმებლის როლი. რესპოდენტებთან საუბრისა და ქალაქში საველე სამუშაოების წარმოების შედეგად დგინდება, რომ საჯარო სამსახურების ქსელში დასაქმება ხშირ შემთხვევაში გულისხმობს არა ფუნქციურად, სპეციალიზირებულ და საჭირო კადრებით დაკომპლექტებაზე ორიენტირებულ შერჩევას;

არამედ კერძო სექტორში „საქნახშირის“ გარდა ალტერნატიული სამუშაო ადგილების არარსებობის გამო, უმუშევრობის სოციალური შედეგების დაბალანსების მექანიზმს. ის გვევლინება, როგორ ქალაქში უმუშევრობის დამაბალანსებელი, სიღარიბის ტვირთის გადამანაწილებელი სექტორი, რომელიც აღნიშნული მიზნით უფუნქციო სამუშაო ადგილებსა და ხშირად არაკვალიფიციურ კადრებს ინარჩუნებს.

- „ ჩემი აზრით, რეალურად არ სჭირდება საჯარო სამსახურს ეს კადრები, უბრალოდ ამით ივსება არარსებული სამუშაო ადგილები და ეს ყველამ იცის. რამდენი ადამიანია ამაზე ჩამოკიდებული, ადამიანი, რომელიც პურის ფულის გარეშეა. “ მზია, 51
- „თუნდაც მერიაში, რომ ახვიდეთ, თავის პროფესიაზე მომუშავეს ვერცერთს ვერ ნახავთ.“ სოფო, 38
- „ადამიანს რომ დასვამ, ამუშავებ, ის მარტო საქმლის ფულზე არ უნდა ფიქრობდეს, რომ რამის გაკეთება შეძლოს. გამგეობაში მომიწია მისვლა რაღაცაზე, მეკითხებიან რამ შეგაწუხათო, თქვენ რა გევალებათ - თქო რომ ვკითხე, ვერ დამისახელა.“ ლია, 52

მიუხედავად იმისა, რომ იმ მძიმე სოციალური და ეკონომიკური გამოწვევებით სავსე ქალაქისთვის, როგორც ტყიბულია; და ამ გამოწვევათა გამკლავებისა და გადაჭრისთვის დღეს არსებული საჯარო სექტორის მოცულობა სრულიად არასაკმარისი და მწირია, ადგილობრივი ბიუჯეტის სიმწირის, განვითარებისთვის საჭირო რესურსების სრული არარსებობისა და კვალიფიციური კადრების დეფიციტის გათვალისწინებით, საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა კრიტიკას ვერ უძლებს, მით უფრო მაშინ, რომ არსებული მწირი სახელფასო ბიუჯეტი ვერ წვდება, მათ შორის, უკვე დასაქმებულთა ადეკვატური ხელფასებით უზრუნველყოფას.

- „მუნიციპალიტეტში თანხების ნაკლებობაა მთავარი პრობლემა, ყველაზე რთული ვითარება რა მხრივ არის, იცით? აი ბიუჯეტის 95%⁷ იხარჯება ხელფასებში, ჯობია ნაკლები, მაგრამ პროფესიონალი ხალხი გყავდეს, საქმეც უფრო გაკეთდება და იმ ხალხსაც ოდნავ მეტი ხელფასი შეხვდება, მაგრამ ყველას რომ უჭირს? იმას ვერ გაუშვებ, ამას ვერ გაუშვებ და - მართლა ვერ გაუშვებ - ადამიანური ფაქტორები იმდენად დიდ როლს თამაშობს, რომ საბოლოოდ საქმე ფუჭდება ყველგან.“ მზია, 51

⁷ ციტატაში მოყვანილი მონაცემი ასახავს რესპოდენტის პირად განცდას. მეორე მხრივ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების ინფორმაციით, ბიუჯეტის ნახევარზე მეტი - 55% ნამდვილად იხარჯება ხელფასებში.

ტყიბულის საჯარო სექტორისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი განსაკუთრებული თავისებურება ისაა, რომ უჩვეულოდ მაღალია საპენსიო ასაკში მყოფ მოქალაქეთა დასაქმების მაჩვენებელი. 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებს თუ გადავამუშავებთ, მივიღებთ, რომ ქალაქ ტყიბულში აღრიცხული ქალი მოსახლეობის 37% - ამ დროს საპენსიო ასაკში იყო. კაცების შემთხვევაში, ასაკით პენსიონერთა რაოდენობა ამ დროს 14%-ია. საპენსიო ასაკში მყოფი ქალებისა და კაცების რაოდენობას შორის მნიშვნელოვანი სხვაობა პენსიაზე გასვლის განსხვავებული ასაკობრივი ზღვართან აიხსნება, რომელიც ქალების შემთხვევაში გულისხმობს 60, კაცების შემთხვევაში კი 65 წელს. ჯამში, ამ აღწერის მიხედვით გამოდის, რომ ტყიბულის ორივე სქესის საქალაქო მოსახლეობის 25%, 2014 წელს, იმყოფებოდა 60 წელს ზემოთ. აღსანიშნავია ასევე, რომ მუნიციპალიტეტის დონეზე, სოფლებში, კიდევ უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი და ხანდაზმულებს სოფლების საერთო მოსახლეობის ძირითადი წილი უჭირავთ: ორივე სქესის 60 წელს ზემოთ მყოფ მოქალაქეთა რაოდენობა სასოფლო დასახლებებში, ჯამში შეადგენდა 34%-ს, საპენსიო ასაკში მყოფ ქალთა რაოდენობა კი სასოფლო დასახლებებში ჯამში ქალი მოსახლეობის 40%-ს.

საპენსიო ასაკში მყოფთა არც ისე მცირე ნაწილი დასაქმებულია გარკვეული სახის საჯარო დაწესებულებებში, მაგალითად, კულტურისა თუ სხვა საჯარო ობიექტებში, მუნიციპალიტეტის სასოფლო ბიბლიოთეკებში და სხვა, ვინაიდან აქ არსებული მწირი, ხშირად საარსებო მინიმუმზე დაბალი ხელფასები დამატებითი შემოსავალია ხანდაზმულთათვის, რომელთაც არსებული პენსია საარსებოდ არ ჰყოფნით. არსებული პენსიის სიმწირე და არაადეკვატურობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, როგორცაა მედიკამენტების სიმძვირე და ა.შ, დამატებითი ბარიერია საპენსიო ასაკში პენსიაზე გასვლისთვის, რაზეც პენსიონერთა უმრავლესობა უარს ამბობს და რჩება სამსახურში. ეს გარემოება კი ახალგაზრდების დასაქმებისა და კადრების ჩანაცვლების პოლიტიკისთვის ჩამკეტ მუქანიზმად იქცევა.

- „თქვენი აზრით, საშუალო ასაკი მომუშავეების რამდენი იქნება? 50 წელს ზემოთ. მე თვითონ დავინტერესდი ამას წინათ, მაინტერესებდა, რამდენი იყო დაახლოებით 180 ადამიანიდან 65 წელს გადაცილებული და 75 თანამშრომელი აღმოჩნდა 65 წელს ზემოთ! იმ 75 დან დაახლოებით ყველა 70-ს გადაცილებულია. აი, 84 წლისაა ეს კაცი, რომელიც წელან შემოვიდა. საკმარისი პენსია რომ ჰქონდეს, ხომ არ იმუშავებდა. ან ასაკი რომ განისაზღვროს წესიერად. მაგრამ 2 პენსიონერი მყავს, მშობლები და ვიცი, რომ არ არის საკმარისი რაც აქვთ, რომ არ ვეხმარებოდე იმათ მე, იმათი ორივეს პენსია ერთად არაფერი არაა იმათთვის. აბსოლუტურად არაფერი -მარტო, წამლებია ისეთი ძვირი.“ “ მზია, 51

საჯარო სექტორში ზოგადად არსებულ ხელფასების სიმწირის პრობლემასთან ერთად, ასაკში მყოფი მოქალაქეების დასაქმების ადგილებზე შენარჩუნება კიდევ უფრო მეტად ართულებს ახალგაზრდების დასაქმებას საზოგადოებრივ ობიექტებში და არამხოლოდ მათი გადინების

ხელისშემწყობი კიდევ ერთი ფაქტორია, არამედ, ასევე, ბლოკავს თავად ამ ობიექტებისა და სფეროების, შესაბამისად ქალაქის გამოცოცხლებას ახალი იდეებითა და გამოცდილებებით.

- „ყველაზე ასაკოვანი 95 წლისაა ჩემი თანამშრომლებიდან. მოტივაცია ისედაც არ აქვთ ახალგაზრდებს. მოვიდა, დავუშვათ, და მე ვერაფერი შევთავაზე, რადგან არ მაქვს ადგილი, ან ისეთი ადგილი მაქვს ისეთი ხელფასით, რომელზეც არ იმუშავენს - ახალგაზრდები მიდიან და აღარ ბრუნდებიან“. - მზია, 51

საპენსიო ასაკში მყოფი დასაქმებულები ტყიბულში ხშირია კერძო სექტორშიც.

- „6 წელია გახსნილი მაქვს სამკერვალო ატელიე. 2 ადამიანი მყავს დასაქმებული, ქალები - 82 წლისაა ერთი, ასაკიანი მყავს დასაქმებული. პენსიასთან ერთად უნდა ეს ფული - ემიგრაციაში ყავს იმასაც შვილები, მაგრამ უმუშევრები ყავს. პენსია სულ წამალში ეხარჯება და არ ჰყოფნის და აქედან ამატებს. დღეში 10 ლარს ვუხდი“. ნათია, 39
- „თქვენ ვერ ნახავთ ვერცერთ სამსახურს ტყიბულში, გინდ კერძო, გინდ საჯარო სფეროში, რომელიც პენსიონერებით არ იყოს სავსე. შახტაშიც ძალიან ბევრი მუშაობს პენსიონერი“. ნანა, 55

ტყიბულის შრომის ბაზრის ძირითადი სტრუქტურა, მოსახლეობის რიცხოვნობის დემოგრაფიული და ასაკობრივი ჭრილები, ასევე, ამ ჭრილების განაწილება სქესისა და დასაქმების მიხედვით აჩვენებს, რომ ახალგაზრდა, საშუალო ასაკისა და საპენსიო ასაკში მყოფ კაცთა დასაქმების ძირითად ადგილს „საქნახშირი“ წარმოადგენს, ხოლო საჯარო სამსახურები გვევლინება ძირითადად საშუალო და საპენსიო ასაკში მყოფი ქალების დამსაქმებლად. ტყიბულში დასაქმებული ადამიანების საგულისხმო ნაწილი საპენსიო ასაკშია, ახალგაზრდა ქალებისთვის კი, განსაკუთრებით საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საჯარო სექტორში კადრების ჩანაცვლების პრობლემის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, არ არსებობს სამუშაო ადგილები, გარდა კერძო ვაჭრობის ობიექტებისა. ჯამში, ადგილობრივ კერძო თუ საჯარო სექტორში ქალთათვის არსებული სამუშაო ადგილების ხასიათზე დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ თუკი ტყიბულში არსებობს შრომა „საქნახშირისა“ და სამკერვალოს მიღმა, მისი ძირითადი წილი სწორედ სოციალური კვლავწარმოების (მაგ. განათლების სექტორი) და სასიცოცხლოდ აუცილებელი შრომის⁸ სამუშაოზე მოდის, რომელიც, ძირითადად, ასაქმებს ქალებს.

⁸ სასიცოცხლოდ აუცილებელი მშრომელები (Essential Workers) - შრომის იმ კატეგორიებში დასაქმებული ადამიანები, რომელთა სამუშაოც აუცილებელია ადამიანთა ყოველდღიური ფიზიკური თუ სოციალური კვლავწარმოებისთვის.

ქალთა ანაზღაურება და შრომითი პირობები

ქალთა შრომითი ბაზარი კერძო სექტორში ტყიბულში გაჯერებულია უკიდურესად დაბანალაზღაურებადი და სოციალურად მოწყვლადი სამუშაო ადგილებით, რის გამოც, საჯარო სტრუქტურებში დასაქმება ტყიბულში პრესტიჟულ შრომად ითვლება, თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ საჯარო სექტორში არსებული ანაზღაურება ადეკვატური ან ადეკვატურთან მიახლოებულია.

ა.ა.ი.პ-ებში მომუშავე საშუალო და დაბალი რგოლების - მაგალითად კულტურის მუშაკების, ბიბლიოთეკარებისა და სხვათა რეალური ანაზღაურება ხშირად ჩამოუვარდება საარსებო მინიმუმსაც კი - შეადგენს თვიურად 180 ლარს; გარკვეული პოზიციებისთვის თვეში 100 ლარს - საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით და ა.შ. სახელფასო მდგომარეობა არ არის სახარბიელო არც მუნიციპალიტეტის მერიაში, სადაც, სრულ განაკვეთზე მომუშავე მაღალი რგოლის სპეციალისტის ანაზღაურება მაქსიმუმ 700-800 ლარს შეადგენს. დაუჯერებელია, მაგრამ ამდენივე ანაზღაურება აქვთ დირექტორებსა და ხელმძღვანელებსაც - მაგალითად, მუნიციპალიტეტის ბალანსზე მყოფი საზოგადოებრივი ობიექტების არაკომერციული იურიდიული პირების ობიექტების გაერთიანებების დირექტორებს.

- „აღბათ საქართველოს მასშტაბით, სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით არ იქნება ტყიბულზე დაბალი ხელფასები არსად - საჯარო სფეროში. ყველაზე დაბალი ხელფასებია აქ, ბოლო 18 წელია - ხელფასების მატება საერთოდ არ მომხდარა. დირექტორს რომ 800 ლარი აქვს ხელფასი, სხვას ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენი ექნება?“ მზია, 51

საჯარო სკოლებში დასაქმებულთა ხელფასები შედარებით სტანდარტულია საქართველოს სხვა ქალაქებში იგივე პოზიციებზე დასაქმებულთა ხელფასებთან და მერყეობს 400 დან 1200 ლარამდე კომპეტენციის დადასტურებების შესაბამისად.

იგივეს ვერ ვიტყვით სკოლამდელი აღზრდის სექტორზე, რომელიც მუნიციპალიტეტზეა დამოკიდებული. ქალაქში მოქმედ 6 საჯარო ბაღში დასაქმებულთა ანაზღაურება დაბალია, თუმცა, ამ სექტორში ანაზღაურება დაბალია ზოგადად, ეროვნულ დონეზეც, შეადგენს რა საშუალოდ 350 ლარს (UNICEF, 2018).

ხელოვნების სკოლების პედაგოგთა საშუალო ანაზღაურება დაახლოებით 200 ლარია, ზოგიერთ შემთხვევაში 70-80 ლარსაც შეადგენს თვეში - იმ შემთხვევაში, თუ პარალელურად პედაგოგები სკოლაშიც მუშაობენ და მინიმალურ საათებს იღებენ. რესპოდენტთა თქმით, ამ სექტორში მაქსიმალური თვიური ანაზღაურება, შეიძლება 400 ლარამდეც ავიდეს.

საჯარო სექტორში ხელფასების ასეთ სიმწირეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შეზღუდული ბიუჯეტითა და ქალაქის არასაკმარისი ფინანსებით ხსნიან. ცხადია, რომ ამ პირობებში რთული ხდება, ერთი მხრივ, საჯარო სამსახურებსა და ობიექტებში ახალგაზრდა

და/ან მეტად კვალიფიციური კადრების დაკავება და შენარჩუნება, მეორე მხრივ კი, იმისთვის, რომ გარკვეული პროფესიის ადამიანებმა შეძლონ საკუთარი სპეციალობების შენარჩუნება, მათ დამატებით, სრულიად განსხვავებულ სამუშაო ადგილებზე, სრულგანაკვეთიან ცვლებში უწყვეტ მუშაობა.

- *„მაგალითად, ჩვენ ქორეოგრაფიული ანსამბლი გვაქვს „ცხრაჯვარი“ და ბიჭები ყველა შახტაში მუშაობს. 180 ლარი აქვთ ხელზე ხელფასი და ამით ხომ ვერ იცხოვრებენ? რეპეტიციები საღამოსაა ძირითადად და 8 საათიან სამუშაო დღეს რომ ამთავრებენ, მერე მოდიან რეპეტიციებზე. მათი პროფესია ქორეოგრაფიაა და რომ არ დაკარგონ, უწყვეტ ასე. ზოგს ორი პროფესია აქვს უკვე, ინჟინერიც არის და ქორეოგრაფიც არის. ზოგი კომუნალურშია⁹ პარალელურად დასაქმებული და ა.შ.“* მზია, 51

სამკერვალო ფაბრიკაში, სადაც, მიუხედავად ხმაურისა, რომელიც, რესპოდენტთა თქმით, ხშირად იქ დასაქმებულთათვის სმენის პრობლემების გამოიწვევი ხდება, სრულ განაკვეთზე მომუშავე მკერავის ფიქსირებული ხელფასი 350 ლარია. დამატებით ანაზღაურების პრინციპი გამომუშავებაა, თუმცა პანდემიის დროს, მაგალითად, დასაქმებულები ფიქსირებული ხელფასის გეგმასაც კი ვერ ასრულებდნენ.

- *ძირითადი ხელფასი არის 350 ლარი - და ისე გამომუშავებაზე ვართ, როცა შეკვეთებია, მეტიც გამოგვიმუშავებია 100- 150 ლარით მეტი. პანდემია რომაა, საქმე ნაკლებია და იმ 350 ლარისასაც ვერ გამოგვიმუშავებდით, სანამ ფაბრიკა დროებით დაიხურებოდა, ამიტომ უფროსი მოგველაპარაკა და 350 ლარამდე თვითონ გვივსებდა ანაზღაურებას. 350 ლარი იმდენად მიზეზულია დღეს, რანაირად უნდა გეყოს, მაგრამ აი ოჯახის წევრებიც რომ მუშაობენ - მეუღლე შახტაში, ჩემი ხელფასი უბრალოდ ემატება - რამოდენიმე დღის ფულია, რაღაცას შენც აკეთებ, პატარა წვლილი შეგაქვს.“* ცირა, 61

ტყიბულის ქალთა შრომის ბაზრის ძირითადი წილი კერძო სექტორში ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს უჭირავს, სადაც საშუალო ხელფასი 250 ლარია, მათ შორის, ხშირად 12 საათიანი, შეუსვენებელი სამუშაო გრაფიკისა და მძიმე ფიზიკური დატვირთვის პირობებში.

- *„ახლა ვმუშაობ შერეულ სამეურნეო და სარემონტო მაღაზიაში. ეს ქალის სამუშაო არაა, უფრო კაცების სამუშაოა და ზოგჯერ ფიზიკური დატვირთვაც მიწევს, მაგრამ აქ მუშაობა მირჩევნია - ხელფასი 400 ლარი მაქვს. ადრე ვმუშაობდი დილის 8-დან ღამის ორ საათამდე, 300 ლარად. ფიზიკური დატვირთვა ძალიან მძიმე მიწევდა: უნდა მომეტანა პროდუქტი, კალკულაციაც მე უნდა გამეკეთებინა. მთელი დღე, 12 საათიან ცვლებში (მინიმუმ!) ვმუშაობდი, კვირაში 1 დღე ვისვენებდი. დღის განმავლობაში შესვენებაც კი არ მქონდა, წყლის დალევის საშუალებაც არ მქონდა.“*

⁹ ა.ა.ი.პ ტყიბულის მუნიციპალიტეტის „კომუნალური გაერთიანება“

დასაჯდომიც არ მქონდა - საქმელი კუთხეც არ მქონდა, დრო ჭამის არ მქონდა“
თიკო, 40

ანაზღაურების, შრომითი პირობებისა და ღირსეული მოპყრობის საკითხები რესპოდენტთა აზრით შედარებით გააუმჯობესა ტყიბულში ქსელური მარკეტების შემოსვლამ - ამჟამად ქალაქში მოქმედებს სუპერმარკეტები „სპარი“, „ორი ნაბიჯი“ და „მაგნიტი“. როგორც ამბობენ, მიმდინარეობს, ასევე, „ნიკორას“ გახსნაზე მუშაობა. ანაზღაურება აქაც დაბალია, თუმცა სტანდარტიზებულია საქართველოს დანარჩენ ქალაქებსა და დედაქალაქში არსებულ ტარიფებთან მიმართებაში, რაც, რესპოდენტთა თქმით, ტყიბულის კვალობაზე სხვა მცირე მარკეტებთან შედარებით უკეთეს პირობებს ქმნის. მეორე მხრივ, რესპოდენტი, რომელიც ემიგრაციაში წასვლამდე „მაგნიტში“ მუშაობდა, ასევე საუბრობს გაუსაძლის შრომაზე.

- „მაგნიტში“ დილის 8 საათიდან რომ ვიწყებდით მუშაობას, ღამის პირველზე ვიყავი სახლში. კი მქონდა დასვენების უფლება, მაგრამ დრო არმქონდა. ვერ დგები ფეხზე, იმდენი ხალხია. 5-10 წუთი გავრბოდი, რომ ერთხელ მეჭამა საქმელი. დრო არავის არ აქვს იქ, რომ ვიღაცამ შეგცვალოს. ამდენი საათი ზიხარ და ტვინით და ყველანაირად გაუჩერებლად მუშაობ - და ძალიან რთულია. თუ სხვა შეგცვლიდა რომელიმე დღეს, შენი ხელფასიდან მოგაკლდებოდა 24 ლარი თითო დღეზე იმ 350 დან და ესეც არ გიღირდა.“ ლია, 52
- „15 წლის როცა ვიყავი, კერძო მაღაზიაში ვმუშაობდი, 11 ლარს ვიღებდი დღეში და ეს ძალიან ცოტაა. 11 საათი ვმუშაობდი შესვენების გარეშე, ყველ დღე. ახლა „ორ ნაბიჯში“ ვმუშაობ და აქ 26 ლარს ვიღებ. პატარა მაღაზიებში ახლაც ისე მუშაობენ, 3 ლარით გაუზარდეს მხოლოდ ხელფასი, როგორც ვიცი - 14 ლარია დღეში“ ანა, 19
- „განვადებებზე ვმუშაობდი „ელიტელში“, მერე დაიხურა. ძან ცუდი ანაზღაურება იყო - დღეზე იყო 5 ლარი და დაახლოებით 7-8 საათი ვმუშაობდი. მაღაზიებში ჩვენთან ზოგადად ძალიან ცუდი ანაზღაურებაა. ქსელური მაღაზიები რაც არის, ორი წელია რაც გაიხსნა, მანდ ცოტა არაუშავს - 300-400 ლარია ხელფასები და მაგით შეიძლება ოჯახი შეინახო ტყიბულის პირობებში, სხვაც თუ მუშაობს. სხვა მაღაზიებში მინიმუმ 12 საათიანი სამუშაო გრაფიკია და 10 ლარი თუ მოგცეს, მაგაზეც მაღლობელი უნდა დარჩე.“ ეკა, 24
- „ვირებივით მაღაზიებში ქალები რომ დგანან და მუშაობენ - ზოგი 150 ლარზე დილიდან საღამომდე, ესაა კატასტროფა, ესაა მონური შრომის პირობები და თუ საათობრივი ანაზღაურება მინიმალური 5 ლარით მაინც არ განისაზღვრა, არაფერი გვეშველება“ მზია, 51

ტყიბულში ქალთა დასაქმების ადგილებზე - როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში არსებულ ხელფასებზე დაკვირვების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალაქში დაბანალაზღაურებადი და სოციალურად მოწყვლადია არა მხოლოდ მომსახურებისა და ვაჭრობის სექტორში არსებული სამუშაო ადგილები, რომელსაც ზოგადად ახასიათებს მსგავსი მახასიათებლები სექტორის ზოგადი სპეციფიკიდან გამომდინარე, არამედ ქალაქში ქალთათვის არსებული მთლიანი შრომითი ბაზარი - ფორმალურიც და არაფორმალური სამუშაო ადგილებიც; როგორც დაბალი და საშუალო პოზიციები კერძო სექტორში, ისე დაბალი, საშუალო და ხელმძღვანელი პოზიციებიც საჯარო სექტორში.

ქალთა განათლება და პროფესიით დასაქმების შესაძლებლობები

მიუხედავად იმისა, რომ ქალთა უმეტესობას ტყიბულში მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, ქალაქში ძალიან რთულია პროფესიის შესაბამისად დასაქმება. პირველ რიგში, ამაზე მოქმედებს თავად შრომის ბაზრის სტრუქტურა, რომელიც გაჯერებულია დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალის მოთხოვნით. ქალებისთვის ტყიბულში არსებობს მხოლოდ ერთი სპეციალობა, რომელსაც საჯარო სექტორი ითვისებს - ბაღის, დაწყებითების ან გარკვეული სპეციალობის მასწავლებელი. სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის სექტორი ერთადერთი სექტორია, სადაც ქალებს პროფესიის შესაბამისად დასაქმება ფორმალურად შეუძლიათ, ამიტომ, არ არის შემთხვევითი, რომ ძალიან ბევრი ქალი, რომელიც ცხოვრობს ტყიბულში, სწორედ ამ პროფესიისაა განათლებით. მიუხედავად ამისა, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს მაინც მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროში მუშაობს, რადგან განათლების სექტორში დასაქმება რთული და პრობლემურია რამდენიმე მიმართულებით:

- რესპოდენტთა საუბრები აღწერს, რომ მასწავლებლებისა და აღმზრდელების უმეტესობა ასაკოვანი, სტაჟიანი მშრომელები არიან, რომელთაც იგივე პროფესიის საშუალო ასაკის ან ახალგაზრდა ქალები იშვიათად თუ ანაცვლებენ, მიუხედავად იმისა, რომ მიიღეს აღნიშნულ სფეროში შესაბამისი განათლება და გაიარეს ყველა საჭირო საფეხური.
- ტყიბულში, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში - და მათ შორის, განათლების სფეროშიც დასაქმებაზე უფრო დიდ გავლენას ახდენს არაფორმალური კავშირები, ვიდრე განათლება, კვალიფიკაცია და გამოცდილება, რაც მნიშვნელოვან ბარიერად ეღობება მათ, ვინც იღებს შესაბამის განათლებას და ცდილობს, დასაქმდეს საკუთარი პროფესიით;
- ყველა ტიპის საჯარო დაწესებულებაში, მათ შორის სასკოლო და სკოლამდელი აღზრდის სექტორში დასაქმების ბარიერი, რესპოდენტთა თქმით, იყო და არის ადამიანის ან მისი ოჯახის წევრის გამოხატული პოლიტიკური სიმპათია ისეთი

პოლიტიკური ძალისადმი, რომელიც მოცემულ მომენტში არ იმყოფება ხელისუფლებაში.

ერთმანეთისგან განსხვავებული ასაკისა და საქმიანობის ქალებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების რესპოდენტთა უდიდესი უმრავლესობა განათლებით სწორედ დაწყებითების პედაგოგი ან განათლების სფეროსთან დაკავშირებული პროფესიის აღმოჩნდა, რაც მეტწილად იმით აიხსნება, რომ თუ ადამიანს ქალაქში დარჩენა ან მუშაობა უწევს/წარმოუდგენია, ესაა ერთადერთი ფორმალური დასაქმების სექტორი და ეს შეიძლება იყოს მიზეზი, რატომაც ტყიბულში მცხოვრებ ქალთა დიდი ნაწილი ირჩევს ამგვარ განათლებას; რადგან საჯარო სექტორის გარეთ მხოლოდ სამკერვალო ან ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში არსებული, უკიდურესად დაბალანაზღაურებადი სამუშაო ადგილებია, რომლებსაც ქალები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ. მიუხედავად ამისა, კვლევის რესპოდენტებიდან მხოლოდ ერთი მუშაობს ამჟამად საკუთარი პროფესიით, სპეც-მასწავლებლად საჯარო სკოლაში, მეორეს კი აქვს 2 წლის განმავლობაში საბავშვო ბაღში საკუთარი პროფესიით მუშაობის გამოცდილება, თუმცა, შედარებით მარტივად დასაქმებას უფრო იმას უკავშირებს, რომ პროფესიით ფსიქოლოგია და არა მასწავლებელი. რესპოდენტები აქაც საუბრობენ არაფორმალური კავშირების გავლენებზე, რომლებიც ამ სექტორში სამსახურში აყვანის პროცესს არეგულირებს.

- *განათლება, ქალებს, მეტნაკლებად ყველას აქვს. ბევრი ისეთი მეგობარი მყავს აქ, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ინსტიტუტები და სხედან სახლში, იმიტომ რომ მაღაზიაში უნდა წავიდნენ და არ უნდათ. სავაჭრო ქსელები, სუპერმარკეტები ნელ-ნელა იხსნება. მაგრამ არ მიდიან, რატომ ავიღე დიპლომი, თუ უნდა ვყოფილიყავი გამყიდველიო, ამბობენ“.* ნინო, 32
- *„დავამთავრე ინსტიტუტი, დაწყებითების მეთოდისა. 7 საჯარო სკოლაში ვერ ვიშოვე სამსახური, მიუხედავად იმისა, რომ განათლება მქონდა შესაბამისი. კარდაკარ დავდიოდი სკოლებში, ხან ტირილით, ხან თხოვნით და არ გამოჩნდა ადგილი. ბოლოს წავედი მაღალმთიან სოფელში, მცირეკონტინგენტიან სკოლაში და 6 წელი ვმუშაობდი.“* სოფო, 38
-
- *„2 წელი, საბავშვო ბაღში ვიმუშავე ჩემი სპეციალობით, ჩვენი ნაცნობი კი იყო ისიც, ვინც მიმიღო - მაგრამ მგონია, ისედაც მიმიღებდა. ზოგადად ნეპოტიზმი არის და ბოლო დროს უფრო გაძლიერდა. შენი დასაქმება დამოკიდებულია იმაზე, ვინ არიან ახლა მერიასი და ა.შ.“* თეონა, 26
- *„განათლებით მაქვს დაწყებითი პედაგოგიკა დამთავრებული. სამწელიწადნახევარი დაწყებითების მასწავლებლად ვმუშაობდი სოფელში, მერე კი ტყიბულში დავბრუნდი. ყოველთვის ჩემი პროფესიით მინდოდა მუშაობა, მაგრამ თუ არ გყავს ვინმე, ვერ დაიწყებ. ნაცნობი არავინ მყავდა და უარი მითხრეს*

და მეორე დღეს მიიღეს 8-9 კლას დამთავრებული. იმის შემდეგ მარკეტებში, გამყიდველად ვმუშაობ.“ თიკო, 40

რესპოდენტები საუბრობენ, ასევე, ზოგადად განათლების დონის გაუფასურებაზე. განათლების ყველა საჭირო საფეხურის გავლის შემთხვევაშიც კი, კომპეტენცია არ თამაშობს საკმარის როლს აღნიშნული პროფესიით თუნდაც ყველაზე დაბალ რგოლში დასაქმებისთვის, მით უფრო მაშინ, როცა შეფასების კრიტერიუმი მხოლოდ ნაცნობობაა.

- „მაგისტრატურაზე ჩავაბარე მაშინვე, იმიტომ რომ იმდენად გაუფასურებულია განათლების დონე რომ არც მიფიქრია, ბაკალავრით მუშაობის დაწყებაზე. მეტი რა საფეხური უნდა გაიარო? და მაინც რთულია აქ დასაქმება, ნაცნობი უნდა გყავდეს ან ვიღაცის მომხრე უნდა იყო, როგორც ხდება. კონკურსი ფორმალურია. თუ ძალიან არ შეუტე, ვერ დასაქმდები.“ თეონა, 26
- „მასწავლებლების დასაქმება მაინც შერჩევით ხდება. თუ გინდა რომ მოეწყო პრესტიჟულ სკოლაში (და პრესტიჟული აქ 2 საჯარო სკოლაა, I და VI), თავის დამკვიდრება თუ გინდა, თუ არ გყავს ვინმე ისეთი, გამორიცხულია, მართლა თუ გადაგდის ცოდნა და დადასტურებული გაქვს კომპეტენციები, მაშინაც კი. სამაგიეროდ, ვისაც არ აქვს კომპეტენცია - თუკი ჰყავს ვინმე, ის საქმდება. აქ ძირითადად სამსახურები არის ვიღაცის ხელის შეწყობით, ნაცნობობით. და პოლიტიკურიცაა დისკრიმინაცია. ამ ბოლო დროს გახდა პოლიტიკური. იქამდე, უფრო 2004 წლიდან 2012 წლამდე იყო“ სოფო, 38

საინტერესოა, რომ მასწავლებლად დასაქმების ბარიერად პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციაზე საუბრობენ როგორც წინა, ისე არსებულ ხელისუფლებაზე საუბრისას.

- „ზუსტად 12 წელი ვიყავი უმუშევარი - იმის გამო, რომ წინა მთავრობის მეხოტბე არ ვიყავი - ყოველთვის კრიტიკული ვიყავი და მაშინ გამორიცხული იყო, მუშაობა დაგეწყო. ეს ხდებოდა ყველა ტიპის საჯარო სამსახურში, მათ შორის სკოლაში. პირდაპირ მეუბნებოდნენ, რომ ზუსტად იმის გამო, რომ მქონდა განსხვავებული აზრი, ვერცერთ სამსახურში ვერ მიმიღებდნენ. 2012 წელში დავიწყე მხოლოდ მუშაობა საჯარო სამსახურში, იმიტომ, რომ ხელისუფლება შეიცვალა.“ მზია, 51
- „დედაჩემი პედაგოგია - 15, 20 წლიანი სტაჟი აქვს ბაღებში მუშაობის ცალკე და სკოლაში ცალკე. მთავრობა რომ შეიცვალა, დაიწყო ბაღებში კადრების განახლებები და შეიტანა საბუთები. იარა, იარა და მერე პირდაპირ უთხრეს - ნაციონალი რადგან ხარ, ვერ დასაქმდები, რისი იმედი გაქვსო. ძალიან ბევრია ეგეთი. ერთი ახლობელი მყავდა, რომელიც პოლიციაში იწყებდა მუშაობას და პირდაპირ გამგებელმა თხოვა, 5000 ლარი მომიტანე და ხვალვე დაგაწყებინებ მუშაობასო. ვიღაც თუ გყავს, კარგად ხარ და ეგრე რომ ხარ, უკვე ვეღარ რისკავ - ეგეც რომ

დაკარგო, მერე მშიერი რჩები. ამიტომაც ამ ქალაქში ყველა და ყოველთვის ჩუმადა“
- ეკა, 24

მიუხედავად იმისა, რომ ტყიბულში კერძო სექტორში ქალთა შრომით ბაზარზე უფრო მოთხოვნადია პროფესიული განათლების მქონე მუშახელი, როგორცაა მკერავი, მცხობელი, გამყიდველი და სხვა, ქალაქში არ არსებობს პროფესიული გადამზადების შესაბამისი შესაძლებლობები. ქალაქში ფუნქციონირებს „ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი“, რომელიც ძირითადად შახტის ადმინისტრაციასა და შახტში დასაქმების მსურველებისთვის გასცემს შესაბამის პროფესიულ დიპლომებს. ინსტიტუტში არსებობს სხვა კურსებიც, როგორცაა საოფისე და კომპიუტერული პროგრამების შესწავლა, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ტყიბულში, შეიძლება ითქვას, არ არსებობს საოფისე სამუშაო ადგილები მუნიციპალიტეტისა და შახტის ადმინისტრაციის გარდა, ეს ადგილობრივ ქალებს ვერაფრით ეხმარება ადგილობრივად დასაქმებაში. რესპოდენტები საუბრობენ იმაზეც, რომ აღნიშნულ ინსტიტუტში სწავლა ფორმალურია და რეალური სწავლების პროცესი არ მიმდინარეობს. გამოდის, რომ ქალაქში არსებული ერთადერთი პროფესიული სასწავლებელი არ მოდის შესაბამისობაში ქალაქში არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ქალთა დასაქმების საჭიროებების კუთხით. პროფესიული გადამზადების შემთხვევები ქალებს უფრო მეტად ახსოვთ ფრაგმენტულად, არასამთავრობო ორგანიზაციების ცალკეული პროექტებიდან. არასამთავრობო ორგანიზაციების გრანტებით დაიწყო საქმიანობა ტყიბულში რამდენიმე მცირე მეწარმე ქალმაც, რომელიც, ასევე ვერ დასაქმდა საკუთარი პროფესიით. მეწარმეები ასევე საუბრობენ კვალიფიკაციის პრობლემასა და გადამზადების სერვისების არარსებობაზე.

- „პროფესიით პედაგოგი ვარ, უმაღლესი განათლებით, მაგრამ ვერ ვიწყებდი ჩემი პროფესიით მუშაობას და დავიწყე კერვა. ეს საქმიანობა დავიწყე სწორედ იმიტომ, რომ მეუღლემ დაკარგა სამსახური - მოხსნეს 2012 ში (პოლიციაში მუშაობდა) მთავრობის ცვლილებასთან ერთად. მანამდე მე ნათხოვარი საკერავი მანქანა მქონდა. ახლა საკუთარი ატელიე მაქვს და ორი დასაქმებული მყავს. კიდევ დავასაქმებდი, მაგრამ კადრი არ არის კვალიფიციური. რეალურად მე დამსაქმებელიც ვარ, დასაქმებულიც ვარ, დამლაგებელიც ვარ და ყველაფერს მე ვაკეთებ, არადა შემიძლია დასაქმება. გადამზადების ადგილიც არაა, რომ ისწავლონ.“ ნათია, 39

- „პროფესიით ვარ მედდა. საკუთარი განათლებით არ მიმუშავია, იმიტომ რომ აქ ეგ შეუძლებელი იყო. 14 წელი ვიჯექი სახლში. კორუფცია იყო ადრეც, ყოველთვის, და დღემდე არი. იბულებული გავხდი რომ მომეფიქრებინა, რა გამეკეთებინა და მესწავლა ჩემით. ჯერ სალონი გავხსენი, 2004 წელს. საწყისი კაპიტალი ასი დოლარი იყო, გზავნილი სიძის - პირველად ვნახე მაშინ 100 დოლარი და ჯერ ვიტირე. მერე ვიყიდე ფენი, და მაკრატელი სახლიდან წავიღე. პირველი ორი ლარი რომ ვიშოვე,

მაშინაც ვიტყვი. ახლა საკონდიტრო და საცხობი მაქვს უკვე 5 წელია - ჩემით ვისწავლე. არაერთხელ მოვიყვანე სხვა, დასაქმებისთვის. არაერთხელ დამიწერია, რომ ვემბ მცხოვრებს - ჯერ თანხას მეკითხებიან, მაშინ როცა მე კვალიფიკაცია მჭირდება - ვასწავლი კიდეც, მაგრამ დიდხანს დარჩენას არ აპირებენ და ამიტომ თანხა უფრო აინტერესებთ, ვიდრე სწავლა - 500 ლარსაც გადავუხდი დღესაც რომ მოვიდეს, ოღონდ კი ცხოვა იცოდეს ან დარჩეს და ისწავლოს.“ - ლალი, 55

კვალიფიციური კადრების არარსებობას, ხელს უწყობს, ასევე, ტყიბულიდან ახალგაზრდების სასწავლებლად გადინება და ხშირად მათი მშობლების წაყოლა სხვა ქალაქებში; ისევე, როგორც საშუალო და ასაკოვანი ქალი მოსახლეობის შრომითი მიგრაცია საზღვარგარეთ. ახალგაზრდები სერვისისა და მომსახურების სფეროში დასაქმებით დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში უფრო დიდ ანაზღაურებას იღებენ და აღარ აქვთ მიზეზი ქალაქში დარჩენის, მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქში გაცილებით დიდია ხარჯი და უმეტესობას ქირით უწევს ცხოვრება; ის ქალები კი, რომლებიც ფლობენ სხვადასხვა პროფესიულ უნარებს და არსებულ სამუშაო ადგილებს შეავსებდნენ, როგორც კვალიფიციური კადრები, საზღვარგარეთ, ოჯახებში მუშაობენ.

- *„რადგან მე თბილისში ბინა არ მაქვს და ქირა უნდა ვიხადო; და 300 ლარად ვერ ვიქირავებ თბილისში, რადგან უბრალოდ საცხოვრებელი პირობები არ იქნება; და რომ ვფიქრობ, რაში ვხარჯავ ფულს ან რამდენი უნდა მქონდეს, რომ ქირაც ვიხადო და თან ვიცხოვრო, მაშინ როცა ტყიბულში 300-400 ლარით იცხოვრებ დღეს; და რომ ვფიქრობ, რომ იქაც უნდა ვიმუშაო და აქაც უნდა ვიმუშაო - უბრალოდ აქ მეტი დამრჩება, ვიდრე თბილისში - ტრანსპორტი, ბინა, და ათასი რამეა იქ; მაგრამ, მერე რომ ვუყურებ აქაურობას, გენანება თავი აქაურობისთვის, იმიტომ რომ აქ არაფერია. რა უნდა აკეთო - მუშაობის გარდა - მეგობრებს ვერ ნახულობ, ყველა წასულია, სახლში ზიხარ.“ თეონა, 26*
- *„ვისაც მუშაობა უნდა, გასულია თბილისში და გასულია ემიგრაციაში. აქ მარტო ის მუშაობს, ვინც ვიღაცას ვერ ტოვებს, ან რამე სხვა მიზნით ვერ მიდის. ჩვენთან კარგი გოგოები ვინც იყვნენ, ოჯახებში თუ საცხოვრებში - ანუ ვისაც შეეძლო, მაგალითად, ჩემთან დასაქმება, ყველანი გავიდნენ ქალაქიდან, როგორც კი შვილებმა ჩააბარეს თბილისში. იქ იგივეს აკეთებენ, ოღონდ გაცილებით დიდი დატვირთვით. ანუ კარგი კადრები გაედინებიან თბილისში ან ქუთაისში. შვილები ყავთ იქ და ურჩევნიათ, ქირას ინაწილებენ და მერე არც ბრუნდებიან. ყველანი რჩებიან. ვინც მეგონა, რომ საცხოვრებში იმუშავენდა, გავიხედავ, იტალიაშია და იქ, კერძო ოჯახში აცხობს.“ ლალი, 55*

განვითარებისა და კარიერული წინსვლის პერსპექტივები

ინტერვიუები ავლენს, რომ ტყიბულის ქალთა შრომის ბაზრის უკლებლივ ყველა, დასაქმების მსხვილი თუ წვრილი, საჯარო თუ კერძო სექტორი ერთი და იგივე ფაქტორებით შეზღუდულია განვითარებისა და სამსახურეობრივი წინსვლის, კარიერული ზრდისა და სოციალური მობილობის ამაღლების თვალსაზრისით.

კერძო სექტორში, მაგალითად „საქნახშირში“ დასაქმებული ქალებისთვის, რომლებიც ძალზე მცირე ნაწილს წარმოადგენენ ქალების საერთო რაოდენობისა, სოციალური მობილობის მნიშვნელოვანი ამაღლების ერთადერთ საფეხურს წარმოადგენს ადმინისტრაციაში დასაქმება, რაც, ადგილობრივთა ინფორმაციით, თითქმის არასდროს ხდება, ვინაიდან ადმინისტრაციაში უფრო მეტად მუშაობენ არაადგილობრივები, ტყიბულელები კი, თუ მუშაობენ, უშუალოდ მოპოვებით საქმიანობაში არიან ჩართული. მოპოვებით საქმიანობაში ჩართული ქალებისთვის, საჯარო სექტორის მსგავსად, შედარებით მაღალი პოზიციის დაკავება მხოლოდ მცირედ სახელფასო განსხვავებას გვამლევს და ხშირად, დამოკიდებულია ისევ საჭირო „ნაცნობის“ ყოლაზე და ადმინისტრაციასთან კარგ ურთიერთობაზე. იშვიათი კვალიფიკაციისა და განათლების შემთხვევაშიც კი, რომელიც საწარმოს შეიძლება სასიცოცხლოდ სჭირდებოდეს და ჰქონდეს მხოლოდ ერთ კანდიდატს, ამ „ნაცნობის“ გარეშე, შესაძლოა, ადამიანი მაინც ვერ დასაქმდეს საკუთარი სპეციალობის შესაბამის პოზიციაზე. თუმცა, როგორც რესპოდენტი აღნიშნავს, აქ ნაკლებად მუშაობს გენდერული ფაქტორი.

- *„ვმუშაობ „საქნახშირში“, მაგრამ არა ჩემი პროფესიით, არამედ ჩვეულებრივ მუშად. რუსეთში მაქვს ნასწავლი ეს სპეციალობა - რომელიც მხოლოდ მე მაქვს აქ. ვიცოდი, რომ არ ჰყავდათ ასეთი სპეციალისტი, რომ სჭირდებოდათ და ვერ პოულობდნენ, ჩემი დიპლომით ვიყავი მისული, მაგრამ არ მიმიღეს, იმიტომ, რომ არავინ არ მყავდა. ჯერ მითხრეს მიგიღებთო, მაგრამ მერე მითხრეს, სწავლა თუ გინდოდა, საქართველოში რატომ არ ისწავლეო - მიზეზს ეძებდნენ. ქალი რომ ვარ, იმიტომ არა - იმიტომ, რომ არავინ მყავდა. და იმის შემდეგ, 14 წელია ვმუშაობ ამ ერთსა და იმავე პოზიციაზე.“ ინგა, 59*

ბანკში მომუშავე რესპოდენტი სამსახურეობრივ დაწინაურებაში ასევე გამორიცხავს გენდერულ ფაქტორს და ხაზს უსვამს უშუალოდ ბანკისთვის მნიშვნელოვანი მოქმედებების შესრულების ხარისხს.

- *„შტატზეა დამოკიდებული დაწინაურება, ვინმე თუ წავა, და გამოთავისუფლდება, მერე იქნება შესაძლებლობა დაწინაურების. მაგრამ მთავარი ფაქტორია ბანკისთვის რაც მნიშვნელოვანია, გაყიდვების კუთხით, მაგამი როგორი ხარ. საბონუსე სისტემაზე ანაზღაურების მაგაზეა დამოკიდებული - რაც უფრო მეტ სერვისს შესთავაზებ მომხმარებელს და გაყიდი. თუ კარგი ხარ, ყველა კარი ღია გაქვს. მე არ შემიძლია ეგ მაგალითად. მე თვითონ არ მომწონს ეს, რასაც ბანკები სთავაზობენ*

ადამიანებს, და არ შემოდის მაგაზე ვეწუწუნო ხალხს. მაგის გამო ალბათ დამიწუნებენ, იმის გამო არა, რომ გოგო ვარ.“ კვა, 24

რაც შეეხება მკერავებს, ვინაიდან სამკერვალო ფაბრიკაში ყველას ფიქსირებული ხელფასი აქვს, მათთვის სოციალური მობილობის განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ერთიანად ყველას მნიშვნელოვნად გაეზრდება ხელფასი ან თუ რომელიმე მკერავი ადმინისტრაციაში გადაინაცვლებს, რაც, ასევე, რთულად წარმოუდგენიათ. დაწინაურებისა თუ განვითარების სხვა პერსპექტივა, ამ ტიპის სამუშაო ადგილზე, შეიძლება ითქვას, შესაბამისად, არც არსებობს.

კერძო სექტორის დანარჩენი ნაწილი, რომელიც გულისხმობს სავაჭრო და კვებით ობიექტებს, კიდევ უფრო ნაკლებად გამოირჩევა დაწინაურების - სოციალური მობილობის ამადლების შესაძლებლობებით. კონსულტანტები, გამყიდველები, მიმტანები შეიძლება, მაქსიმუმ გახდნენ მენეჯერები ამავე ობიექტებში, რაც, ერთი მხრივ, არ გვაძლევს რაიმე მნიშვნელოვან სახელფასო დონის ცვლილებას, მეორე მხრივ კი - არც რაიმე ტიპის პროფესიულ ზრდა-განვითარებას.

ყოველივე ზემოთქმულის შესაბამისად, კერძო სექტორში ქალთათვის კარიერული განვითარების პერსპექტივები ლიმიტირებულია თავად არადივერსიფიცირებული შრომითი ბაზრით, დაბალი ხელფასებითა და დაბალანაზღაურებადი სამუშაო ადგილებით და მოწყვლადი მომსახურების სექტორით, უშუალოდ სამუშაო ადგილზე განვითარებისა და დაწინაურებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად გენდერულ დისკრიმინაციაზე საუბარი კი, რესპოდენტებს, ხშირად უადგილოდ ეჩვენებათ.

საინტერესოა, რომ ქალები, რომლებიც გამოწვევისათა რიცხვს მიეკუთვნებიან, ვინც ითვლება წარმატებულ კერძო მცირე მეწარმედ - და ქალაქში მხოლოდ რამდენიმე ასეთი, ასევე ვერ ხედავენ განვითარების - ბიზნესის გაფართოების და მეტი ადამიანის დასაქმების შესაძლებლობებს, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი შემოსავლებით მეტნაკლებად კმაყოფილები არიან. შრომის ბაზარზე არსებული სხვადასხვა ლიმიტებიდან გამომდინარე, როგორცაა ისევ და ისევ კვალიფიციური კადრების არარსებობა, პროფესიული გადამზადების სივრცეების არარსებობა და სხვა, მათი აზრით, შეუძლებელი ხდება საწარმოო საქმიანობის განვითარება. ამ პირობებში, მათი აზრით, მათ უკვე მიღწეული აქვთ საკუთარი საქმიანობის მაქსიმალური საფეხურისთვის.

- *„მარტო ვმუშაობ. საბავშვო ტორტებია, შეკვეთებია. თბილისთან განსხვავებით დაბალი ფასებია, მაგრამ ზოგადად ფასთან პროდუქციას ვაკეთებ. ტყიბულში ვერანაირად ვეღარ წარმომიდგენია ჩემი საკონდიტროს განვითარება. გინდა გაიზარდო, მაგრამ საშუალებას არ გაძლევს თვითონ ქალაქი. გადინებაა ხალხის, არაა კლიენტი. არაა კვალიფიციური კადრი. აგერ მაქვს სივრცე, მაქვს ინვენტარი, ვერ დავასაქმე ვერავინ. ბაზართან მაქვს ვიტრინა, ტორტების და ლობიანი-ხაჭაპურის. გერ აქ ვაცხოვრებ და დილიდან იქ მიმაქვს რომ მე თვითონ გავყიდო.*

იქაც მე ვარ, აქაც მე ვარ. ერთი ვარ. ვერ გავიზრდები ვერანაირად, რაც არ უნდა ფული მქონდეს და ჩავდო საქმეში, წყალში გადაყრილი იქნება.“ ლალი, 55

- *„მოთხოვნა ჩემ პროდუქციაზე ძალიან დიდია, აქ რომ ვეღარ ვიღებ შეკვეთებს, უკონტაქტო კერვა დავიწყე. ახლა ამ წუთში 3 ადგილობრივი შეკვეთა მაქვს მარტო. დანარჩენს ფოსტის საშუალებით ვაგზავნი და ძალიან კომფორტულია. ტექნიკაც ყველანაირი მაქვს, ყველანაირი სირთულის კერვისთვის. კიდევ დავასაქმებდი სხვებს, მაგრამ კადრი არ არის კვალიფიციური - არადა კარგი პირობები მაქვს, ხელის შეწყობა შემძლია.“ - ნათია, 39*

საინტერესო ისაა, რომ თუ სოციალური მობილობის განხორციელების, ქალთა განვითარებისა და კარიერული წინსვლის, პროფესიული ზრდის შესაძლებლობები კერძო სექტორში წინასწარგანსაზღვრულია ადგილობრივი შრომის ბაზრის გამოწვევების მიერ, საჯარო სექტორში ეს შესაძლებლობები ლიმიტირებულია უკიდურესად მიზეზული ხელფასების ფაქტორით. იმ დაბრკოლებების გადალახვის შემთხვევაშიც კი, რომლებიც კვლევის წინა ნაწილებში მოვიყვანეთ - როგორცაა სამსახურში აყვანისას არაფორმალური გავლენები, პოლიტიკური სარჩულით ადამიანების დისკრიმინაცია და სხვა, განვითარების პერსპექტივები მაინც შეზღუდულია აქ დასაქმებულთათვის, რაც კადრების გადინებას იწვევს.

- *„რადაცის პერსპექტივა რომ ყოფილიყო - 7 წლის განმავლობაში მერიაში საფინანსო განყოფილებაში მუშაობის შემდეგ, თბილისში გაქცევა ხომ არ მომინდებოდა? ან სამი თვით საზღვარგარეთ წასვლა? დაწინაურებას ჩემი წასვლის შემდეგ ჩემი ქვედა რგოლი თუ შეძლებს, მაგრამ ამის იქით ხომ ისიც ვეღარ ავა? 700 ლარი მაქვს ხელფასი. აქ მოვედი 22 წლის და 29 წლის ისევ იქ ვარ, საიდანაც დავიწყე - ხელფასები არ იზრდება, ჩემი სპეციალობის ამაზე მაღალ საფეხურზე ვეღარ ავალ. ამას რომ ხვდები, იმას კი აღარ ფიქრობ, თბილისში წახვიდე თუ არა, იმას ფიქრობ, რომ დაავგიანე წასვლა!“ მირანდა, 29*

საჯარო სამსახურებში მმართველობით, დირექტორის პოზიციებზე დასაქმების შემთხვევაშიც კი, ხელფასი უფრო დაბალია, ვიდრე, ვთქვათ ყველაზე მაღალი რანგის მემბატის ხელფასი. ყველაზე მაღალი საფეხურიც რომ წარმოვიდგინოთ, მაგალითად, ქალაქის მერის ხელფასი, ის შეიძლება აღმოჩნდეს უფრო ნაკლები, ვიდრე ნებისმიერი მიგრანტი ქალის თვიური შემოსავალი უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად, ადგილობრივ ქალებს, რომლებსაც აქვთ კარგი განათლება და განვითარების სურვილი, არ უღირთ მთელი ცხოვრება ისეთი საფეხურის მიღწევას შეალიონ, სადაც გადახდილი ანაზღაურებით ოჯახებსაც კი ვერ შეინახვენ სრულფასოვნად და მათი ნაწილი, საბოლოოდ, საზღვარგარეთ მიგრაციას ირჩევს.

- *ახლა თქვენთვის ხომ წარმოუდგენელია რომ 180 კაციან ორგანიზაციას ხელმძღვანელობდე და ხელფასი გქონდეს ხელზე 800 ლარამდე. და აქამდე*

მოსასვლელად 30 წელი რომ შრომობდი, წარმოიდგინეთ. რა განვითარებაზეა საუბარი?“ მზია, 51

რომ შევაჯამოთ, ყველა ზემოთჩამოთვლილი თავისებურება: არადივერსიფიცირებული შრომითი ბაზარი, სამუშაო ადგილების შემავსებელი არაეფექტური საჯარო სექტორი და დაბალანაზღაურებადი, მოწყვლადი სამუშაო ადგილები ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში; საპენსიო ასაკში მყოფთა დასაქმების მაღალი წილი - განსაკუთრებით მოქმედებს ახალგაზრდა ქალებზე, რომლებიც ვერც შახტაში იმუშავენ სურვილის შემთხვევაში; ხოლო იმ შემთხვევაშიც კი, თუ განათლებას ქალაქში არსებული შრომითი შესაძლებლობების შესაბამისად დაგეგმავენ და გახდებიან პედაგოგები, მაინც გაუჭირდებათ მუშაობის დაწყება; ალტერნატივად კი მხოლოდ ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში უკიდურესად მოწყვლადი სამუშაო ადგილები რჩებათ - ყველაფერი ეს მოქმედებს ქალაქიდან ადამიანების განდევნის, ქალაქის კუმშვის ფუნქციით და სხვა ქალაქებსა და დედაქალაქში გარდაუვალი მიგრაციით, ხშირად დაბრუნების პერსპექტივის გარეშე.

თუმცა, რესპოდენტთა საუბრები ავლენს, რომ ტყიბულში ქალთა შრომის ძირითადი და განსაკუთრებული თავისებურება სულ სხვა რამაა: მიუხედავად ადგილობრივი, თუნდაც არადივერსიფიცირებული შრომითი ბაზრის ფორმალური ჩარჩოს არსებობისა, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ტყიბულელ ქალთა დიდი ნაწილი უმუშევარია. ინტერვიუები ცხადყოფს, რომ ტყიბულელ ქალთა დიდი ნაწილი ნაწილი შრომობს ქვეყნის გარეთ, სულ სხვა ქვეყნების და ქალაქების საოჯახო, ზრუნვის შრომის სექტორში, ამ განსაკუთრებული თავისებურებას კი მკვეთრად გამოხატული გენდერული ხასიათი აქვს, რასაც მომდევნო თავში დეტალურად განვიხილავთ.

ტყიბულელ ქალთა მიგრაცია და მისი შედეგები

ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ტყიბულის შრომისუნარიანი მოსახლეობის ქალთა უდიდესი ნაწილი არის არა უმუშევარი, არამედ ათვისებულია ადგილობრივი და ეროვნული შრომითი ბაზრის გარეთ და ჩართულია ძირითადად კვლავწარმოების გლობალური მიწოდების ჯაჭვში განვითარებადი და პოსტ-საბჭოთა ქვეყნებიდან - განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისა და საქართველოსთან შედარებით განვითარებული „სამხრეთის“ ქვეყნებისათვის (აროშვილი, 2020). განვითარებადი ქვეყნებიდან შრომით მიგრაციას მკვეთრად გამოხატული გენდერული ხასიათი აქვს 1980-იანი წლებიდან (Kofman and Parvati, 2015), თავად ზრუნვის სექტორის გენდერული წინასწარგანსაზღვრულობისა და გლობალური სიღარიბის ფემინიზაციის გამო, რასაც მონოინდუსტრიულ ქალაქებში დამატებით წამახალისებელ ფაქტორად ემატება კაც მშრომელებზე ორიენტირებული სამთო-მოპოვებითი მძიმე შრომის ხასიათი და სამთო-

მოპოვებით სექტორში დასაქმებულთა ხელფასებისა და ცხოვრების სტანდარტის ისტორიული გაუარესება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის მოსახლეობის რიცხოვნობის მონაცემებს თუ დავეყრდნობით, 1989 წელს მხოლოდ ქალაქ ტყიბულში, მუნიციპალიტეტის სოფლების გარეშე, ცხოვრობდა 22,000-მდე ადამიანი. 2002 წლისთვის ეს ციფრი 14,500 მდე შემცირდა, 2014 წლის საყოველთაო აღწერით კი 9,770-ს შეადგენს. 2001 წლის შემდეგ, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 34%-ით არის შემცირებული.

ტყიბულიდან მიგრაცია ხდება როგორც შიდა -სხვა ქალაქებსა და დედაქალაქებში გადინების თვალსაზრისით, ისე გარე - სხვა ქვეყნებში გადინების დონეებზე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი მიგრაციას 2012 წლიდან ითვლის, შსს სასაზღვრო პოლიციის მონაცემებზე დაყრდნობით, რომელშიც, ხშირად ვერ ხვდება ქალ შრომით მიგრანტთა ძირითადი კატეგორია - ე.წ არალეგალები. გარდა ამისა, არ არსებობს მუნიციპალიტეტების მიხედვით მიგრანტთა რაოდენობის აღრიცხვა, ისევე, როგორც ცალკე შრომითი მიგრაციის აღრიცხვა, რაც შეუძლებელს ხდის, ვიცოდეთ ტყიბულის მუნიციპალიტეტიდან შრომით მიგრანტთა ზუსტი რაოდენობა და გენდერული განაწილება, თუმცა, ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუებიდან, რომელიც ქალაქის მაცხოვრებელთა ზოგად დამოკიდებულებებს ავლენს, ირკვევა, რომ ტყიბულიდან ქალთა შრომითი მიგრაცია ძირითადად არალეგალური, მასშტაბური, უწყვეტი და ზრდადია.

საბჭოთა კავშირის ნგრევისა და ქვანახშირის მოპოვების გაჩერების შემდეგ, ქალაქი უამრავმა ადამიანმა დატოვა, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ 2006 წელს, საწარმოს პრივატიზებისა და მოპოვების პროცესის განახლების შემდეგ¹⁰ - ქალაქში კაცთათვის დასაქმების პერსპექტივა და საშუალება კვლავ გაჩნდა, ქალთათვის კი ეს შესაძლებლობები საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომ არ აღდგენილა.

თუ შიდა მიგრაციაზე, ანუ ქვეყნის სხვა ქალაქებსა და დედაქალაქში გადინებაზე ქალაქში არსებული უმუშევრობა და სოციალური უპერსპექტივობა მოქმედებს, ტყიბულიდან უმუშაოდ ქალთა და უმუშაოდ საზღვარგარეთ გადინებაზე - ადგილობრივ შრომით ბაზარზე ქალთათვის ღირსეული სამუშაო ადგილების არარსებობის გარდა, მოქმედებს თავად შახტებში არსებული ხელფასების სიმწირე, ეროვნული ვალუტის გაუფასურება, გავალიანების მაღალი და მწვავე მაჩვენებლები, ფასიანი უმაღლესი განათლების სისტემა და ჯანდაცვაზე დანახარჯების სიძვირე და სხვა; ანუ ის ასპექტები, რომელთა გადაჭრაც შეუძლებელი ხდება ეროვნულ ვალუტაში გამომუშავებული თანხით. შეიძლება ითქვას, ქალაქის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტი დღეს შრომითი მიგრაციის წამახალისებლად

¹⁰ აღსანიშნავია, რომ საწარმოს პრივატიზაციის შემდეგ წარმოება აღდგა მცირე მასშტაბით, ვიდრე ეს საბჭოთა კავშირში იყო, როცა მუშაობდა 4 შახტი. ამჟამად ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი - მიმიგურ-მინდელის შახტი.

მოქმედებს და ვინაიდან ქვანახშირის საწარმო ჯერ კიდევ ასაქმებს კაცებს, ოჯახში უფრო მაღალი ღირებულების მქონე - უცხოური ვალუტის შემოტანის ფუნქცია ქალებს ეკისრებათ.

მაინც, რა მასშტაბი შეიძლება ჰქონდეს ტყიბულიდან ქალთა საზღვარგარეთ გადინებას?

- „ფეისბუქზე რომ შევდივარ, ყველა ან იტალიაშია, ან საბერძნეთში - ყველა აბსოლუტურად. ყოველი მეორე ქალი წასულია და ყოველი მეორე კაცი შახტიორია“ თიკო, 40
- ყოველი მესამე ოჯახიდან 1 მაინცაა წასული. ქალაქი მთლიანად გარედან შემოსული ხელფასებით არის და ვინც მაღაზიები გახსნეს, თავის დროზე, აქ თუ ვინმეს რამე აქვს, ყველას ვიღაც ყავს საზღვარგარეთ“ ინგა, 59
- „ვისაც ვიცნობ, ყველა თითქმის ყველა ამ კორპუსშიც, სამეზობლოში, ყველა წასულია საზღვარგარეთ ქალები. თბილისშიც და სხვადასხვა ქალაქებშიც, მაგრამ ძირითადად ემიგრაციაში და საერთოდ, ტყიბული ქალების მხარზე დგას“ - ნათია, 39
- „ჩემი და არის წასული მაგალითად, იტალიაში. კრიზისი გვექონდა და გვიჭირდა. მამას ჯანმრთელობა, პლუს სესხები. თავიდან ბრმად წავიდა, დეიდაჩემის იმედი ჰქონდა, დეიდაჩემიც წასულია. მერე იშოვა სამსახური - მოხუცს უვლიდა და დიდხანს გვინახავდა მაგით. ძან ბევრია წასული, ქალები. ამ კორპუსში სულ ვცხოვრობთ 15 ოჯახი და ჩვენს გარდა კიდევ 3 ოჯახიდან წასულია. ზოგადად, რაც მესმის, ირგვლივ მაქსიმალურად ცდილობენ და გზებს ეძებენ, რომ წავიდნენ. უშრომელად არც იქ უწევთ და მძიმეა იქაც, უბრალოდ ანაზღაურება, რომელსაც გზავნი, იქ არაფერია, მაგრამ აქაურობისთვის ბევრია“. ეკა, 24

ერთ-ერთი რესპოდენტი აღწერს მდგომარეობას, რომელიც მას ემიგრაციაში წასვლამდე დაუდგა. უშუალოდ წასვლის გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც მხოლოდ თვითონ გახდა მარჩენალი და მაღაზიებში ან სამკერვალოში მუშაობით ვალების გადახდა და ოჯახის რჩენა შეუძლებელი იყო.

- „მეუღლემ გადაიტანა ორჯერ ინფარქტი, ვეღარ მუშაობდა შახტაში. ბოლო 1 წელი მაგნიტის ქსელში ვმუშაობდი სალაროსთან, მქონდა 350 ლარი. შემდეგ შეგვიძვირეს საათები და გაგვიხდა 250 ლარი. სამი შვილის დედა ვარ. ყველაფრის გაყიდვა მოგვიწია უცებ, რაც კი ოდესმე შეგვიქმნია. ნერვულ, კრიზისულ მდგომარეობაში ვიყავი - თოკით რომ დაგკიდონ და ვერც სუნთქავდე და არც დაგახრჩონ. მაგნიტის გახსნამდე 2-3 თვე საერთოდ არაფერი არ გვექონდა. არ ვიცი როგორ ვიცოცხლეთ. ბანკის ვალით წამოვედი. მე რომ აქ არ წამოვსულიყავი, ჩემი ოჯახი ალბათ დაღუპული იქნებოდა, ან თავს მოვიკლავდი. ადამიანს აღარ ვგავდი,

ნორმალური აღარ ვიყავი - ჩემ თავს რო ვუყურებდი. ლაპარაკიც აღარ მინდოდა არავისთან, პრობლემები ყველაფერი ჩემი მოსაგვარებელი იყო და ვერანაირ გამოსავალს ვერ ვპოულობდი - სადაც გინდა წადი, რაც გინდა გააკეთო, ვერაფერს ვერ გააკეთებ, ვერაფერს!“ ლია, 52

მიგრანტი მშრომელების უმეტესობა იტალიაში, საბერძნეთსა და თურქეთში კერძო ოჯახებში, მოხუცთა მომვლელებად მუშაობს. ეს სამუშაო ძირითადად დამსაქმებლის სახლში ცხოვრებასა და კვირაში მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ გულისხმობს გარეთ გასვლის უფლებას. ასეთი ტიპის სამუშაოზე წასული ქალების უმეტესობა არაღეგალია, როგორც თავად უწოდებენ „უნო“ და „უსაბუთო“, რაც მათ განსაკუთრებით მოწყველად ფიზიკურ, მენტალურ და სოციალურ სიტუაციაში აყენებს.

- „მაქედან ვფიქრობდი, რომ ჩამოვიდოდი - 2 წელი და ყველაფერი მოგვარდებოდა, მაგრამ არ არის ეგრე, არ არის აქ ადვილი. აქ ხარ შენ ჩვეულებრივი შავი მუშა, მონა, მოსამსახურე, ჩვეულებრივი. მოგიჩვენს შეურაცხყოფის ატანაც, და ყველაფერი. და იცი რა დღეს გადიან გოგონები აქ? ურთულეს პირობებს გადიან. გიყვებს უვლიან - წივილი, კივილი, ცემის მოლოდინში არიან. ყოფილა შემთხვევა რომ ურტყამენ, ვისაც უვლიან ისინი და ეს უნდა აიტანო, იმიტომ რომ სხვა სამსახურს ვერ იპოვი. არაა ეგეთი ადვილი, როგორც მაქედან ჩანს.“ ხათუნა, 58

- „ენა რომ არ იცი, არაფერი არ იცი, წარმოიდგინე. წელიწადნახევრის წინ წავედი. მომეხმარა ახლობელი, ვიქირავე ბინა. თვის ბოლომდე სასწაულად უნდა მეშოვნა ფული - ბანკის ვალი იყო გადასახდელი და სახლში საკვები არ ქონდათ.

ღვთის წყალობით, ვიშოვე, მაგრამ საშინელ ოჯახში მოვხვდი.

ბებია და ბაბუა იყვნენ - ბებია საშინელ დღეში მაგდებდა. ჯერ რას გელაპარაკება, ხომ არ გესმის, მერე დივანზე რატომ ჯდებაო, ამბობდა, საბანაოდ რატომ შედისო - კვირაში ერთხელაც რომ დაგებანა ამასაც ვერ იტანდა - წყალი, დენი მეხარჯებაო. მე კიდე, ჩაკეტილი ვიყავი ამათთან, გარეთ ვერ გავდიოდი, პანდემია იყო. საჭმელს ვერ შეჭამდი. გრამებით გიწონიდნენ, როცა გაჭმევდნენ - და იმის იქით, შენიც რომ გქონოდა და გეჭამა, როგორ ჭამ ამდენსო გეუბნებოდნენ და ფაქტიურად შიმშილობა მიწევდა.

დამჯდარს ვერ გიტანდა საერთოდ, საქმე რომც არ ყოფილიყო. ბოლოს რომ ველარ ვძლებდი, ვუთხარი, არ შემძლია, ცუდად ვხდები, უნდა ვჭამო თქო. წარმოიდგინეთ ეხლა როგორია. როცა ლუკმას გითვლიან დაჯდე და ჭამო. კვირაში გადიხარ ორჯერ მარტო გარეთ და კი ვყიდულობდი ბოლოს რაღაცეებს ჩემთვის, მაგრამ ისე უნდა მეჭამა, იმას ვერ დაენახა - დაურეკავდა ვინც დამასაქმა, და ეტყოდა რომ სულ ვჭამ.“ ლია, 52

- „იმ ოჯახმა, რომელშიც ვმუშაობდი, არ გამიფორმა კონტრაქტი, რომელიც ლეგალურად მომცემდა მუშაობის უფლებას - საგადასახადოში რაღაც უნდა გადაეხადათ და უარი თქვეს. თან უსაბუთო რომ ხარ, შემოწმებას დაიწყებენ და ჯარიმას დამიწერენო და ვეღარ იმუშავებო აქო - გამომიშვა სამსახურიდან. საერთოდ პანდემიის დროს 80% გოგოების გამოყარეს, ზოგი არც გააფრთხილეს პირდაპირ ჩემოდანი დაახვედრეს უცბად კარებთან, რომ სახლში ვეღარ შემოხვალთო. სად გაათენეს, სად წავიდნენ არც უკითხავს არავის. აქბევრი აკეთებს, როცა უკვდებათ ბებია, აცილებენ, მანქანით მიიყვანენ ხოლმე დანიშნულების ადგილამდე, ტვირთს მიატანინებენ და ასე შემდეგ. ამას არ უფიქრია- ვსო უნდა დაასრულო და მორჩა, მეუბნება. 1 დღე მაინც სადმე საცხოვრებელი რომ ვიშოვო და გადავიდე, ამის დროც არ მომცა, გამოგვიხურა კარები. მერე ერთმა ტყიბულელმა გოგომ შემიფარა, მომიძებნა ვიღაცა ვინც ბინას აქირავებდა და მოკლედ... ეგეთი სტრესები. მერე გამიმართლა და კი ვიშოვე სამსახური, დღესაც მაგ ოჯახზე ვლოცულობ, იმდენად დამაფასეს.“ ხათუნა, 58

რესპოდენტები საუბრობენ, ასევე, ოჯახური ურთიერთობების მტკივნეულ დეგრადაციაზე და გაუცხოებაზე, რომელიც დისტანციის შედეგად ჩნდება და მიგრანტი ქალი აღიქმება, მხოლოდ როგორც გადმომრიცხავი, რომელიც უკან არ უნდა დაბრუნდეს.

- „მე კი მინდა დაბრუნება, მაგრამ არ მაქვს მაგის იმედი. მაგრამ სულ ხო არ იქნები, ხო უნდა წახვიდე სახლში. ორი შვილიშვილი მყავს არცერთის დაბადების დღეზე არ ვყოფილვარ. ერთი მესამე კლასშია უკვე, ერთი პირველში. კომპიუტერის ბებიები ხო არ ვიქნებით. კაცის სამუშაოს ვერ ნახავ ემიგრაციაში, ქალი მიდის ოჯახში. ამიტომ ყველა ოჯახს აკლია დედის ხელი. მე რომ წამოვედი ჩემი შვილი მეცხრე კლასში დავტოვე და ვიცი, რომ იმას აკლია დედის სითბო.“ ხათუნა, 58
- „ოჯახები ფაქტიურად აღარ ვარსებობთ. ამას არ ქვია ოჯახი. მე ჯერ ჩემი შვილებისგან არ მიგრძენია რომ - მანდ იყავი ფული გამომიგზავნე ოღონდაცო - მაგრამ, ვიცი რომ არის ასე, ხდება - სად უნდა ჩამოხვიდე, დაეტე მანდო, 9-10 წელიწადია რომ ხალხი აქარის, მერე ასე ემართებათ. იმდენი პრობლემები გვაქ, სად მოდიხარო - ეუბნებიან. აქ როცა ხარ, ყველაფერზე უარი გაქვს ნათქვამი, ხარ უბრალოდ მარჩენალი და მეტი არავინ - არ არსებობ, მუშაობ 24 საათი დღე-ღამე. დაგიძახებს უნდა ადგე, რას ქვია არ მიხვალ და არ მიხედავ, რა დროც არ უნდა იყოს. ფსიქოლოგიურად ეს კომმარია, ოთხ კედელში უნდა იარო. კვირას 2-დან 8 საათამდე გავალ გარეთ და ის დღე ისე ვიღლები, დაასვენება კიარა, ყველაფერი უნდა მოასწრო - საყიდელი გასაგზავნი თუ გაქვს რამე და უარესად იღლები“ ლია, 52

- „ტყიბულში რომ დავრჩენილიყავი, ხელფასი უნდა მქონოდა 1000-1500 მაინც უნდა მქონოდა რომ გვეყოფნოდა. ოდესღაც ეგ დიდ ხელფასად ითვლებოდა, ეხლა რაღაა? 37 ლარი ღირდა ერთი ტომარა ფეხილი და ახლა 70 ღირს. 100 და 200 ლარად მთელი თვის უბრალო საჭმელს ვყიდულობდი ადრე. ეხლა 200 ლარად 1 კვირის საკვები თუ იყიდა ოჯახმა, გამორიცხულია. ვერ ავუდივარ ფულის გაგზავნას. 50 ევრო რო გადავდო, რო ბოლოს და ბოლოს ბილეთის ფული მქონდეს, ეგეც არ მრჩება. ვერ ვაგროვებ. ჩემთვის არაფერი არ მრჩება. რამე რო ვიყიდო ჩემთვის - გამორიცხულია. მერე იქით უკვე აკლდებათ. აქ არაფერია ეგ ფული, კაპიკებს გიხდიან - 600-700 ევრო.“ ნინო, 32

მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რომ ქალთა მიგრაციის მსგავსი მასშტაბი ცვლის არამხოლოდ ოჯახური ინტეგრაციის, არამედ ბავშვთა სოციალური და კოგნიტური განვითარების, ფიზიკური და მენტალური ჯანდაცვის და სხვა ასპექტებს, რაც არსებული ემპირიული კვლევების საფუძველზე თვალსაჩინო და გამოხატულია ტიპიური „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში, საიდანაც ათწლეულებია ხდება ქალთა უწყვეტი გადინება. (Meng and Yamauchi, 2015)

- “როგორც მასწავლებელს, ორი რამის თქმა შემიძლია დატოვებულ ბავშვებზე. ერთია, რომ წასული დედა აგზავნის ფულს და ბავშვი მიდის რეპეტიტორთან - თუმცა შეიძლება განათლების პროცესში ხელი ეშლებოდეს და დაბალი მოსწრება ქონდეს, რადგან მშობელი ვეღარ აკონტროლებს, მაგრამ მიგრაციიდან გამოგზავნილი ფულით მერე რეპეტიტორთან მიდის; მეორე ამბავია თუ მშობელი ვერ აეწყო იქ სათანადოდ. მყავს ორი მოსწავლე ისეთი, რომელსაც ბებიაც არ ჰყავს და მამასთან დარჩნენ დედა რომ წავიდა. ზამთარში მოვიდნენ ბავშვები, მხოლოდ პერანგები ეცვათ - ძალიან აკლიათ ყურადღება და ძალიან ბევრია ასეთი ბავშვი.“ სოფო, 38
- „პირადად მე, ჩემი შვილი 29 წლისაა, და სკოლას რომ ამთავრებდა, ჩემი მეუღლეც მაშინ უმუშევარი იყო და ძალიან მწვავედ დადგა საზღვარგარეთ წასვლის გამოჩვევა. ზუსტად ჩემი შვილის დამსახურებაა ის, რომ არ გამიშვა. ის მეუბნებოდა - შენ რომ წახვიდე, აქ იმდენი რამე გაფუჭდება, მე რა განათლება უნდა მივიღოო. იცოდა ამის ფასი და ერჩივნა, რომ არ წავსულიყავი და არ ესწავლა თუნდაც. მაგრამ უფლის წყალობით შევძელით ორივე - ძალიან ბევრი ვიშრომეთ იმისთვის რომ არ წავსულიყავი და იმანაც ისწავლა.“ ნანა, 55
- “ჩემ კლასში დაახლოებით 20 ბავშვიდან 14-15ის ოჯახის წევრი წასული იყო საზღვარგარეთ სამუშაოდ, დედა, ბებია ან დეიდა. ჩემ საუკეთესო მეგობარს მთელი ცხოვრება დედა არ ენახა. ზოგჯერ იმდენად განსხვავებული იყო ჩვენი ხედვები, ვატყობდი, დედა რომ არ ყავდა, ამიტომ იყო, დედა როცა არ გყავს ბევრი რამ არ იცი, თუნდაც, როგორიცაა პირველი ციკლი და ა.შ ბაბუას ხომ ვერ კითხავ. ძან

დაჩაგრული იყო და ეტყობოდა საუბარზე რომ დედის სითბო აკლდა, დედას რომ უხსენებდი, იმდენად მტკივნეული იყო, ტირილამდე მიდოდა. 10დან 4 ბავშვი ასეა აქ.“ ანა, 19

- „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის უკან რა ხდება რომ ნახოთ, გაგიყდებით ნარკომანიის თვალსაზრისით. საშინელებაა. იქ ერთი ასაკოვანი ქალი მუშაობს და თუ ვინმე ერთი ბავშვი მაინც გადაარჩინა, ეს არის ამ ქალის დამსახურება. ძირითადად, 13-14 წლის ბავშვებზეა საუბარი. ამის გამომწვევი მიზეზი რა არის იცი? მშობლების ემიგრაციაში წასვლა. აი ნახეთ- წავიდა მშობელი ემიგრაციაში, დაუტოვა ეს შვილი ბებიას და ბაბუას. იმ შვილს დედა და მამა სჭირდება ზუსტად და არა ბებია და ბაბუა. არის კატეგორია მშობლების - დედა წასულია იტალიაში, მამა შახტაშია დასაქმებული, ბავშვი უპატრონოა ფაქტიურად. ძალიან ბევრია ასეთი.“ მზია, 51

საინტერესოა, რომ გლობალურ ზრუნვის ბაზარზე ტყიბულიდან ქალთა მასობრივი შრომითი მიგრაციით ჩვენ ვიღებთ სრულიად ახალი ტიპის, ქალი-მარჩენალის მოდელზე დაფუძნებულ ოჯახებს, რომლებიც სპეციფიკური ოჯახის სტრუქტურასა და ოჯახური ცხოვრების, ოჯახური ინტეგრაციის განსხვავებულ პრაქტიკებს ქმნის.

თანამედროვე ოჯახის სტრუქტურა ტყიბულში

ნათელია, რომ ტყიბულის ეკონომიკური, სოციალური და საზოგადოებრივი განვითარების შეზღუდვები უკანასკნელი 30 წლის მანძილზე, ტყიბულის შრომის ბაზრის სტრუქტურა და თავისებურებები ცვლის და დეფორმირებას უკეთებს ტყიბულში მცხოვრები ოჯახების სტრუქტურასაც, რომელიც, ერთი მხრივ, ქალაქის მონოინდუსტრიულობისა და მემანტეების ხელფასზე დამოკიდებულების გამო, მეორე მხრივ კი პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაციის შემდგომ ქალაქში ყველა სხვა ტიპის სამუშაო ადგილის გაქრობის გამო, წესით უნდა ყოფილიყო ტიპური კაცი-მარჩენალის მოდელზე აგებული ოჯახის ტიპი, სადაც ჯერ კიდევ მუშაობს შრომის ტრადიციული კაპიტალისტური¹¹ დანაწილება ოჯახში, რომლის მიხედვითაც წარმოების (გარე) ანაზღაურებულ შრომას ასრულებს კაცი, კვლავწარმოების (საშინაო) აუნაზღაურებელ შრომას კი ქალი; ვინაიდან ოჯახის ეს მოდელი ჯერ კიდევ შემორჩენილია ისეთ დასახლებებში, სადაც მძიმე ინდუსტრია ჯერ კიდევ შეადგენს ადგილობრივი ეკონომიკის მთავარ წილს და შესაბამისად, ხელს უწყობს ტრადიციული კაპიტალისტური ოჯახის შენარჩუნებასაც, რომელიც თანამედროვე სამყაროში მორღვეულია ქალების შრომის ბაზარზე გადინებისა და მომსახურების სექტორის აღმასვლის გამო - თუმცა, ტყიბულის შრომის ბაზრის სტრუქტურა და განვითარების ის გეზი, რომელიც ეროვნული

¹¹ იგულისხმება შრომის სქესობრივი დანაწილება, რომელიც ემთხვევა კაპიტალიზმის წარმოშობას და სტრუქტურულად გადაჯაჭვულია კაპიტალისტური დაგროვების ტრადიციულ ფორმებთან.

პოლიტიკის დონეზე განსაზღვრავს ქალაქში ათწლეულების განმავლობაში ეკონომიკის დივერსიფიკაციის შეუძლებლობას, ქმნის ახალი ტიპის, ქალი-მარჩენალის მოდელზე დაფუძნებულ ოჯახს, რომელიც გამოწვეულია არა ქალის თავისუფალი, პროფესიული გადინებით შრომის ბაზარზე, არამედ ოჯახში დასაქმებული კაცის ხელფასის არასაკმარისობით სრულფასოვანი ფიზიკური გადარჩენისთვის და სრული არასაკმარისობით სრულფასოვანი სოციალური კვლავწარმოებისთვის - ეს გადარჩენა და კვლავწარმოება კი დღეს დამოკიდებულია არა ოჯახის ქალი წევრის ადგილობრივ ან ეროვნულ ეკონომიკაში ჩართვაზე, არამედ ოჯახის ქალი წევრის ან წევრების საზღვარგარეთ გადინებასა და განუსაზღვრელი დროით შრომით მიგრაციაზე, რადგან, არსებული მოცემულობით, მხოლოდ არაადგილობრივ ვალუტაში გადახდილ ანაზღაურებას ძალუძს, სრულფასოვნად არჩინოს ოჯახი.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს უმნიშვნელოვანესი სოციალური და დემოგრაფიული ცვლილებაა, რომლის მსგავს ხდომილებებსაც სხვადასხვა დროის სოციალური მეცნიერები და ფემინისტები აღწერენ, როგორც ოჯახისა და ოჯახური ურთიერთობების ისტორიულ ცვლილებებს შრომის ბაზრებისა და შემოსავლების სტრუქტურათა ცვლილებების პარალელურად,¹² ისევე, როგორც, ესაა კონკრეტულად საქართველოს კუმშვადი ქალაქების - და განსაკუთრებით ტყიბულის კუმშვის კონკრეტული მახასიათებელი, რისი მიმდინარე შედეგების ფართოდ გამოკვლევასა და აღწერასაც გაცილებით დიდი მასშტაბის კვლევები და „ჩაშენებული“¹³ მეთოდოლოგიების შემუშავება სჭირდება.

თანამედროვე ოჯახის ტიპი, რომელიც, რესპოდენტების თქმით ტყიბულში ოჯახის დომინანტური, ან სულ მცირე, საკმაოდ გავრცელებული ტიპია, არის შემდეგი: მემახტე ქმარი ან მამა, დიასახლისი ახალგაზრდა ან საშუალო ასაკის უმუშევარი ცოლი (რძალი), რომელიც დაკავებულია საშინაო საქმეებით - ბავშვთა აღზრდითა და, რიგ შემთხვევებში, მესაქონლეობით- მეურნეობით - თუ ქალაქში საცხოვრებელი ადგილი ამაში ხელს უწყობს, და მარჩენალი, ემიგრანტი დედა ან დედამთილი, რომლის მიერ გამოგზავნილი ფინანსური და არაფინანსური გზავნილებიც არის ოჯახის სრულფასოვანი შენახვის და ბავშვთა განათლების, უმაღლესი განათლებისადმი მომზადებისა და სხვა ტიპის ინვესტიციების მთავარი კონტრიბუტორი.

- „ყველა ოჯახში არის დედა ან დედამთილი ემიგრანტი, ან ორივე. ტყიბული ცხოვრობს ემიგრანტებით. მამა-შვილი შახტაში, ემიგრანტი დედა, რძალი ბავშვებთან. ყველა ეგრეა გარშემო. და ვინც არიან რძლები, ეგუებიან ამას - და სახლში სხედან.“ - ლალი, 55

¹² Lewis, Jane. "The decline of the male breadwinner model: Implications for work and care." *Social Politics: International Studies in Gender, State & Society* 8, no. 2 (2001): 152-169.

¹³ Embedded Methodology

ამ გარემოებებზე დაკვირვება თითქოს მეორეხარისხოვანს ხდის ქალაქ ტყიბულის შესახებ ჩამოყალიბებულ ძირითად სტერეოტიპს, რომლის მიხედვითაც ტყიბული დამოკიდებულია მხოლოდ მეშახტეთა ხელფასზე. ქალთა შრომასა და გადაადგილებაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ქალაქი დამოკიდებულია მეშახტეთა ხელფასზე, როგორც ერთგვარ „კარკასზე“, რომელიც ყოველდღიური საკვების დონეზე ოჯახებს ფიზიკურად გადარჩენაში ეხმარება და ასევე მხოლოდ ფიზიკურად გადარჩენაში ეხმარება ადგილობრივ სავაჭრო ეკონომიკას, თუმცა, ამ ყველაზე ბაზისური შრის მიღმა არსებული მთლიანი სოციალური ფუნქციონირება, კვლავწარმოება და ცხოვრება ხორციელდება ემიგრანტთა გადმორიცხვებით.

- *მეუღლე შახტაში მუშაობს ამჟამად, მარა ეს შახტის ფული რა არის დღეს? არაფერი არ არის, 700-800 ლარია და ამიტომ შემოვრჩი აქამდე ემიგრაციაში. 11 წელი შემისრულდება ნოემბერში. როცა წავედი, ჩემი მეუღლე მაშინ ბაზრობაზე ვაჭრობდა, იქაც არაფერი რომ აღარ იყო, შახტაში დაიწყო მუშაობა. მაინც საჭიროა ჩემი შემოსავალი. მეშახტეების ოჯახიდან ბევრია წასული. შვილები თუ გყავს, მხოლოდ შახტის ხელფასით ვერ არჩენ. ათასი რამე უნდათ ამ პატარა შვილებს და როგორ ეყოფათ? ხათუნა, 58*
- *„ვიტყოდი, რომ ემიგრანტების გზავნილები იგივენაირად ან უფრო ინახავს, როგორც შახტა. არ არსებობს ოჯახი, რომ ემიგრანტი არ ყავდეს- დედა, ცოლი, და... მეც ვფიქრობ წასვლას..“ თიკო, 40*
- *„ნახეთ, ის მიგრანტები რომ არ იყვნენ, ეს ბავშვები კარგ განათლებას ვერ მიიღებდნენ. გამორიცხულია. საკმაოდ ძვირია რეპეტიტორთან შვილის მიყვანა, ადგილობრივებს ვგულისხმობ - კარგი სპეციალისტები ვინც არიან, ძვირია, მაგრამ მაინც ბავშვების უმეტესობა ტყიბულში კარგი განათლების მიღებას ახერხებს. აქ ველარ იყენებენ. აქედან წასულები, კარგად იყენებენ.“ ნანა, 55*
- *„ტყიბული არსებობს ემიგრაციიდან გადმოგზავნილი ფულებით, მარტო ტყიბული არა, მთელი საქართველო. როგორ არის იცი? ნახევარი ნახევარზეა - შახტა აცოცხლებს და ემიგრანტები აცოცხლებს. შახტაში ვინც მუშაობს ის არჩენს თავის ოჯახს მაგრამ ვინც შახტაში არ მუშაობს ემიგრანტებით ცოცხლობს ან შახტიორის ოჯახებიდანაც წასული არის ბევრი. შახტა და ემიგრაცია. ცოტაა მერიის თანამშრომელი ან რაღაცა. ეგ არაფერია და თან შემოსავალიც არააქვთ.“ ლია, 52*

საინტერესოა, რომ ქალი-მარჩენალობის ის ტიპი, რომელიც ტყიბულის შემთხვევაში და ზოგადად, საქართველოს შემთხვევაში გვაქვს დამოუკიდებლობის შემდეგ, რადიკალურად განსხვავდება ქალი-მარჩენალის, როგორც ემანსიპირებული სუბიექტის ტრადიციული გაგებისგან, ვინაიდან აღნიშნული შრომა, ერთი მხრივ ხშირად ხასიათდება მონობასთან მიახლოებული მდგომარეობით, რასაც მიგრანტთა ინტერვიუები აღწერს; მეორე მხრივ კი ის ათავისუფლებს კვლავწარმოების შრომის ადგილს ოჯახში, რომელიც ვინმემ აუცილებლად

უნდა დაიკავოს და ამით ადგილზე დატოვებულ შედარებით ახალგაზრდა, დაოჯახებულ ქალებს საშინაო შრომაში აკავებს. თანამედროვე ოჯახის სტრუქტურა ტყიბულში საინტერესოა არამხოლოდ ემიგრანტი მარჩენალი ქალებით, არამედ, ახალგაზრდა ქალებით, რომლებიც ძირითადად წარმოადგენენ დიასახლისებს, რომლებმაც ტყიბულში შექმნეს ოჯახები და საოჯახო შრომაში ჩაერთნენ (ხშირად იმიტომ, რომ ოჯახის წევრი სხვა ქალი მიგრაციაში იმყოფება). ეს ახალგაზრდა ქალები ვერც სხვა ქალაქში შესაძლებლობების მოსინჯვაზე ფიქრობენ და ვერც შრომის ბაზარზე არსებულ დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგილებზე საქმდებიან საშინაო საქმეების გამო. სწორედ ეს კატეგორია წარმოადგენს დღეს ტყიბულის დიასახლისთა უმეტესობას. საინტერესოა, რომ დეფორმირებული ოჯახის სტრუქტურა, რომელიც დამოკიდებულია, ერთი მხრივ მოპოვებით საქმიანობაში ჩართულ კაცზე, მეორე მხრივ კი ემიგრანტ ქალზე, ოჯახის შედარებით ახალგაზრდა ქალ წევრებს უფრო მეტად აჯაჭვავს საშინაო შრომაზე, რომლებიც ძირითადად ახალგაზრდა, საშინაო შრომაში და ბავშვთა აღზრდაში ჩართული დიასახლისები არიან.

საინტერესოა, რომ კითხვაზე, თუ ზოგადად როგორია მათი აღქმით ტყიბულში მცხოვრები ქალის/გოგონას ფსიქოლოგიური პორტრეტი, უკლებლივ ყველა რესპოდენტი საუბრობს სწორედ ამ დემოგრაფიულ ჯგუფზე - ახალგაზრდა, უმუშევარ დიასახლისებზე, რომლებსაც თითქმის ყველა მათგანი ახასიათებს, როგორც „შეგუებულ“ მდგომარეობაში მყოფ, აპათიურ, ნიჰილისტურად განწყობილ, მომავლის რწმენის არმქონე სუბიექტებად, რომლებიც, რესპოდენტთა აზრით, სწორედ ამ ფსიქოლოგიური განწყობიდან გამომდინარე, არ არიან მოტივირებული, რაიმე ინიციატივაზე, გაერთიანებაზე, ორგანიზებაზე, ქალაქში რაიმეს გამოსასწორებაზე, რაიმეს წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვაზე იფიქრონ. რესპოდენტთა ნაწილი მეშახტეთა მიმართ საკმარისი სოლიდარობის ნაკლებობასაც ამ ფსიქოლოგიური მდგომარეობით ხსნის. რესპოდენტთა აღწერით, „შეგუების“ ეს მდგომარეობა უფრო პასიური და ფიქსირებულია, ვიდრე დეპრესიული და დამთრგუნველი და მეტიც, ის გარკვეულ კომფორტის ზონას ქმნის. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი რესპოდენტი ამ მდგომარეობის საფუძველს სწორედ იმაში ხედავს, რომ ქალაქი კუმშვადია: ორიენტირებულია მომავალი თაობის მის გარეთ გაშვებაში და შესაბამისად, ის აღიქმება დროებით, მეორად საცხოვრებელ სივრცედ, სადაც არ არსებობს პოზიტიური ცვლილებების პოტენციალი.

- „აქ ადგილობრივი ქალები რომლებსაც ჩვენ მოვიაზრებთ, ახალგაზრდები და საშუალო ასაკის ძირითადად, არის ის, ვინც დარჩა და ვერ წავიდა, ან განათლება ვერ მიიღო, ან რაღაცის გამო მოუწია აქ ყოფნა. არიან ქალები, რომლებიც წავიდნენ. მაგრამ როცა ჩვენ მასაზე ვსაუბრობთ, მასა ეგეთია. მორგებულია ოჯახზე და ოჯახის საჭიროებაზე, კმაყოფილია იმით, რაც აქვს. ასე ურჩევნიათ, იმიტომ რომ კომფორტის ზონაა. არც უნდა იმის იქით, არც ჭირდება, თუ იმას არ დაანახე იმის საჭიროება რომ მას სჭირდება ესა და ეს აუცილებლად, არც შეიწყუბებს თავს. ზრდის შვილებს, აქვს საბაზისო საშუალებები, ჭერიდან წყალი არ ჩამოსდის, სანამ თვითონ გახდება ემიგრაციაში წასასვლელი - და ეს ჰგონია საკმარისი“. მირანდა, 29

„სანამ გოგო ახალგაზრდაა, ვისაც თავისი ოჯახი არ აქვს შექმნილი ყველა თითქმის არიან თავისუფალი ინდივიდები და ოჯახიც ხელს უწყობს, თუ რამეს მოინდომებს. მაგრამ ოჯახს რომ ქმნიან და აქ რჩებიან, თითქოს მანდ ამთავრებენ ყველაფერს - იმ ოჯახის გარდა ცხოვრებას, თავისას. ვერ ვხვდები ეგ რატომ ხდება: დაბადებიდან რომ ვიცნობდი ადამიანს, როგორი იყო და ახლა როგორია, საერთოდ შეუსაბამობაში მოდის ძველ თავის თავთან, იმდენად კლავენ თითქოს თავის თავს. ვერ ვხსნი, ეს რატომ ხდება.“ ეკა, 24

- „ტყიბულის მაცხოვრებელი ქალი საშუალო სტანდარტულად არის როგორი: თუკი მუშაობს ჩემსავით, გადის გარეთ, ბრუნდება სახლში და მაგ რუტინაშია, არის უფრო აქტიური - და ძირითადად, დიდი ასაკის ქალები. ან არიან დიასახლისები, რომლებიც დილიდან საღამომდე ხალათით არიან და იშვიათად მეზობლებთან თუ გავლენ - ესაა მხოლოდ ამათი ცხოვრება. და შეგუებულები არიან, წარმოუდგენელია რამე გააპროტესტონ, არც მიგრძენია, რომ რამე აწუხებთ. ძალიან იშვიათად თუ მოიძებნება სხვანაირი ადამიანი, რომელიც თავის განვითარებაზეც ზრუნავს- და თუკი ვინმე ასეთია, მიდის აქედან. ამ ქალების ემოციური, შინაგანი მდგომარეობა სტაბილურია- შეგუებული რომ არიან და ყველანაირად შეგუებული არიან, შფოთვაც ნაკლებია და აღარც პროტესტი აქვთ, აღარც არაფერი“ სოფო, 38

- „არავის არაფრის კეთება არ სურს, შეგუებულები არიან - ამათი პრობლემა ეგაა, რომ არც უნდათ, უკეთესი ჰქონდეთ. რასაც არიან შეჩვეულები, ის უნდათ და ნელ-ნელა რომ უარესდება, პრეტენზიას არ გამოთქვამენ მაგაზეც. კაი რა - ასე ამბობენ. ურჩევნიათ პრობლემა საერთოდ ვერ დაინახონ, გააქრონ, ვიდრე გამოსავალი მოიძებნონ. რატომაც არის ეს ქალაქი პასიური, იმის დამსახურებაა, რომ ადამიანებს არ წარმოუდგენიათ, რომ მათი შვილები აქ დარჩებიან. მორგებული არიან თავიანთ ყოველდღიურობას აქ და თბილისში აღარ უნდათ თავის გაწვალეობა, ჩემნაირად ფიქრობენ, რომ იქ უფრო მეტი დაეხარჯებათ, მაგრამ აქაურობისთვის შვილების გამეტება მაინც არ უნდათ. ყველა დებს შრომას იმაში, რომ გაუშვას შვილი. და დაახლოებით ასეა, სახლი რომ გაქვს ნაქირავები და რაღაც რომ გაფუჭდება - თვალებს რომ დახუჭავ, ამისთვის თანხას არ დავხარჯავო რომ იტყვი, რადგან შენი არ არის და დროებითია, ასე უდგებიან თავიანთ ცხოვრებას აქ.“ თეონა, 26

- „უფრო ალბათ შეგუებული და კომფორტშია, ვიდრე დეპრესიაში და დათრგუნული, იმიტომ რომ ეს ნორმა გონიათ. რომ მაგალითად დღეს გაქ ფინჯანი ყავა და იმის იქით აღარ იხედები. პროგრესი არ უნდათ საკუთარი თავის. ეგუებიან იმას, ჯერდებიან რაც აქვთ.“ ლალი, 55

ყველაზე საინტერესო და ცენტრალური ოჯახის ამ სტრუქტურაში ჯაჭვის ყველაზე ქვედა რგოლია - ბავშვები, რომელთა სრულფასოვანი ფიზიკური და სოციალური კვლავწარმოებისთვისაც შრომობს მთელი დანარჩენი ოჯახი - ზოგი შახტაში, ზოგი

ემიგრაციაში, ზოგი კი შინ - და აქ განსაკუთრებული თავისებურება ისაა, რომ ეს ბავშვები უპირობოდ განიხილებიან, როგორც ამ ქალაქში დროებით მცხოვრები სუბიექტები, რომლებმაც ზრდასრულობამდე მიღწევისთანავე, ქალაქი უნდა დატოვონ. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებს უყვართ საკუთარი ქალაქი და არ სურთ მისი მიტოვება და ამ სიყვარულს ხშირად გამოხატავენ ინტერვიუებში, მათი უმრავლესობა მაინც ვერ განიხილავს საკუთარი შვილების ცხოვრებას და შრომას ამ ქალაქში.

- „თუ რამე სასიკეთოდ არ შეიცვალა ამით გაზრდამდე, აქ ვერაფერს გააკეთებენ. და ყველა მშობელი ასე უყურებს - საკუთარ შვილს აქ. სამწუხაროდ, ასე უყურებს. მე სამწუხაროდ თბილისში არ მომისინჯავს ბედი, ჩემი შეზღუდვებიდან გამომდინარე, მაგრამ ჩემი შვილები აუცილებლად წავლენ. ეს ბავშვებმაც იციან - ასე იზრდებიან, სკოლას რომ დაამთავრებენ, აქედან უნდა წავიდნენ.“ სოფო, 38
- „კარგია, როცა ვინმე გყავს, ვისთვისაც შრომობ, ეს შრომა აღარაა შრომა. [ვიღი რო არ მყოლოდა, არ ვიცი რა აზრი ექნებოდა ჩემ ცხოვრებას. ჩემს ნაცნობებშიც არაა ვინმე ისეთი, რომ აი, დავჯექი, დავისვენე, სადმე წავედი, ასეთი ცხოვრება მეც არ მქონია, არც ვიცი როგორია. უმრავლესობა ქალებიც, ჩემ საახლობლოში, შვილებზე და შვილიშვილებზე გადართული, შენ თავზე რო არ ფიქრობ.“ სოფო, 40

თითქოს მთელი შრომის პროცესი, რომელიც ხშირად შეწირული სიცოცხლეების, სხეულების, ჯანმრთელობის ხარჯზე¹⁴ ხორციელდება, მათ შორის შახტაში მძიმე შრომა და ასევე, ემიგრანტთა უმძიმესი შრომა საზღვრებს გარეთ, სრულდება და მიმდინარეობს არა იმისთვის, რომ ოჯახებმა და მომავალმა თაობებმა ღირსეულად იცხოვრონ თავიანთსავე ქალაქში, არამედ იმისთვის, რომ ბავშვებმა და მომავალმა ბავშვებმა წარმატებით დატოვონ ეს ქალაქი. მთავარი ინვესტიცია იდება ბავშვებში, რომლებიც აქედან უნდა წავიდნენ და ეს, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ქალაქის საზოგადოებრივი, კულტურული და სოციალური სივრცეების გამოცოცხლების შეუძლებლობა არამხოლოდ ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ჩავარდნაზე ან მუნციპალიტეტის ფინანსურ უძლურებაზე და სახელფასო პოლიტიკაზე დამოკიდებული, არამედ, ქალაქი უკვე სულისკვეთების დონეზე აწარმოებს თავისსავე დროებითობას - ბოლომდე ორიენტირებულია ყველა იმ სუბიექტის ქალაქის გარეთ გაშვებაზე, რომელმაც შეიძლება თავის თავში ატაროს ეს უნარები, თვისებები, იდეები, ენთუზიაზმი და შესაძლებლობები.

- „ჩემს ირგვლივ არ ყოფილა ბავშვი - დაახლოებით 180 თანამშრომლიდან ყველას ბავშვს ვიცნობ, ყველას შვილს - ყველას ოჯახის მდგომარეობა ასე თუ ისე ვიცი, და არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე წასულიყოს და უკან დაბრუნებულიყოს. ერთი შემთხვევაც კი არ ყოფილა. ზოგიერთი საკმაოდ წარმატებულად მუშაობს იქ და აქვთ საკმაოდ ისეთი პოზიციები, რომ სახელმწიფოს შეუძლია ამ წასული ბავშვების

¹⁴ [“No Year Without Deaths: A Decade of Deregulation Puts Georgian Miners at Risk. HRW, 2020](#)

რესურსი გამოიყენოს ადგილობრივად. ტყიბულიდან ვიცი უამრავი ასეთი წასული. მარტო მე ვინც ვიცი, ისინი რომ ყველანი ტყიბულში დაბრუნდნენ, რას ლაპარაკობთ? სულ სხვა ქალაქი იქნება. იდეალური ქალაქი იქნება! მზია, 51

ყოველივე ზემოთქმულის შესაბამისად, შემთხვევითი არ არის, რომ ქალებით დასაქმებული ყველაზე მსხვილი სექტორი - სკოლამდელი აღზრდისა და სასკოლო აღზრდის, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე, ხელოვნებისა და სამხატვრო სკოლები, სხვადასხვა წრეები და რეპეტიტორის ინსტიტუტი, ერთადერთი სფერო - ფორმალური და არაფორმალური განათლების სექტორი, რომელიც ტყიბულში სრულფასოვნად ფუნქციონირებს და ითვლება, რომ არის კარგი - ორიენტირებულია სწორედ ამ ინვესტიციის ჩადებაზე, რაც სრულდება ქალაქის მიღმა, გარე ბაზრებზე მომავალ თაობების გაგზავნით.

- *„ერთი სასკოლო განათლებაა, რომლის მხრივაც ნამდვილად არაა ცუდი მდგომარეობა, აქედან წასული ბავშვები არიან თბილისში სამაგალითო. სკოლებში განათლება კარგია და რეპეტიტორის ინსტიტუტი უფრო მუშაობს და ძალიან მაღალ დონეზეა. ვინც მასწავლებელია სკოლაში თითქმის ყველა ისედაც ამზადებს კერძოდ. ბავშვების ძირითადი მასა სკოლის მერე დადის რეპეტიტორებთან და სკოლის გარეშე განათლებაც, ყველაფერი არის“ ნანა, 55*
- *„ზოგადი განათლება ტყიბულში ძალიან ძლიერია. სკოლებს განსხვავებული წიგნები აქვთ და საბაზისო ცოდნა განსხვავდება. მასწავლებლები მართლა ძალიან ძლიერები გვყავს, აქედან 4-5 ეროვნულ გამოცდებზეც ასწორებს. ძალიან ბევრი კარტი რეპეტიტორებია. სკოლის გარეთ წრეებიც ბევრია, ცეკვა, კარატე.. ჩემ კლასში 20 დან 1 ბავშვიყო მხოლოდ, რომელიც სკოლის გარდა არსად არ დადიოდა, დანარჩენი ყველგან. ცეკვაში ერთ-ერთი პირველები ვართ, საჭადრაკო კლუბებიც არის და ჩემპიონებიც გვყავს ჭადრაკშიც, კარატეშიც, ძიუდო.. საამაყო ხალხი გვყავს.“ ანა, 19*

ტყიბულიდან შრომითი მიგრაციის პრობლემასა და მასშტაბს, მიგრაციის შედეგებსა და მიგრანტ მოქალაქეთა გამოუყენებლობის საკითხს აღიარებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ეკონომიკური განვითარების გეგმაც, რომელშიც ვკითხულობთ: *„ტყიბულის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მოსახლეობის მიგრაცია (გარე და შიდა) და საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი თანამემამულეების პოტენციალის ადგილობრივი განვითარებისთვის გამოყენება. შრომითი ემიგრანტებისა და დიასპორის ფინანსური და ინტელექტუალური რესურსები შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული, როგორც მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, ისე ეკონომიკური კავშირების განვითარებისა და ჩვენი თანამემამულეების სამშობლოში დაბრუნების ხელშესაწყობად. ამიტომაც წინამდებარე გეგმაში ეს საკითხებიც შეძლებისდაგვარად აისახა.“* ამავე გეგმაში აღნიშნულია, რომ მიგრაციული პროცესების შეჩერების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის,

მოსახლეობის შემოსავლების მატების და სოციალური ფონის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სტიმულირება; თუმცა, გეგმით გათვალისწინებული, მწირი ბიუჯეტით ან გრანტებით დაგეგმილი ფრაგმენტული ინიციატივები, ცხადია ვერ ცვლის და მომავალშიც ვერ შეცვლის ადგილობრივი ეკონომიკის იმ პრობლემებს, რომლებიც ზოგადად, ეროვნულ დონეზე გაბატონებულ ეკონომიკურ პოლიტიკასა და განვითარების მოდელში უნდა ვეძებოთ.

სოციალური კვლავწარმოების კრიზისი ტყიბულში

დასაქმების პრობლემები, მოწყვლადი შრომითი გარემო, ქალთა და ახალგაზრდათა მიგრაცია ქალაქში სოციალური კვლავწარმოების მძიმე კრიზისის სიმპტომებია, რომლებიც გაცილებით სტრუქტურული მიზეზებიდან - ეროვნული ეკონომიკისა და სოციალური განვითარების გამოწვევებიდან მოდის, თუმცა, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგზე დამოკიდებული, რომელშიც პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს, ე.წ გლობალური სამხრეთის ქვეყნების მსგავსად, მხოლოდ მიმწოდებლის როლი აქვთ განვითარებული ბაზრებისათვის - როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსების თვალსაზრისით. 80-იანი წლებიდან განვითარებად სამყაროში დაწყებული მძიმე სოციალური კვლავწარმოების კრიზისები, რომლებსაც ჩვენ ყველა კრიტერიუმით ვუერთდებით გვიანი 2000-იანი წლებიდან, პირველ რიგში პატარა, ინდუსტრიულ ქალაქებს უტყვამს, რომელიც თან ინარჩუნებს სიცოცხლეს წიაღისეულის მოპოვების გამო, მაგრამ თან ყველა სხვა ასპექტში კუმშვადია და რესურსებს, ადამიანებს, შესაძლებლობებს - საკუთარი საზღვრებიდან განდევნის.

სოციალური კვლავწარმოების კრიზისი ტყიბულში ვლინდება თითქმის ყველა შრესა და დონეზე - როგორც აღვნიშნეთ, ერთადერთი სფეროს, სასკოლო განათლების გარდა, რადგან მთელი ემოციური თუ რესურსული ძალისხმევა, როგორც ვთქვით, ბავშვთა აღზრდისაკენ მიიმართება. ქალაქის დემოგრაფიული სტრუქტურა სოციალური კვლავწარმოების კრიზისის ერთ-ერთი მთავარი გამოხატულებაა: ერთ-ერთი რესპოდენტის თქმით, ტყიბული, ესაა ბავშვებისა და მოხუცების ქალაქი, ანუ მათი ქალაქი, ვისაც ასაკის გამო ჯერ- ან აღარ - შეუძლია სხვაგან წასვლა; ვისაც სხვებისგან სჭირდება - ზრუნვა; ჯერ არ არის - ან უკვე აღარ არის შრომისუნარიანი. ეს ნიშნავს, რომ ქალაქის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ისაა, ვისაც არამხოლოდ მატერიალურად რჩენა ესაჭიროება - შახტაში მომუშავე მამისგან/მძისგან/ბაბუისგან, არამედ სწორედ სოციალური კვლავწარმოება - აღზრდა, ზრუნვა, ემოციური, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა. ეს ასევე ნიშნავს, რომ ქალაქის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც არ მიეკუთვნება ბავშვებისა და მოსახლეობის კატეგორიებს და არ არის „მეშახტე“, ამ ქალაქში დარჩა საცხოვრებლად მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ორი კატეგორიიდან რომელიმეს ან ერთ-ერთს ვერ ტოვებს.

ტყიბულში მწვავე სოციალური კვლავწარმოების კრიზისის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი გაუარესების, ინფრასტრუქტურის დეგრადაციით, ადგილობრივი ჯანდაცვის სექტორის პრობლემების, ეკოლოგიური გავლენების შეუსწავლელი კუთხით და სხვ.

ამ კრიზისის მიზეზების კარგად გასაგებად, უნდა დავაკვირდეთ, თუ როგორ იზრდება დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდიდან მონეტარულ შემოსავლებზე ადამიანებისა და ოჯახების დამოკიდებულება, განსაკუთრებით 2000-იანი წლების მეორე ნახევრიდან და რა მსყიდველუნარიანობა აქვს ამ შემოსავლებს დღეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ სიკეთების, სერვისების, კულტურული ცხოვრების და სხვ. ხელმისაწვდომობას ტყიბულის მოსახლეობა საბჭოთა კავშირის დროს იღებდა მონეტარული გადახდის გარეშე, ანუ ჯიბიდან ხარჯის გარეშე, ასევე, თუ გავითვალისწინებთ - როგორი განვითარებული იყო გარშემო სოფლის მეურნეობა მუნიციპალიტეტში და სხვა, ზოგად კრიტერიუმებს ქალაქის ეკონომიკური და სოციალური პარამეტრების თვალსაზრისით და შევადარებთ მათ დღევანდელ მდგომარეობას, სადაც მთავარი დამსაქმებელი საწარმო პრივატიზებულია, ჯანდაცვა პრივატიზებულია, დახურულია დასაქმების სხვა შესაძლებლობები, სოფლის მეურნეობა გარშემო კრიზისშია, ინფრასტრუქტურა დეგრადირებულია, ვალუტა გაუფასურებულია, ხელფასები დაცემულია, ვალებზე დამოკიდებულება მასიურია და სხვ; ვნახავთ, თუ რამდენად გაზრდილია ჯიბიდან დანახარჯი ყველა ცალკეული სერვისისა თუ სიკეთის მისაღებად. და როცა არსებული მონეტარული შემოსავლები არ ჰყოფნის ამ საჭიროებების დაფინანსებას, ადამიანებს უწევთ, უბრალოდ უარი თქვან სოციალური კვლავწარმოების ძირითად შესაძლებლობებზე, წყაროებზე და მოთხოვნილებებზე.

შრომის გარდა, ტყიბულელ ქალთა ცხოვრების სხვა მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც სოციალური კვლავწარმოების მძიმე კრიზისის სახით ვლინდება, ჯერ კიდევ არ არის შემჩნეული, აღიარებული და გაზიარებული ოჯახის, მუნიციპალიტეტის თუ სახელმწიფოს მიერ და ასევე, ისინი არ მოიაზრება არც ტყიბულის შესახებ არსებულ ზოგად, საზოგადოებრივ წარმოდგენებში. მიუხედავად იმისა, რომ ტყიბული „მეშახტეთა ქალაქია“, მშრალად, მხოლოდ კაცი მეშახტის სოციალურ სტატუსზე, მის ანთროპოლოგიურ ფიგურაზე დაკვირვება, რაც ზედაპირულად, ისევ მხოლოდ ციფრებში გაზომვით თუ ხდება ხოლმე - ხელფასითა და მაქსიმუმ, შრომითი პირობების ანალიზით, ვერ დაგვანახებს მთლიან სურათს იმისა, თუ როგორ ცხოვრობს რეალურად ტყიბულის მოსახლეობა და რა კონკრეტული, სპეციფიკური ყოველდღიური გამოწვევები და საჭიროებები აქვთ ქალაქში მცხოვრებ ქალებსა და ბავშვებს, რაზე ფიქრობენ და როგორი განწყობები აქვთ მათ ამ პრობლემებისა თუ საკუთარი ქალაქის მიმართ, საკუთარი თავის მიმართ. ამ გამოწვევებისა და საჭიროებების დანახვის, აღწერის, კატეგორიზაციისა და მოგვარების გარეშე, შეუძლებელია, დასაქმებისა და სოციალური უზრუნველყოფის მიღწევის შემთხვევაშიც კი, ქალაქში შეიქმნას სრულფასოვანი ცხოვრებისათვის აუცილებელი ბაზისური გარანტიები, რომლებიც არ ჩანს მხოლოდ დასაქმებულ კაცებზე ორიენტირებულ ანალიზებში. ქალთა შრომაზე დაკვირვება ავლენს, რომ ანაზღაურებული დასაქმების გარდა, ქალები ასრულებენ საშინაო, ემოციური და

მზრუნველობითი შრომის მთელ სპექტრს, რომელიც აუცილებელია მთელი საზოგადოებრივი ქსოვილის სრულფასოვანი კვლავწარმოებისთვის და რომლის შესრულებასაც ბაზისურად სჭირდება: ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობა, შესაბამისად, ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე; სუფთა წყალსა და სხვა ბაზისურ საყოფაცხოვრებო სიკეთეებზე ხელმისაწვდომობა; ბავშვთა განვითარებისთვის აუცილებელი მუნიციპალური ინფრასტრუქტურა და სარეკრეაციო ზონები; უსაფრთხო ეკოლოგიური გარემო; სოციალიზაციის სივრცეები.

სიღრმისეული ინტერვიუები აჩვენებს, რომ ყველა ზემოთჩამოთვლილი ფაქტორი ტყიბულში პრობლემას წარმოადგენს, დეფიციტურია ან საერთოდ არ არსებობს; ხოლო მათი გადაჭრა გადაუდებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქალთა და ბავშვთა ადამიანური, ღირსეული ყოველდღიური ცხოვრების უზრუნველყოფისათვის. გარდა იმისა, რომ ქალაქის ძირითად პრობლემად ქალების უმეტესობა მიიჩნევს სოციალურ პრობლემებს, უპირველესად კი დასაქმებასა და უმუშევრობას, ისინი საუბრობენ ასევე იმ პრობლემებზე, რომლებიც ზოგადად ართულებს ტყიბულში ქალად ყოფნის შესაძლებლობას და კიდევ უფრო მეტად ართულებს ქალთა ანაზღაურებადი თუ აუნაზღაურებელი შრომის სიმძიმეს.

სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობა

სასმელი წყლისა და წყლის გრაფიკის პრობლემა ტყიბულს დიდი ხანია უდგას. ქალაქს გააჩნია საკუთარი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ნაქერალას ქედის თავზე მდებარე წყალსაცავ „შაორის“ წყლის რესურსს იყენებს. სწორედ ამ წყალსაცავიდან მიღებული, ქლორით დამუშავებული წყალი მიეწოდება ქალაქის მთელ მოსახლეობას, გარდა 1-2 პატარა უბნისა, რომელიც ხელსაყრელი მდებარეობის გამო უზრუნველყოფილი არიან სოფელ მუხურას მთის წყლით. „შაორის“ წყალი, რომელიც მოდის ტყიბულის ონკანებში, არის სასმელად უვარგისი, მოყვითალო შეფერილობის. რესპოდენტები ამბობენ, რომ ამ წყალს არ იყენებენ არც საკვები პროდუქტების, ბავშვთა ჭურჭლისა და ნივთების რეცხვისას თუ კერძების მომზადებისას. სუფთა და სასმელ წყალზე წვდომა ტყიბულის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისათვის არ არსებობს, რის გამოც, მათ უწევთ სასმელად ვარგისი წყალი ქალაქში არსებული უახლოესი წყაროებიდან მოზიდონ ან შეიძინონ მაღაზიებში. დიასახლისებს, რომლებიც საოჯახო შრომაში არიან ჩართული, ხშირად, ყოველდღიურ რეჟიმში უწევთ ამ წყლის ზიდვა, როდესაც მათი ქმრები, მაგალითად, შახტებში არიან.

- *„მუშაობისას ვუყურებ ხოლმე, ბალონებით რომ დადიან სასმელი წყლის მისატანად. ყველა ტყიბულელი მეცოდება ამის გამო. განა რამდენი ბალონი უნდა მიიტანო, რომ საჭმელიც გააკეთო, მარტო დალევა ხომ არ არის?“ ლალი, 55*
- *„ქალაქს დიდი პრობლემა აქვს წყლის მხრივ - სასმელი წყლის მხრივაც და გრაფიკის მხრივ. გრაფიკის გარდა არის უხარისხო წყალი - საბანაოდ რომ შეხვალ, სუნი აქვს;*

კბილებს ვერ გამოიხეხავ და ასე შემდეგ. თბილისში რომ ჩამოვდივარ პირველი ეგ მიხარია, რომ ბანაობა შემიძლია სუფთად,“ მირანდა, 29

- *„სტუმრად რომ მივდივარ, წყლის მოთხოვნა მერიდება ყოველთვის, რადგან შეიძლება დასალევი წყალი არ ჰქონდეს ან ცოტა ჰქონდეს და მე ვართმევდე. უნდა იყიდო წყალი აქ ან წყაროდან მოიტანო. იმ წყაროდანაც ზიდვა უნდა და მოკლედ, საშინელებაა“ თეონა, 26*

წყალზე ხელმისაწვდომობა არსებითია ქალებისათვის, ვინაიდან საოჯახო საქმეების თითქმის ყველა ასპექტი - იქნება ეს ბავშვის მოვლა, დალაგება-დასუფთავება, სადილის მომზადება, რეცხვა თუ სხვა, დაკავშირებულია სწორედ წყალთან და წყლის გამოყენებასთან. ტყიბულში პრობლემაა არამხოლოდ სუფთა წყალი, არამედ წყლის 24 საათიანი მიწოდებაც. წყლის გრაფიკი ქალაქის ზედა და ქვედა უბნებში სხვადასხვაგვარია, თუმცა ორივე გრაფიკი სრულიად შეუსაბამოა როგორც დიასახლისის, ისე დასაქმებული ქალის ცხოვრებასთან და საჭიროებებთან და არ ითვალისწინებს ქალთა ბაზისურ ხელშეწყობას. მაგალითად, სრულ სამუშაო განაკვეთზე მომუშავე ქალი სამსახურიდან უნდა დაბრუნდეს წყლის შეწყვეტამდე მინიმუმ 2 საათით ადრე, რათა მოასწროს ყველა ტიპის საოჯახო საქმე - სადილის მომზადება, სახლის დალაგება, სარეცხის გარეცხვა, ჭურჭლის რეცხვა და წყალთან დაკავშირებული ყველა სხვა სამუშაო. ამავდროულად, მან უნდა მოასწროს მოწესრიგება მეორე დღის სამუშაოსთვის, მინიმუმ - გადავლება. ეს ყველაფერი მან უნდა მოასწროს საღამოს 9 საათამდე, რადგან 9 საათზე წყალი წყდება, შემდეგ კი ის მოდის უკვე მხოლოდ ღამის 3 საათზე, როცა მთელი დღე მუშაობისა და შემდეგ საოჯახო საქმეებისგან გადაღლილ ადამიანს ღრმა ძილით სძინავს. თუ ზემოთჩამოთვლილი საქმეები მან საღამოს ვერ მოასწრო, სულ მცირე იმიტომ, რომ 9 საათამდე სახლში თითქმის არ ბრუნდება მალაზიებსა და სავაჭრო ობიექტებში მომუშავე არც ერთი ადამიანი; ან იმიტომ, რომ უმძიმესი გრაფიკით შრომის შემდეგ დასვენება სჭირდება, ის იძულებულია ადგეს დილით ძალიან ადრე, რათა მოასწროს ეს ყველაფერი, სანამ წყალი ისევ წავა.

- *„ეს გრაფიკი ქალებისთვის არის საშინელება. სამსახურიდან რომ მოდიხარ, ვერ გადაივლებ - უნდა მოასწრო, რომ არ დაწყდეს. გულგახეთქილი შევრბივარ ხოლმე აბაზანაში რომ მოვასწრო გადავლება, თუ არადა უთენია უნდა ავდგე, 7 საათზე, რომ ვიბანაო და ისე წამოვიდე სამსახურში, რომ მოვასწრო თავის მოწესრიგება. ეს არ არის ნორმალური. რა ჯანდაბად მინდა ღამის სამ საათზე რომ მოდის წყალი და უთენია მიდის? ჯერ რა წყალი მოდის. საღამოს შვიდის ნახევრიდან 9 საათამდე უნდა მოვასწრო - საჭმელიც უნდა გავაკეთო, სარეცხიც უნდა გავრეცხო, ოჯახსაც უნდა მივხედო, გავასუფთაო, დავალაგო და მაგ ორ საათში ისე ვიღლები და ვისტრესები, საერთოდ აღარ მინდა არაფერი!“ მზია, 51*

- „ქალებისთვის ძან დიდი პრობლემა წყალი. შეჩვეული ხარ, ტვინში გაქვს ჩადებული რომ ამ დროს არის წყალი და მაგ შუალედში უნდა მოასწრო ყველაფერი. იმის მიხედვით გაქვს მერე დღე და საქმეები გადანაწილებული“ - ნათია, 39

მნიშვნელოვანია, ასევე, თუ რამხელა როლს ასრულებს წყლის საკითხი ადამიანებისთვის შრომის შემსუბუქებაში და ეკონომიკურ აქტივობაში. საცხოვრებელი მეპატრონე ინტერვიუში ამბობს, რომ საერთოდ ვერ დაიწყებდა ამ საქმიანობას, ვერ გახსნიდა საკონდიტროს და ვერ იმუშავებდა ყოველდღიურად, წყლის პრობლემა მის უბანში რომ არ იყოს გადაჭრილი, რადგან იმ წყლით, რომელიც მოდის ტყიბულში, შეუძლებელია ნამცხვრების ცხობა თუ სხვა ტიპის ცომეულის ცხობა, კრემის მომზადება და სხვა, ისევე, როგორც, გრაფიკის შემთხვევაში - სახლში მისულს ხვდება 24 საათიანი სუფთა წყალი, რაც მას გვიან მოწესრიგების, საშინაო საქმეების მშვიდად კეთების და საკონდიტროსთვის გარკვეული სამუშაოს წინასწარ გამზადების საშუალებასაც აძლევს .

- „წყალი არის ძალიან დიდი პრობლემა და კიდევ კარგი რომ მე სხვა უბანში ვარ და მთის წყალი მაქვს საკუთარ სახლში - თორემ უწყლობა ჩემთვის არის ჰაერი რომ არ მქონდეს, მაგის ტოლფასია. ამ საქმეს ვერ გავაკეთებდი მაგ წყალზე რომ ვიყო დამოკიდებული, გამორიცხულია - ამ საქმეს ჭირდება წყალი. სასადილოები და დარბაზები როა, ზოგჯერ ვფიქრობ, აშკარად ამ წყლითაა გაკეთებული კერძები, გარეცხილია ჭურჭელი, მერე აღარც მოგინდება იქ შესვლა, ამას რომ გაიფიქრებ. ლალი, 55

დაპირება წყლის გამოსწორების შესახებ მუნიციპალიტეტში დიდი ხანია ჟღერდება, თუმცა სასმელ წყალზე საუბარი არ მიდის, მხოლოდ წყალსაცავის წყლით ქალაქის 24 საათიანი მომარაგების უზრუნველყოფაზე, რაც, მიუხედავად იმისა, რომ არსებით გამოწვევად რჩება სუფთა წყალი და ამ დაპირების შესრულების შემთხვევაში, სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობა მაინც არ იარსებებს, გრაფიკის გაქრობა დიდი შეღავათი იქნებოდა განსაკუთრებით ქალებისა და დედებისათვის. როგორც ამბობენ რესპოდენტები, პროცესი იწელება, რამდენჯერმე გადაიდო და 2024 წლამდე უკვე აღარც ელოდებიან გრაფიკის პრობლემის გამოსწორებას.

ჯანდაცვის ხარისხი და მასზე ხელმისაწვდომობა

ჯანდაცვის საკითხი ტყიბულისთვის ძალიან მწვავეა, ვინაიდან - პირველ რიგში, ქალაქში, სადაც ფუნქციონირებს შახტა, რომელშიც არც ისე იშვიათია საწარმოო ტრავმები და გარდაცვალების შემთხვევები, პირველ რიგში, უნდა იყოს გამართული ჯანდაცვის სისტემა, რომელსაც მყისიერი, სწრაფი რეაგირების შესაძლებლობა და საშუალება ექნება წარმოქმნილ პრობლემებთან გასამკლავებლად და ეყოლება კვალიფიციური ექიმები, რომლებიც საგანგებო ვითარებაში შესაბამის გადაწყვეტილებებს მიიღებენ. დღეს არსებული სისტემით, ტყიბულს კი ჰყავს ერთი რეანომობილი, თუმცა, არავინ იცის ის სადაა და როდის შეიძლება მოვიდეს, დაშავებულთა გადაყვანა კი ხშირად სხვა ქალაქებში უწევთ; ისევე, როგორც ლოდინი, თუ

როდის ჩამოვა სხვა ქალაქიდან ბრიგადა, როცა საწარმოო შემთხვევა ხდება და ადამიანები ნანგრევებში არიან მოყოლილი.

- *„წელს გაიხსნა ემერჯენსი პირველად. არადა მემხატეთა ქალაქში პირველ რიგში ჯანდაცვა უნდა იყოს განვითარებული. ავარია რომ მოხდა, სანამ სამაშველო ჩავიდა, ქუთაისიდან ბრიგადა არ ამოვიდა, მანამდე იმ ხალხს ვერ მიეშველენ. სამაშველო მოვიდა, მაგრამ რომ ამოიყვანა იმას ექიმი თუ არ დახვდა, ვინ უშველის.“ - მზია, 51*

ტყიბულში არსებობს, ასევე, პროფესიული დაავადებები, რომელთა რეალური მასშტაბიც არ არის სათანადოდ ნაკვლევი, ისევე, არ არსებობს სპეციფიკური შეღავათები ან მომსახურების ცენტრები ამ მიმართულებით. „საქნახშირის“ ადმინისტრაციის ინფორმაციით, „პროფესიულ დაავადებებად მემხატეებში ყალიბდება ფუჭი ქანის მტვერით სილიკოზი¹⁵ ვიბრაციული დანადგარებიდან. საქნახშირში დასაქმებულ პიროვნებებზე, სადაც ქვის მტვერი წარმოიქმნება ბურღვის დროს, გაიცემა რესპირატორები, ხოლო ვიბრაციულ დანადგარზე მომუშავეთათვის გაიცემა ვიბრაციის საწინააღმდეგო ვიბრო ხელთათმანები.“

- *„საერთოდ, ახასიათებს შახტას პროფესიული დაავადებები, ფილტვებზე მოქმედებს ნახშირის მტვერი და ის არ ამოდის ფილტვებიდან, თუმცა, ქალაქზე ნაკლებად აქვს გავლენა - უფრო მემხატეებზე. სახსრების დაავადებები ხშირია, მაგრამ უფრო კლიმატურია, საწარმოს ბრაღი არაა.“ ინგა, 59*

სხვა რესპოდენტები საუბრობენ ნახშირის გორებზე, რომლებიც საცხოვრებელ უბნებთან ძალიან ახლოსაა და ათწლეულებია უკვე, არსებობს. გარშემო თამაშობენ ბავშვები და დიასახლისები საშინაო შრომას ეწევიან, სუნთქავენ ამ გორების გარშემო ჰაერს. აუცილებელია, ბაზისურ დონეზე მაინც გამოკვლეულ იქნას ნახშირის გორების გავლენა ქალაქზე და უშუალოდ აღნიშნულ უბნებში მაცხოვრებლებზე.

- *„ვისაც უწევს ნახშირთან შეხება, იმათ უფრო აქვთ დაავადებები, ვიდრე ზოგადად ქალაქში, თუმცა „ცოფის“ გადამამუშავებელი ქარხნის მიმდებარედ სარეცხს ვერ ფენს მოსახლეობა თავიანთ შიდა ეზოებში. ჯერ ხმაურია, ყურისთვის დამანგრეველია, სმენისთვის და ახლოს ცხოვრობენ ძალიან იქ. მერე პირისპირ უყურებენ ნახშირის გორებს, რომლებიც გადამამუშავებისას გროვდება. ეს პრობლემა, სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის დროინდელია, რომელიც გრძელდება დღემდე.“ - სოფო, 38*

ზოგადად, ჯანდაცვის სექტორი ტყიბულში არსებული მოცემულობით ძალიან მწირია და მხოლოდ ბაზისურ სამედიცინო ფუნქციას ასრულებს. ქალაქში ფუნქციონირებს მხოლოდ ორი კერძო კლინიკა, რომელშიც, რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობის თქმით, არ არიან

¹⁵ სილიკოზი - ფილტვის დაავადებაა, რომელიც ვითარდება მავნე მტვრის დიდი ხნის განმავლობაში შესუნთქვით. განსაკუთრებით ვითარდება ისეთ ადგილებში მუშაობისას, სადაც სილიციუმის შემცველი მტვრის ჩაყლაპვა უწევთ. დროთა განმავლობაში სილიციუმი გროვდება ფილტვებში და აჩენს ნაწიბურებს, რაც ართულებს სუნთქვას.

სხვადასხვა სახის სპეციალისტები. კლინიკები, მათი თქმით, ასრულებს მხოლოდ პირველადი სამედიცინო დახმარების ფუნქციას საჭიროების შემთხვევაში, სხვა შემთხვევაში კი სამედიცინო სერვისების მისაღებად, ადამიანებს სხვა ქალაქებში უწევთ წასვლა. ცხადია, ეს უამრავ პრობლემას წარმოშობს, ისევე, როგორც ართულებს ზოგადად მიმართვიანობას და პროფილაქტიკური შემოწმებისთვის დამატებით ჩამკვეთ მექანიზმად იქცევა.

რესპოდენტების თქმით, არსებობს მხოლოდ ერთი ქირურგი და ერთი პედიატრი ქალაქში, რომელთაც ენდობიან. აღნიშნული პედიატრი უკვე დიდი ხანია, კლინიკაში აღარ მუშაობს, თუმცა, მას მაინც აკითხავენ სახლში პაციენტები და ასევე, მიუხედავად იმისა, რომ პედიატრია, ამ სპეციალობაში მისი მაღალი კომპეტენციის გამო, მას სხვა ტიპის სამედიცინო პრობლემების დროსაც მიმართავენ.

- *„ვერ წარმომიდგენია, ვის უნდა მივმართო, რომ დამჭირდეს უცხად ექიმი. ტყიბულში არც ვიცი, თუ მოიძებნება ეგეთი ვინმე. სხვა ქალაქში კიდევ არ იცი ვის ენდო. პედიატრი ლევანია აქ, რომელსაც ვენდობოდი სულ და მაგაზე ვიცი, რომ კომპეტენტურია. დმერთმა დიდხანს აცოცხლოს, ეგ ადამიანი მეიმედება.“ ლაურა, 55*
- *„ერთი კლინიკაა, ბავშვების სავალდებულო აცრებზე თუ გამოიყენებ. ქირურგი ერთია ქალაქში - გადაუდებელი ოპერაციები ადგილზე კეთდება, მაგრამ რთული ოპერაციები არა. ნაკლებობაა ექიმების და სპეციალისტების. დედაჩემს მაგალითად ნევროპათოლოგი სჭირდება და არ არის, თუ ვინმე კარგი კომპეტენციისაა შედარებით, ურჩევნია წავიდეს აქედან.“ სოფო, 38*
- *„სტომატოლოგიაში, მაგალითად გაიკეთებ დაბჟენას და ამოღებას, მაგრამ თუ დაგჭირდება რენტგენის გადაღება, ვერ გადაიღებ. გასწორება თუ დაგჭირდა კბილების, სხვა ქალაქში უნდა იარო. ერთი სიტყვით, პირველადი რაღაცეები არის, მაგრამ ამის იქით არა. სხვაგან წასვლაც დამატებითი ხარჯია.“ ნინო, 32*

ტყიბულში ამჟამად ფუნქციონირებს კერძო კლინიკა „ევექსი“ და შიდა რაიონული ჯანდაცვის მცირე ობიექტი „იმერმედი, იგივე თერჯოლამედი“ რომელიც ასევე კერძოა, რამდენიმე ექიმითა და ექთანით.

- *„იმერმედი აყენებს საკითხს, დამიდგეს სახელმწიფო გვერდშიო - რომ ფართი მქონდესო. ტყიბულში არის უამრავი ფართი და შეიძლება გამოიყოს, რომ დიდი საავადმყოფო გაკეთდეს - 1 ლარად გადასცეს, თუნდაც როგორც მიშას დროს იყო, გადასცენ, ოღონდ გააკეთოს. ტყიბულის შემოსასვლელში, თავის დროზე, იმხელა საავადმყოფო იყო, სავსე ექიმებით, უზარმაზარი. და იყო საჯარო, ახლა ის დაიხურა, დაანგრის, გაასწორეს მიწასთან და იმის მაგივრად გახსნეს „ევექსი“. ნანა, 55*

არცერთ მოქმედ კლინიკაში ექიმებსა და ექთნებს არ ენდობიან მოსახლეები. ჯანდაცვის ძირითად მომსახურებას ტყიბული იღებს ქუთაისსა და თბილისში, ადგილობრივ ჯანდაცვის

ობიექტებს კი მიმართავენ მხოლოდ ბაზისური მიზნებით - პირველად სამედიცინო დახმარების ან საბაზისო ანალიზების კუთხით.

ჯანდაცვის ეს პრობლემები მწვავედ მოქმედებს ქალთა ცხოვრებაზე. არამხოლოდ უშუალოდ ჯანდაცვის სერვისებზე ხელმიუწვდომლობის კუთხით - ადგილზე, არამედ ფიზიკური და სოციალური კვლავწარმოების სხვა ასპექტების თვალსაზრისითაც, რისი მნიშვნელოვანი კომპონენტიცაა დასახლებაში ბავშვთა ჯანდაცვის სანდო გარანტიების არსებობა.

- *„მე რომ შვილი მყავდეს და აქ ვცხოვრობდე, თუ მექნება იმის საშუალება, რომ სხვა ქალაქში წავიდე, აქ არ მივიყვანდი. ანალიზები თუ დაგჭირდება, ეგ შეგიძლია გაიკეთო აქ მხოლოდ, მაგრამ ეგეც არკეთდება ადგილზე, იღებენ სინჯებს და სხვაგან იგზავნება.“* ეკა, 24
- *ელემენტარული ანალიზი, გადაღება რაღაცის ალბათ - მხოლოდ სისხლის ანალიზი და რენტგენი ექნებათ - აქ, მარტო პირველადი დახმარების ამბები. თან სანდოობის მომენტიც არ არის - რადგან არ აქვთ არც ტექნიკა, არც საშუალება, არც კადრები არ ყავთ.“* ნინო, 32

გარდა ამისა, ჩანს, რომ თუ რაიმე პრობლემამ არ იჩინა თავი, ტყიბულელი ქალების დიდი ნაწილი არ მიდის ექიმთან არც პროფილაქტიკის მიზნით და არც მცირე წუხილებზე - მაშინ როცა ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობისთვის აუცილებელია პერიოდული გეგმიური შემოწმება.

- *„საუკუნეა არ ვყოფილვარ ექიმთან, სპეციალისტიც არ არის სხვადასხვა დაავადებების, რომ დაგჭირდეს“* ცირა, 61
- *„სანამ რამე არ დაემართებათ და არ ატკივდებათ, თუ არ მოკვდი, იქამდე არავინ მიდის ექიმთან, ქალები - არავინ არ ამოწმებს ჯანმრთელობას.“* თიკო, 40

ქალაქში პროფესიონალი ექიმების დეფიციტს და საკმარისი სერვისების არარსებობას რესპოდენტები უკავშირებენ ქალაქში ზოგადად არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ გამოწვევებსაც, რომლებიც არ უწყობს ხელს მათ შორის არც კერძო პირებს, გახსნან საკუთარი კლინიკები და ხარისხიანი მომსახურება შესთავაზონ ქალაქის მაცხოვრებლებს და გრძელვადიან პერსპექტივაში, მათაც ქალაქის დატოვებისკენ უბიძგებს.

- *„აგერ მაგალითად იყო ადამიანი, რომელმაც გახსნა კლინიკა - ნორმალური, სხვებზე უკეთესი. სტომატოლოგიური. შეგეძლო მისულიყავი, მაგრამ ვერ იარსება. გადავიდა, თბილისში გახსნა კლინიკა. განა მოთხოვნა არ იყო? მაგრამ აქ რომ 30 ლარს იხდი კბილის გაკეთებაში, თბილისში იხდი 100 ლარს, და ვერ ძლებს. ნახევარი დღეები დადიოდა იმ კლინიკაში თბილისში, ნახევარს აქ იმიტომ რომ უნდოდა, აქ ემუშავა, წინ და უკან სიარულში დაიღალა და გადავიდა. იქ მაინც ეყოლება თავისი კლიენტი*

მუდმივად - აქ კი ხან გერიდება, ხან ვიღაცას არ აქვს - მოკლედ, ვერ გაქაჩა. გადავიდა ოჯახიანად, ორი ბავშვით და ცოლით და აღარაა ის დამბრუნებელი.“ თეონა, 26

ქალაქში ჯანდაცვის მომსახურების სრული პრივატიზება და ფაქტიურად არარსებობა ძალიან მოწყვლადს და დაუცველს ხდის მოსახლეობას. მემახტეებს, ახალგაზრდა დედებს, საშუალო ასაკის ქალებს, რომლებსაც მუდმივი გეგმიური სამედიცინო შემოწმება სჭირდებათ.

ჯანდაცვის სისტემის პრობლემები სოციალური და ასაკობრივი სეგრეგაციის მექანიზმად იქცევა: პენსიონერები, რომლებსაც გადაადგილებაც კი არ შეუძლიათ სხვა ქალაქში ისე, როგორც ახალგაზრდებს, ჯანდაცვის გარეშე რჩებიან; ასევე, მათ, ვისაც ჰყავს კერძო ავტომობილი და შეუძლია ჯანდაცვის მომსახურებისთვის სამგზავრო ხარჯი გაწიოს - უფრო მეტად შეუძლია სხვა ქალაქში მაინც მიმართოს კლინიკებს. ქალაქთაშორის ტრანსპორტი ამ საქმისთვის არ გამოგადგება, რადგან სადაზღვევო სისტემა არ არის მორგებული ამ მგზავრობებზე - შესაძლოა, პაციენტს მოეთხოვოს დიდი ხნით მოცდა და სანამ ტრანსპორტი დადის, მან ვერ მოასწროს უკან დაბრუნება, ან საერთოდ, დაიბარონ მეორე დღეს, რისთვისაც, შესაძლოა საჭირო გახდეს დედაქალაქში დარჩენა და ა.შ.

- *„ჩემ მეუღლეს ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემა და გაგვიშვეს თბილისში. ჩავედით და მითხრეს ფორმა 100-ზე - 48 საათში უნდა იყოს პასუხიო. ეს 48 საათი სად მომეცადა, საავადმყოფოში დავმდგარიყავით? რაიონიდან ჩამოსული? რაღაც საშუალება ხო უნდა იყოს, ან ჩემ რაიონში უნდა მქონდეს მომსახურება, ან მოქნილი უნდა იყოს. ექოს გადაღება თუ გინდაო, იქ უნდა გადაიღოო, ანუ უნდა ჩამოხვიდე აქ ტყიბულში, გადაიღო ექო, და გაქანდე უკან თუ რა უნდა ქნა? იმ ეხოზეც გრაფიკით აქ მოდის ექიმი - შაბათ-კვირას მოდის და შახტას რადგან ემსახურება, იმხელა რიგებია, უნდა ჩაუსაფრდე.“ მზია, 51*

ადგილობრივი ჯანდაცვის სისტემა არ არის მორგებული არც მემახტეთა გრაფიკსა და გადაადგილების თავისებურებებზე:

- *„შახტიორები შაბათ-კვირას სოფლებშია გასული, მაშინ როცა ექიმები ხშირად შაბათ-კვირას არიან ტყიბულში და ვერ ასწრებს ხალხი ექიმთან მისვლად. ყველა ექიმი მუშაობს 3 და 4 და 5 ადგილზე და დარბიან უთავბოლოდ წინ და უკან ამის გამო - ხან ტყიბულში, ხან თერჯოლაში, ხან ქუთაისში, ხან ბათუმში. ამას ხომ ჯობია, სადაც ერთგან გყავდეს ნორმალური ექიმი და იმას ქონდეს ნორმალური ხელფასი.“ ინგა, 59*

ერთ-ერთი რესპოდენტი საუბრობს სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთათვის შესაბამისი ჯანდაცვის სერვისების არარსებობაზეც.

- *„რეაბილიტაციის ცენტრი არ არის, რომ მასაჟისტი იყოს, აქაც არიან ცერებრალური დამბლით ბავშვები. თერაპევტი, ლოგოპედი, მასაჟისტი სჭირდებათ. ასეთი სეგმენტები ქალაქში საერთოდ არ არის - ანუ სპეციალური საჭიროებებისთვის*

არაფერია გათვალისწინებული. და ეს ბავშვები ქუთაისში, თბილისში დაყავთ, რაც ფინანსებთანაა დაკავშირებული და შესაბამისად, ვერც დაყავთ, ანუ ეს ბავშვები ვერ ვითარდებიან, როგორც საჭიროა“. სოფო, 38

ზემოთჩამოთვლილი ფაქტორები: ჯანდაცვის სრული პრივატიზება, ექიმების, ექთნებისა და სხვა მედპერსონალისთვის მწირი ხელფასები და არახელსაყრელი შრომითი პირობები, ტექნოლოგიურ აღჭურვილობათა სიმწირე და დანარჩენი ფაქტორები, ჯანდაცვის რგოლის ორივე ძირითად მხარეს - როგორც მედპერსონალს, ისე პაციენტებს, უზიძგებს დატოვონ ქალაქი ჯანდაცვის მომსახურების მისაღებად ან გასაცემად. შესაჯამებლად შეიძლება ითქვას, რომ რთული წარმოსადგენია, დღეს არსებული მოცემულობით ტყიბულში ჯანდაცვის კერძო სექტორი ისე განვითარდეს, რომ მოსახლეობას საჭირო სერვისები, მინიმალური სანდოობა და გარანტიები შესთავაზოს.

ინფრასტრუქტურა და სივრცეები

მიუხედავად იმისა, რომ ტყიბული გამოირჩევა უნიკალური თეატრით, არაჩვეულებრივი დაგეგმარებით და ბევრი მწვანე სივრცით, მყუდრო სამეზობლო უბნებით, ქალაქი განიცდის სოციალიზაციისა და კულტურული ცხოვრებისთვის აუცილებელი სივრცეების მძიმე დეფიციტს. ფიზიკურად არსებული სივრცეები - სკვერები, ბაღები, თეატრი - ვერ უძკლავდება იმ აუცილებელი სოციალურად ცოცხალი სივრცის შექმნის გამოწვევას, რაც ადამიანებს შორის სოციალიზაციის, ინტელექტუალური თუ ემოციური გაცვლის, დისკუსიის შესაძლებლობებს წარმოშობს.

თეატრი ფუნქციონირებს, მას ჰყავს საკუთარი დასი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანები საკუთარი სახელოვნებო პროფესიების შესანარჩუნებლად შახტებში ან სხვა მძიმე სამუშაოებზე მუშაობენ, ან ხელოვნების მასწავლებლები - სკოლებში დამატებით, მაგრამ ფინანსური, რესურსული, კადრობრივი სიმწირისგან წარმოშობილი პრობლემებისა და სხვა ქალაქში არსებული სხვა პრობლემების გამო, ის ვერ ატარებს რეგულარული სოციალიზაციის, ქალაქში კულტურული ცხოვრების დაბრუნების ფუნქციას, რომელიც შეიძლებოდა სხვადასხვა პრობლემების ერთმანეთისთვის გაცვლის სივრცედ ქცეულიყო მოსახლეობისთვის.

- *„ინტერესების სფეროები გამქრალა. პანდემიის დროს თეატრი გაჩერებული იყო, მაგრამ ცოტა ხნით რომ მოიხსნა შეზღუდვები, ორი სპექტაკლის პრემიერა იყო. იმას დავაკვირდი, რომ არცერთი საჯარო მოხელე, რომელსაც შეუძლია და აქვს კიდევ ინფორმაცია, რომ პრემიერაა - არ მოდის. ამაში ინდივიდუალურად კი არაა დამნაშავე. სოციალური ფონი უფრო იწვევს ამას, სულ რომ მარტო კულტურის თანამშრომლები მოვიდნენ, დარბაზი გაივსება. მაგრამ როგორ უნდა უთხრა 100 ლარიან თანამშრომელს, რომ 3 ლარი გადაიხადოს ბილეთში?“ მზია, 51*

- „მე დავდივარ ხოლმე, მოსახლეობა ნაკლებად. უკვე ეს დევიზი აქვთ: „თეატრი, არა ის“. არადა, ძალიან დიდი სურვილი მაქვს სიარულის - ქალებს უნდათ ეს კულტურული ცხოვრება, ივლიდნენ, მე ბევრჯერ მისაუბრია ჩემს მეგობრებთან, თუნდაც რომ იყოს ლიტერატურული კაფე, ნებისმიერი ასეთი სივრცე, მაგრამ ვერ წარმოგვიდგენია. ქალები ძირითადად ერთმანეთს ხვდებიან სახლებში, განსაკუთრებით პანდემიის მერე. ქალები ყველაფერს მოკლებული არიან ზოგადად.“ სოფო, 38

რესპოდენტ ქალთა ნაწილი საუბრობს იმაზე, თუ როგორი მნიშვნელოვანია მსგავსი სივრცეების არსებობა ქალებისთვის, ყოველდღიური რუტინის დასავიწყებლად. ერთ-ერთი რესპოდენტი ინტერვიუებში იხსენებს ძველ ტყიბულსაც, სადაც „ჩქეფდა“ კულტურული ცხოვრება.

- „თეატრში დავდიოდი, დავდიოდი სულ, გამორიცხული იყო, რომ გამომპარვოდა. საბჭოთა დროსაც, როცა უამრავი რამ ხდებოდა, და მერეც - იშვიათად იყო, მაგრამ სულ დავდიოდი - ძალიან საჭიროა ეს. 9 წელიწადი ვცეკვავდი, ხელოვნება ძალიან მიყვარს ზოგადად. სკოლის პერიოდში, ყოველ ხუთშაბათს დავდიოდი კინოში, 4 სენსი ტარდებოდა კინოთეატრებში. ახლა ავეჯის საწყობია იმ შენობაში. 3 კინოთეატრი იყო სულ. ერთი შახტის. კლუბები იყო პატარა, ძალიან კარგი პარტერით და ყველაფერი.“ ცირა, 61

- „როცა კინო არ არის, თეატრი არ არის, კაფე არ არის, სად უნდა წაიყვანო ადამიანი - მაქსიმუმ სახლში დაპატოჟო. სივრცეები არ არის და გოგონები ან თხოვდებიან, ან მიდიან სასწავლებლად. ახალგაზრდა ქალი გეტყვის, რომ ჭირდება გართობა - რომ არ მაქვს კაფე, არ მაქვს კინო, არ მაქვს თეატრი და ა.შ ანუ რაც არის თბილისში.“ თეონა, 26

ტყიბულში არსებულ სივრცეთა გენდერული გადანაწილება საკმაოდ უთანასწოროა, რადგან სახლების გარეთ, სკვერებში, ეგრეთწოდებულ „ბირჟებზე“, ეზოების სივრცეები - ძირითადად კაცებს აქვთ ათვისებული, ქალები ამ სივრცეებს მხოლოდ მაშინ იყენებენ, როცა ბავშვებს ასეირნებენ, ნაკლებად სხვა ქალებთან შესახვედრად; ხოლო საკვები ობიექტები ტყიბულში ისეთი ტიპისაა, რომ ნაკლებად კომფორტულია ქალებისთვის - უფრო მეტად საქეიფო, სასადილო და რესტორნებია, რომლებიც ძირითადად სარიტუალო დარბაზების ფუქციით მუშაობს, რაც ცალკე ქალების სოციალიზაციის სივრცედ ვერ გამოდგება.

- „ქალაქში უფრო ბიჭებს აქვთ სივრცეები ათვისებული, სასადილოებში, ბირჟებზე. თუმცა ზაფხულში მაინც გარეთ ყველა ერთადაა. სივრციდან გამოწვეულია ეგ.“ ეკა, 24
- „კაცებისთვის ყველა ადგილია, ქალებისთვის ნაკლებად. მარტო ქალები არ დადიან ასე სადმე, შეიძლება დადიან ერთად ქალებიც და კაცებიც, მაგალითად სუფრაზე, მაგ მხრივ, ერთ მუშტადაც არიან ხოლმე“ ანა, 19

- „ბავშვების მშობლები და ა.შ ახლო ურთიერთობა ვისთანაც გვაქვს, როგორც კი დროს გამოვნახავთ, დავდივართ ერთმანეთთან სტუმრად. ხინკალზეც წავსულვართ - რაც არის, იმაზე. ამ ტიპის სასადილოს (უფრო დარბაზები ქვია) რესტორანს ვერ დაარქმევ და დიდხანს ვერც გაჩერდები.“ ნათია, 39

ტყიბულში არ არსებობს კაფე, რომელშიც შეიძლება მეგობართან შესახვედრად წასვლა. ეს ქალებისთვის მძიმე ბარიერს ქმნის, რომ ერთმანეთთან ურთიერთობა და ემოციური გაზიარება შეძლონ. ტყიბულელ ქალთათვის ერთმანეთის ნახვის საშუალება საკუთარი სახლებია, სტუმრად მისვლა, რასაც ხშირად ვერ ახერხებენ - თანაც, რესპოდენტთა თქმით, ტყიბულელთა უდიდესი უმრავლესობა დიდ ოჯახებთან ერთად ცხოვრობს - მათ შორის ახალგაზრდა წყვილები, რაც ართულებს ავტონომიური სივრცის ქონას თუნდაც სტუმრების მიღების თვალსაზრისით.

- „ქალი ასაკში ვარ მაგრამ კაფე- ბარი რომ იყოს, დაჯდე ისაუბროო ჩიქა ყავა დალიო, მეგობრები შეხვიდეთ - სივრცე არ არის. და საუბედუროდ სახლებშიც ვეღარ ნახულობენ ამ პანდემიის გამო. მანამდე გარეთ, სკვერში თუ დაჯდებოდი, აუზთან რომ კაფეა, იქ შევსულვართ ზოგჯერ ხელოფასზე სამკერვალოდან ქალები. ისე, მარტო ქალთა წრე რომ შეხვიდეთ და არ გქონდეთ კაცების რიდი, ასეთი რამე ნამდვილად არ არსებობს.“ ცირა, 61
- „აი ეხლა სამი ქალი შეხვდა ამ წუთში ერთმანეთს, ქალაქში. აქედან ერთ-ერთი ჩემი მულია. კლასელებს შეხვდა - 55 წლის ხალხზე მაქ ლაპარაკი. იძულებული გავხდი გასაღები მიმეცა და დაკეტილი ტორტის პატარა მაღაზიაში დამსხდარიყვნენ, იმიტომ რომ არ არის სხვა სივრცე და დაელაპარაკათ.“ ლალი, 55

თუ ქალების გარკვეულ ჯგუფებს (მაგალითად, თანამშრომლებს, სკოლის მოსწავლეების მშობლებს, ძველ მეგობრებს და სხვ.) უჩნდებათ ინიციატივა შეკრების, ისინი იძულებულნი ხდებიან წავიდნენ რომელიმე ქალაქის მოშორებით შედარებით სოლიდურ რესტორანში (ან საერთოდ სხვა ქალაქში) და თავადაც „იქეიფონ“. სხვა ქალაქში წასვლა და ქეიფი ხარჯებთანაა დაკავშირებული, რის საშუალებასაც ტყიბულელები თავს მაქსიმუმ წელიწადში ერთხელ მისცემენ და შესაბამისად, ასეთი შეხვედრები იშვიათია. გამოდის, რომ ტყიბულელი ქალებისთვის არ არსებობს ემოციური დასვენების, სულიერი საზრდოს მიღების, გულის გადაყოლების სივრცე, რომელიც მათ შრომას შეამსუბუქებდა, ოჯახურ პრობლემებს ცოტა ხნით დაავიწყებდა, სხვა ქალების პრობლემებს გააგებინებდა, ერთად რამის დაგეგმვის ინიციატივა გაუჩნდებოდათ და ასე შემდეგ.

- „ იცით, რომ აქ არ არსებობს კაფე. თუ შეძლებული ოჯახებიდან არიან, აუცილებლად გადიან, სადმე ქალაქგარეთ, რესტორანში, მაგრამ დედაჩემი თავის დაქალთან ერთად ვერასდროს ვერ გავა, საშუალება არ აქვთ, სახლებში დადიან. გამოდის, რომ მარტო ის ქალები მეგობრობენ, ბალის და სკოლის ბავშვების მშობლები, ქსკურსიებზე დადიან

და მშობლები უკეთ ერთობიან ხოლმე. ვიჯექით და ვუყურებდით ხოლმე, როგორ ცეკვავდნენ.“ ანა, 19

- „ჩემი დაკვირვებით, მაღაზიებში ნახულობენ ერთმანეთს ქალები. და სკვერებში როცა ბავშვს ასეირნებენ. აი რომ გაიპრანჭონ და სადმე წავიდნენ, იშვიათად. მშობლები სკოლის ან ბაღის - ესენი იკრიბებიან ხოლმე ძირითადად. ძვერთან მაგალიტად კარგი ადგილებია, ვინმეს თუ მანქანა ყავს. ქუთაისში ჩახვალ 45 წუთში, მაგრამ გზაში რომ შენობებს არ უყურებ, მაინც გაქვს აღქმა, რომ მგზავრობ, იღლები“. თეონა, 26

მნიშვნელოვანია, რომ ტყიბულში ფუნქციონირებს კარგი საცურაო აუზი, რომელიც აკმაყოფილებს საჭირო ჰიგიენურ თუ სხვა სტანდარტებს და კომფორტულ გარემოს ქმნის ცურვისთვის. მიუხედავად ამისა, აუზით ნაკლებად სარგებლობენ ახალგაზრდა ქალები და თითქმის არ სარგებლობენ საშუალო ასაკის და ასაკოვანი ქალები.

- „აუზს ქალები არ იყენებენ, მხოლოდ ბავშვები, 3- დან მაქსიმუმ 17 წლამდე და ასევე, 30-40 წლის კაცები, არცერთი ქალი მე იქ არ მინახავს. თუ მოდიან, კაბით შედიან, ასეთივე მინახავს. ერიდებათ, რაღაცნაირად. ეგ აუზი თავიდან ლარი ღირდა და ბევრი ხალხი იყო, მეორე წელს 2 გახდა, ახლა 3 და აღარ დადიან. გაძვირდა, შესაძლებლობა არ აქვს ხალხს.“ ანა, 19
- „დადის ხალხი, იყენებს. ქალები არ ვიცი - შეიძლება, ისეც მოხდეს, ქმარმა არ გაუშვას, ან თვითონ არ გაუჩნდეს სურვილი. სხვათაშორის ჩემი გოგოც არ დადის, კომპლექსი აქვს. ბიჭები დადიან მთელი სეზონი. დიდი არ დადის, იმიტომ რომ სხვანაირად შეხედავენ. ქალები იშვიათად - ჩამოსული თუ დადის ალბათ. მე არ დავდივარ.“ ნათია, 39
- „აუზია მშვენიერი მაგრამ მაინც არავინ არ დადის - ბავშვები მარტო. არ დაბრუნდა კულტურა აუზზე სიარულის რატომღაც, არადა ტყიბულში დიდი აუზი საბჭოთა დროსაც იყო იყო და დადიოდა ხალხი“ - მირანდა, 29

ქალებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვთა აღზრდისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ ტყიბულში არის სკვერები, სათამაშო მოედანი არის, მაგალითად, პოლიციის შენობის გვერდით, მთავარი გზის პირას, სადაც მანქანების ხმაური, პოლიციის ეზო არაკომფორტულია სათამაშოდ ბავშვებისთვის და ახალგაზრდა დედებისთვის. სწორედ ამ სკვერში შევხვდი ერთ-ერთ რესპოდენტს, რადგან ბავშვები ჰყავდა დატოვებული და უნდა გაერთო. მანქანების ხმაურის გამო ინტერვიუს ჩაწერაც კი გაგვიჭირდა.

- „ელემენტარული, თუნდაც მე ვცხოვრობ დაბლა ტყიბულში და ზემოთ, პოლიციის ბაღთან უნდა ამოვიყვანო ბავშვი სათამაშოდ - ტრანსპორტზე უნდა დავჯდე და ისე

მოვიდე, რომ ბავშვი საქანელაზე ჩამოსრიალდეს. თან გზის პირია. არ არის ეს კარგი სივრცე ბავშვებისთვის“ ცირა, 61

- წარმოიდგინეთ - აქ პოლიციის შენობა და აგერ უცხად 2 მეტრში საქანელა. ასეთი არასტანდარტული რამე როგორ შეიძლება და შეუსაბამო იყოს ბავშვებისთვის. ბევრი დედა არ მიდის იქ და ბავშვი არ მიყავს, იმიტომ რომ იქ პოლიციელები არიან. (თან გზისპირზეა) და ყველაფერი კავშირშია ერთმანეთთან რა თქმა უნდა. ვერ იყენებ ფუნქციურად იმასაც, რაც არის. მეორეა - ქვემოთ, ცხრა აპრილის პარკია და იქ თბოელექტროსადგური იყო და ნახშირი რომ დაიცლებოდა სასრიალოც და ყველაფერი იყო გადაშავებული და სასუნთქად ბავშვისთვის რა თქმა უნდა მავნებელია. ძალიან მიყვარს ჩემი ქალაქი და პატრიოტი ვარ მისი, მაგრამ ეს რეალობაა. ბავშვებისთვის სხვანაირი სივრცეები უნდა იყოს.“ სოფო, 38

ასევე, არ არსებობს ბავშვების გასართობი რაიმე დაწესებულებები. ბავშვთა სოციალიზაცია და განვითარება მხოლოდ ფორმალური და არაფორმალური განათლების სექტორში ხდება, რაც ბავშვთა დროის უმეტესობას ითვისებს.

- „გართობის თვალსაზრისით, ბავშვს ვერ გაართობ, თუმცა აღზრდა არ გაგიჭირდება სხვა მხრივ - სკოლები არის, ბაღები არის, წრეები არის ხელოვნების, პიონერთა სასახლეც¹⁶ ფუნქციონირებს და თუ შენ არ გაქვს საშუალება, არ ღირს ძვირი.“ ეკა, 24
- „არ არის ბავშვისთვის თვალსაწიერის გაფართოების არეალი. მარტო სკვერს ხომ ვერ უყურებს, ატრაქციონი არ არის არანაირი, არაფერი. სივრცეების ნაკლებობაა. კი არის წრეები, მაგრამ გასართობი ცენტრი არ არის, რომ ბავშვი მეტად განვითარდეს.“ თიკო, 40

აბსოლუტურად ყველა რესპოდენტი, კითხვაზე, თუ რას გააკეთებდა ქალებისთვის ქალაქში, პასუხობს, რომ შექმნიდა სივრცეს - ნებისმიერი ტიპის სივრცეს, სადაც ქალებისთვის შეკრება, საუბარი იქნებოდა შესაძლებელი. ერთი რესპოდენტი საუბრობს სპეციალური საჭიროებების ბავშვთათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურული და საგანმანათლებლო სივრცის აუცილებლობაზეც.

- „ფინანსები რომ მქონდეს, დიდი სიამოვნებით გავხსნიდი ქალებისთვის ტრენაჟორებს, რომელიც არ არის აქ. ასევე, ბევრი მოსწავლე არის შეზღუდული შესაძლებლობით, ზოგი ისეთ მდგომარეობაშია, მშობელიც რომ მაღავს. ჩემი ოცნებაა იმათი ხელმისაწვდომობის გაზრდა. ან იყოს გასართობ-შემეცნებითი ცენტრი, ძერწვა მაინც ისწავლონ - დავასაქმებდი მაგალითად სამ ადამიანს, რომელმაც იცის თიხაზე მუშაობა,

¹⁶ ტყიბულის „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის“ ძველი სახელი

ან სხვა რამე. შეზღუდული შესაძლებლობებით რომ მოვა იქ მოსწავლე, გამორიცხულია მერე ბევრი რამ არ წაიღოს აქედან“ სოფო, 38

გავალიანება, აზარტული თამაშები, ალკოჰოლიზმი და ნარკომანია

გავალიანება და აზარტული თამაშები სოციალური კვლავწარმოების კრიზისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი. მონეტარულ შემოსავლებზე დამოკიდებულების ზრდა¹⁷ და არსებული შემოსავლების სრული არასაკმარისობა წარმოშობს ვალებზე მასშტაბურ დამოკიდებულებას, რომლებიც ხშირად ციკლურია, ხელფასებიდან -ხელფასებამდე გადაიხდება ან ახლდება; ან, ხშირად მოულოდნელად წარმოქმნილი ხარჯის დასაფარად ხდება საჭირო. რესპოდენტების აღწერით, ტყიბულში ყველა გავალიანებულია და ეს ჩანს ქალაქის საბანკო და სავაჭრო ცხოვრებაშიც - განურჩევლად შედარებითი სოციალური მდგომარეობისა. რესპოდენტები საუბრობენ ადგილობრივი უძრავი ქონების გაუფასურებაზეც - ქალაქის მაცხოვრებელთა საკუთრებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი არამონეტარული კაპიტალის - ბინების უკიდურესად დაბალ ფასებზე, რომლებსაც, ტყიბულელების ნაწილი თბილისში ბინის საყიდლად იპოთეკაში ჩასადებად იყენებს და შემდეგ, კარგავს.

- *„თანხის გადანახვა გამორიცხულია. დანაზოგი გამორიცხულია - არავის არ აქვს. ყველას სესხი აქვს, ყველას. უმეტესობას მემანტეებს 90% ვალი აქვთ და იხდიან სესხებს. ძირითადად სამომხმარებლო სესხებია.“ ცირა, 61*
- *„ჩვენდა სამწუხაროდ ყველა ოჯახს აქვს ვალები. ძირითადად ორი ბანკია, დაქცევა, დამხოზა. არის ხალხი, რომელსაც ძალიან სჭირდება და რომ არ აიღოს, ვერ იცოცხლებს. სახლის დაკარგვის შემთხვევა გამიგია, გამოსახლების არა. ერთი მაგალითი ვიცი, რომ გამოსახლების საფრთხე დაუდგა კაცს, მაგრამ დღემდე არ არის გამოსახლებული. აღსრულება არ მომხდარა - იცით რატომ, ფასი აქვს ბინას ისეთი დაბალი, არაფრით არ გაიყიდება, და რომ გამოსახლოს სად წავიდეს. აზრს ვერ ხედავს ბანკი იმის გამოსახლებისას.“ მზია, 51*
- *„ვალები მეც მაქვს. კიდევ ალების შესაძლებლობა რო მქონდეს, აუცილებლად გამოვიტანდი. ყველას აქვს, ჩემ მშობლებსაც. ეგ რო არ გვექონდეს, შეიძლება სახლში ის ტკბილეულიც მივიტანო, რომელიც მინდა. ყველას აქ ბანკის ვალი - იმასაც, ვისაც*

¹⁷ იგულისხმება პროცესი, როდესაც ცხოვრების სტანდარტი მთლიანად დამოკიდებული ხდება შრომის ბაზრიდან მიღებულ ფინანსურ შემოსავალზე, ვინაიდან სხვა ტიპის კაპიტალზე - უძრავ ქონებაზე, სახელმწიფო სერვისებზე, თვითუზრუნველყოფის მეურნეობაზე დამოკიდებულება მცირდება პრივატიზაციის, სოციალური დაცვის სისტემის დაღმასვლის, უძრავი ქონების ფასების ვარდნის, სოფლის მეურნეობის სფეროში დამდგარი პრობლემების; პირად და ოჯახურ საკუთრებებში არსებული ქონების მასობრივი გაყიდვების გამო და იზრდება ჯიბიდან დანახარჯები.

დეიდა ყავს ამერიკაში, ჩემ მეზობელსაც, არაფერი რომ არ აკლია, აქვს ვალი. გამიგია, რომ ყველაფერი დაუკარგავთ ბანკის ვალის გამო. ბებიაჩემმა და ბაბუაჩემმა დამიტოვეს ბინა და მოგვიჩნია, რომ ჩაგვედო ბანკში. იმედია არ წამართმევენ, რომ ეგ მაინც შემრჩეს და გავაქირაოთ.“ ანა, 19

- „განვადებები ყველას აქვს. გამოსახლების შემთხვევა არ გამიგია, ძირითადად ასეთი პრაქტიკაა, თბილისში რომ ყიდულობენ ბინას, დებენ აქ სახლს და უტოვებენ ბანკს, ანუ კარგავენ, მაგრამ ეს სახლები კიდიათ ძირითადად - ღირებულება არ აქვს ამ სახლებს ისეთი რომ ადარდებდეთ - მაგრამ იპოთეკას აკეთებენ მაგის ჩადებით.“ - მირანდა, 29

ადგილობრივი უძრავი ქონების გაუფასურება და გავალიანების კაბალური პირობები ნახსენებია ტყიბულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების 2019 წელს დამტკიცებულ გეგმაშიც: „ფინანსური ინსტიტუტები დაბალი ლიკვიდურობის გამო, ხშირ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტში არსებულ ქონებას არ განიხილავენ გირაოს სახით. შესაბამისად, მხოლოდ მიკროსაფინანსო ინსტიტუტები აქტიურობენ სესხების გაცემის კუთხით და მოსახლეობასა და ეკონომიკური აქტივობით დაინტერესებულ პირებს უწევთ მაღალპროცენტიანი, კაბალური პირობების სესხების აღება.“

ვალეები მნიშვნელოვანი სტიმული ხდება მიგრაციისთვისაც. ის ქალები, რომლებიც წლების განმავლობაში ცდილობდნენ, არ მიემართათ ამ გზისთვის, დარჩენილიყვნენ საკუთარ ოჯახებში, ბოლოს მაინც დადგნენ გარდაუვალი მიგრაციის წინაშე, რადგან შეუძლებელი გახდა საბანკო ვალების ეროვნულ ვალუტაში მიღებული ანაზღაურებით გასტუმრება.

- „ვალი ყველას აქვს. თან ერთი თუ გააკეთე, მერე ბანკიც ხომ გიზრდის ლიმიტებს და ერთს რომ შემოგთავაზებს, მერე მეორესაც თანხმდები, მესამესაც თანხმდები და ბოლოს უსასრულობაში მიდის ეგ შენი ვალდებულებები. თითქმის ყველას აქვს. შახტიორების, მუშების 90%-ს აქვს, ბანკში რომ ვმუშაობ და ვუყურებ, ამიტომ ვიცი. ვისაც არ აქვს კიდევ, შეიძლება მხოლოდ იმის გამო არ ქონდეს, რომ ცუდი საკრედიტო ისტორია აქვს. მაგიტომაც ხდება ძაან ბევრი იძულებული, რომ წავიდეს. ეს ვალები ეზრდებათ და ვეღარ ისტუმრებენ“ ეკა, 24

- „ბანკის ვალით წამოვედი მე. სანამ აქ (იტალიაში) წამოვიდოდი, მაღაზიაში ვმუშაობდი 11 საათიანი გრაფიკით. მეუღლემ ინფარქტი მიიღო და შახტში ვეღარ მუშაობდა, ბანკში დამჭირდა სესხის აღება ამ დაავადების გამო, პლუს სამი შვილი მყავს. საშინელ დღეში ჩავვარდი. დამერღვა ბანკის გადახდები, ყოველდღე მირეკავდნენ, წარმოიდგინეთ რამხელა სტრესია. არ მინდოდა ძალიან ოჯახის დატოვება, არასდროს არ დამიტოვებია აქამდე - 1 დღითაც, ყველგან თან დამყავდა ჩემი შვილები, მაგრამ იძულებული გავხდი წამოვსულიყავი და აქ მემუშავა, რომ ვალების გადახდა დაგვეწყოს“. ლია, 52

არასაკმარისი ფინანსური შემოსავლები და გავალიანება ცალ-ცალკე და ერთად კიდევ უფრო ძლიერად მოქმედებს აზარტულ თამაშებში ადამიანების ჩართვაზე. მიუხედავად იმისა, რომ

ტყიბულში არ არსებობს კაზინო, რესპოდენტთა განმარტებით, უამრავი შემთხვევაა, როცა ტყიბულელები სხვა ქალაქებში მიდიან სათამაშოდ და აგებენ ფულს, ასევე აქტიურად იყენებენ ონლაინ -კაზინოებსა და სათამაშო საშუალებებს.

- „ ვერ გაივლი ტოტალიზატორთან ქუთაისში, ჩემი კლასელების უმეტესობა - ბიჭები - გაშავებულები რომ არ იყვნენ. ვინც გადავიდა იქ, მინიმუმ შესულები არიან და მაქსიმუმ ათეულობით ათასებით ვალებით გამოვიდნენ, და არის კატეგორია, რომლებიც შავ სიაში არიან. არა მხოლოდ ახალგაზრდები. ყველა ერთმანეთს ითრევს ამაში და შემდეგ ამაში ფლანგავენ ძირითადად თავიანთ უნარებს და შემოსავლებს, და ოჯახის შემოსავლებსაც. ტყიბულის დონეზე სლოტებია - 50 , 100, 500 ლარი - და სულ თამაშობენ. მაგრამ თბილისში უფრო დიდი ვალები აქვთ. ეს სლოტები აღარ აკმაყოფილებთ, იმან ჩაითრია - იმ კულტურამ - დიდი ტოტალიზატორების, ლიდერბეთის და რაღაცების კულტურას ეზიარნენ. ჩემმა კლასელმა, რომელსაც ყველა გადასარევ მომავალს უწინასწარმეყველებდა, უნივერსიტეტში ყველაზე მაღალი ქულით ჩააბარა, მაგრამ სწავლა აღარ დაასრულა, რადგან 50 000 ლარიანი ვალი აიკიდა თამაშებში.“ თეონა, 26
- „10 დან 7 ადამიანი თამაშობს, განუსაზღვრელი ასაკის, გოგოც და ბიჭიც. 18, 40, 35 ყველა ასაკის, სლოტებს თამაშობენ, ბურას, ონლაინ ყველაფერს თამაშობენ. ზოგია, რო არ რიცხავს ფულს, მაგრამ საიტი გჩუქნის და იმას თამაშობენ. მე რაც ვიცი, ვინც თამაშობს, დღეში 1000-ზე მეტიც კი წაუგია.“ ანა, 19
- „ძალიან ბევრი თამაშობს, ინტერნეტით. ვალები - ყველას. მოსახლეობის უმეტესობას. მათ შორის ქალები. რამდენიმე ოჯახი ვიცი, რომ ცოლიც და ქმარიც თამაშობს ერთდროულად, ძირითადად ახალგაზრდები.“ ნინო, 32
- „ერთ-ერთი საჯარო სკოლის მასწავლებელს ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა ამ ზაფხულს, რადგან შვილმა წააგო დიდი თანხა. ბევრზე მსმენია ძალიან. აქ არ არის კაზინო, მაგრამ სხვა ქალაქებშია. ვალებიც ყველას აქვს. ჩვენი ბანკები მუშაობს ეს ფილიალები ზუსტად მეშახტეების სამომხმარებლო სესხებზე“ სოფო, 38

რესპოდენტები საუბრობენ იმაზეც, რომ აზარტული თამაშებისა და გავალიანების პრობლემა უკიდურესად ცუდად მოქმედებს ქალებზე არამხოლოდ სოციალურად, არამედ ფსიქოლოგიურად, რადგან იწვევს ემოციურ დამაბულობას, დეპრესიას, კონფლიქტებს ოჯახებში, რაც ოჯახური ძალადობისთვის მოწყვლად გარემოს აყალიბებს.

- „ამ ფაქტორების გამო კაცები ძალიან ნერვიულები არიან და ქალები იჩაგრებიან. გამიგია ჯახური ძალადობის შემთხვევები, გინება, შეურაცხყოფა. როცა ადამიანი სულ ნერვებმოშლილია, ვერაფერს ვერ აკეთებს, რაღაც უნდა და არ აქვს... ვალი აქვს

გადასახდელი და არ იცის საიდან მოიტანოს ფული, ან რაც აქვს, იმსაც აგებს, ის არ არის ჯანსაღ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში. და არასდროს არ ყვებიან ამაზე ქალები - მე რაც ვიცი, აუცილებლად უთმობენ კაცებს, რომ დაიცალოს, ბრაზი გამოუშვას, და დამთავრდა.“ ანა, 19

გავალიანებისა და აზარტული თამაშების გარდა, ოჯახში დამაბულობისა და ძალადობის წამახალისებელი ფაქტორია, ასევე გავრცელებული ალკოჰოლიზმიც.

- „ალკოჰოლიზმი გავრცელებულია. სხვათაშორის, მემხატეებიც რომ გამოდიან სმენიდან, ზოგს ნერვები არ ყოფნის - ასე იციან თქმა - ნერვები გვაქვს გაფუჭებულიო. რახან ცოცხლები გადავრჩით დღესაცო, და სვამენ ხოლმე. ეს პრობლემა ოჯახშიც, ქალებზეც აისახება. თუნდაც ჩემ მეუღლეს, ძან ცუდი სიმთვრალე აქვს და ღმერთს მადლობას ვუხდით, რომ მუშაობს შახტაში და ნაკლებად სვამს. ბევრი ოჯახია ასეთი, სადაც არ არიან დასაქმებული კაცები და სხვას ვერაფერს რომ ვერ აკეთებენ, სვამენ.“ - სოფო, 38
- კაცები ძირითადად სვამენ, ბირჟაზე უმეტესობა უმუშევარი კაცები სვამენ, 60% ალბათ. ეს იწვევს ოჯახში დამაბულობას და პრობლემებს მერე. ქალების უმეტესობისთვის ეს პრობლემაა, აურზაურია და ბავშვებზეც მოქმედებს. ფსიქოლოგები რომ არ გვყავს, ძალიან ცუდია ეს. ამ ქალებს მაინც დაეხმარებოდა“ - ნათია, 39

შედარებით მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარება, რესპოდენტთა თქმით გავრცელებულია ახალგაზრდებში, მათ შორის, განსაკუთრებით მოზარდებში, როგორც ბიჭებში, ისე გოგონებში. აღნიშნულ საკითხს, კვლევის მონაწილეები უკავშირებენ, ერთი მხრივ, ქალების გადინებას, რაც მწვავედ აისახება ბავშვებსა და მოზარდებზე, მეორე მხრივ კი ქალაქში დარჩენილი მშობლების „შეგუებულ“ მდგომარეობას, არ ჰქონდეთ ამაზე რეაქცია.

- „მოზარდები - თინეიჯერები და ახალგაზრდები 30-35 წლამდე მოსაწევს მოიხმარენ, უფრო ზევით ასაკში გასაკეთებელი (ინტრავენური) ნარკოტიკი, კაცები ძირითადად. 40 წელს ზემოთ 10დან 4 კაცი მომხმარებელია. ახალგაზრდები გოგოებიც და ბიჭებიც ეწევიან- მიმბაძველობაა, ტრენდია, ყველა ეწევა.“ ანა, 19
- „მაგ მხრივ ძან ცუდი სიტუაციაა. რომ გახვიდე გარეთ, ნებისმიერ პატარა ბიჭს, ბავშვს შეიძლება ჯიბეში ედოს პლანი. დიდებიც ეწევიან, შეიძლება 30 წლის კაცი დადგეს 15-16 წლის ბიჭთან ერთად და მოწიოს და ეგ ყოველდღიური პრაქტიკაა. შორიდან ვისთანაც მაქვს შეხება, ძან რთულად აისახება ეგ ოჯახზე, რადგან თუ რამე შემოსავალი აქვს კაცს, ყველაფერი მაგაში მიდის და ისედაც, ფსიქოლოგიურად, რა თქმა უნდა ძან რთულია ეგეთ ადამიანთან ერთად ცხოვრება. განვითარების პერსპექტივას ეგეც კლავს - იჩლუნგებენ გონებას. სოფელში ძირითადად იყვნენ ბავშვები ახალი სკოლადამთავრებულები და პირველ-მეორე კურსელები, ბიჭები. იმის გამო იკრიბებოდნენ ყოველ საღამოს, სოფელში იმიტომ მოდიოდნენ ტყიბულიდან,

რომ დამჯდარიყვნენ და პლანი მოეწიათ. იმათ მაგის გარდა სხვა ინტერესი არაფერი არ აქვთ, ან მანქანისთვის ბენზინი რომ ქონდეთ, მაგისთვის მუშაობენ შახტაში. თავი რომ განივითარონ ამ მომავალში პერსპექტივები დაინახონ, ეგ ფაქტორი უკვე ჩამკვდარია მაგათში. ოჯახისგანაც არ მოდის შეზღუდვები სხვათაშორის. ბევრმა იცის, რომ ეწევინ მაგრამ ხელს არ უშლიან. პრობლემას ვერ ხედავენ მაგაში ალბათ და შეგუებულებიც არიან. ქმარს რომ ეგრე უყურებ, ბავშვზე მაინცდამაინც აღარ გიკვირს. მე არ მქონია შეხება, მაგრამ გოგოებიც არიან ჩართული - ნუ უფრო პატარები. ეხლანდელი თინეიჯერები. ბოლო წლებია - ლეგალიზაციის პერიოდიდან.“ ეკა, 24

ზოგადი შეხედულებები და დამოკიდებულებები

რესპოდენტ ქალთა ზოგადი კულტურული და საზოგადოებრივი შეხედულებები განსხვავდება თაობების მიხედვით, თუმცა ეს განსხვავებები არ ნაწილდება იმ ძირითადი სტერეოტიპის შესაბამისად, რომ უფრო ასაკოვანი ქალები უფრო კონსერვატორული არიან, მაგალითად, გენდერულ თანასწორობასთან მიმართებაში. კვლევისას იკვეთება, რომ ის ქალები, რომლებიც საბჭოთა კავშირშიც ცხოვრობდნენ და ახსოვთ დასაქმების, დაფასებისა და სოციალიზაციის სხვა შესაძლებლობები, დღეს ბევრად უფრო აქტიურად მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე, ვიდრე შედარებით საშუალო ასაკის ან ახალგაზრდა ქალები, რაც არ აიხსნება მხოლოდ საბაზისო პენსიის სიმწირით და ხანდაზმულობაში სიღარიბით. ისინიც კი, ვისი ქმრებიც შახტაშია დასაქმებული, მუშაობენ მიზეზულ ხელფასებზე, რადგან, როგორც ამბობენ, არ შეუძლიათ მუშაობის, საზოგადოებრივი აქტიურობის გარეშე.

ასევე, საინტერესოა, რომ დამოუკიდებელი ფინანსების აუცილებლობა და საკუთარი საქმის ქონა, როგორც ბაზისური საჭიროება ქალისთვის, ამ ქალებისთვის უფრო ორგანულად გათავისებული, შინაგანი თვისებაა, როცა, მაგალითად 30-25 წელს ქვემოთ მყოფი გოგონები ამ საკითხებს უფრო მეტად უდგებიან, როგორც მათ გარე სამოქალაქო პოზიციას, ამ გოგონების მეტყველებაში უფრო მეტად ჭარბობს ლიბერალური დემოკრატიისთვის ნაცნობი ტერმინოლოგია და ცნებები, საშუალო და ასაკოვანი ქალები კი უფრო მეტად საუბრობენ ზოგადი სამართლიანობის, თანასწორობის შესახებ.

საინტერესოა, რომ საერთო საზოგადოებრივი შეხედულებები ამ ორ ასაკობრივ ჯგუფს შორის ამ კუთხით არ განსხვავდება, თუმცა, განსხვავდება, მაგალითად, ეკონომიკური განვითარების შესახებ ხედვები. საშუალო და საშუალოზე ზედა ასაკის ქალები ქალაქის მთავარ პრობლემებად მიიჩნევენ ზოგად ეკონომიკურ კრიზისს და ხედავენ ქალაქის სოციალურ სტრუქტურას, საუბრობენ სოლიდარობის მნიშვნელობაზე, მაშინ, როდესაც შედარებით ახალგაზრდა ქალები ქალაქის მთავარ პრობლემებად ასახელებენ თავად ადამიანების

კონფორმულობას, შემგუებლობას, უფრო მეტად აქვთ განწყობა, რომ პრობლემა ინდივიდებშია და უფრო მეტად ხედავენ გამოსავალს ტყიბულის ტურისტულ განვითარებაში.

ყველა თაობის ქალები აღნიშნავენ, რომ ტყიბულში, მიუხედავად ზოგადი პატრიარქალური შეხედულებებისა, რაც ექსკლუზიურად არ არის ტყიბულისთვის დამახასიათებელი, არ არის განსაკუთრებით ცუდი სიტუაცია ქალებთან დამოკიდებულების მხრივ. რამდენიმე მათგანი აღნიშნავს, რომ დედაქალაქთან და დიდ ქალაქებთან შედარებით, ამ მხრივ, ქალაქში უკეთესი სიტუაციაა.

- *„ვერ ვიტყვოდი, რომ ქალთმომულეობაა, რაღაცა ხარვეზები არის. ძალადობის შემთხვევები ოჯახში - რა თქმა უნდა. არის კატეგორია ხალხის, რომელსაც სიმთვრალეში პათოლოგიები აქვთ, მაგრამ მაინც იშვიათია. აქ მაინც პატარა ქალაქია და ხალხი ერთმანეთს პატივს სცემს. დიდ ქალაქებშიც უკვე მივიდნენ ადამიანები იმ დონემდე, რომ შენი აზრი უნდა იქნეს გათვალისწინებული, როგორც ქალის - სექსუალური უფლებები, გენდერული თანასწორობის უფლებები და ა.შ ჩემი აზრით პატარა ქალაქებში უფროა დაცული.“ მზია, 51*

- *„მე არც ისე დამდგომია წინ ეგ ამბავი, რომ გოგო ვარ და ამის გამო რამე. პირიქით, მოტივაციას გაძლევენ უფრო. კაცია ჩვენი მენეჯერი და ის უფრო მეტ მოტივაციას მაძლევს, რომ მენეჯერი გავხდე. მეგობრებშიც ძან ჩვეულებრივია აქ - რომ გოგოები ბიჭებთან ვმეგობრობთ და ერთად დავდივართ, და არ არის პრობლემა საერთოდ. ბიჭთან ერთად რომ გაიარო, სხვაგან რომ შეიძლება მითქმა - მოთქმა მოყვეს, აქ არა. ოჯახშიც ყველა ინდივიდები ვიყავით თავიდანვე, ბავშვობიდან“ ეკა, 24*

სექსუალურ ძალადობაზე ისაუბრა მხოლოდ ერთმა, 25 წელს ქვემოთ მყოფმა რესპოდენტმა თავისივე ასაკის კაცის მხრიდან; ოჯახურ ძალადობაზე ისაუბრა ერთმა ქალმა, რომელიც აღნიშნული მიზეზის გამო ქმართან განქორწინებულია. რესპოდენტების ნაწილი ამბობს, რომ ნაკლებად ესმით ასეთი შემთხვევების შესახებ, თუმცა, რა თქმა უნდა, აღიარებენ ასეთი შემთხვევების შესაძლო არსებობას და საუბრობენ, ასევე, გამომწვევ შედეგებზე;

- *„ძალადობა და უსიამოვნება ოჯახში, ჩემი გამოცდილებით, იცის არქონამ. ეკონომიკურმა სიდუხჭირემ და უმუშევრობამ. წლები შენი შვილი რომ ითხოვს და შენ არა გაქვს, იმ ოჯახში ყოველთვის არის უსიამოვნება. 14 წელი სახლში რომ ვიჯექი, მკვდარი, ჩავარდნილი პერიოდი იყო - უფრო ადრე უნდა გამოვსულიყავი ზუსტად ამიტომაც. შვილები კი გავზარდე იმ 14 წელში, მაგრამ მაინც.“ ლალი, 55*

- *„მე ოჯახური ძალადობის გამო გავშორდი ქმარს. ჩემს სამეზობლოშიც, ქალაქშიც, სოფელშიც, ეს ხდება. და კულტურულადაც, ხშირია - შეურაცხყოფებიც. ყველაფერი ქალზე გადადის. ეს უფრო მენტალურია, ოჯახში მაგარი კაცი უნდა იყო. ოღონდ,*

მნიშვნელოვანია, რომ მარტო ტყიბულში არაა ასე, რა თქმა უნდა, ეს საერთო სენია“;
თიკო, 40

- *„ძალადობის ფაქტები გამიგია, მაგრამ ქალსაც უძალადია კაცზე, ეგეც გამიგია, და საერთოდ ეგ ყველგან ხდება. ამ ქალაქზე გამოხატულად ვერ ვიტყვოდი და პირიქით, მაგ მხრივ მგონია, რომ ძან წინ ვართ. სადაც არ უნდა მიხვიდე, სქესის გამო ტყიბულში დაწრმუნებული ვარ, არ შეგხვდება არანაირი ბარიერი არცერთ სფეროში“* ეკა, 24
- *„ჩვენთან ტყიბულში არის გენდერული თანასწორობა, სკოლამ გვასწავლა ეს, აქედან მოყოლებული ყველამ ვიცოდით რო თანაბარი ვართ, მასწავლებლებიც ასე გვასწავლიან. არის პატარა შემთხვევები, მაგრამ, საბოლოო ჯამში, შემიძლია ვთქვა, რომ აქ იციან გენდერული თანასწორობა.“* ანა, 19

ერთ-ერთი რესპოდენტი საუბრობს წინა ხელისუფლების დროს ამ მხრივ ქალაქში არსებულ სიტუაციაზე.

- *„უფრო იყო, ეგ პრობლემა, ვიდრე დღეს არის. 2000 - დან 2012-მდე, მიშას პერიოდში უფრო დომინირებდნენ კაცები, რაღაც ასეთი ამბავი იყო რომ კაცები უფრო ძლიერები ვართ. დღეს არის ასეთი ტენდენცია რომ ქალსაც აბსოლუტურად თავისუფლად შეუძლია საკუთარი აზრის დაფიქსირება და ყველაფერი.“* - მზია, 51

უსაფრთხოების, ქუჩაში გადაადგილების, ადევნების, ზოგადი კრიმინალის დონის, თვალსაზრისით, ყველა რესპოდენტი ქალი ამბობს, რომ ტყიბული ამ მხრივ უსაფრთხო, დაბალანსებული და სამართლიანი ქალაქია.

დასკვნა და რეკომენდაციები

რას ავლენს კონკრეტულად ტყიბული გლობალური უთანასწორობისა და სიღარიბის ფემინიზაციის კუთხით? რა გამოწვევების წინაშე დგას კონტექსტის უშუალო გააზრებისა და წვდომის გარეშე ადგილობრივ დონეზე ქალთა გაძლიერებისკენ მიმართული საჯარო თუ კერძო ინიციატივები?

ტყიბულში ქალთა შრომის ბაზარზე მონაწილეობის ხასიათი, მასშტაბი და გეოგრაფია ავლენს არამხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე არსებულ გამოწვევებს, არამედ ეროვნულ დონეზე არსებულ სტრუქტურულ უთანასწორობებს, რომლებიც, თავის მხრივ საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგითა და პოსტ-საბჭოთა კაპიტალისტური განვითარების მთელი რიგი თავისებურებებითაა განპირობებული. ეს პროცესები გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს ადამიანური შრომითი რესურსის მიმწოდებელ ქვეყანად აქცევს, ადგილობრივ დონეზე კი წარმოებისა და სოფლის მეურნეობის სექტორების აღორძინებაზე სწორების ნაცვლად, რაც ეკონომიკის რეალური სექტორების სტიმულირებისა და გაჯანსაღების საფუძველს შექმნიდა; ტურიზმსა და მომსახურების, ფინანსურ და სამშენებლო სექტორზე ორიენტირებული ეკონომიკა ქვეყანაში დარჩენილ სამუშაო ძალას მოლოდ ადგილობრივი ელიტებისა თუ საერთაშორისო სტუმრების მომსახურე პერსონალად აქცევს გრძელვადიან პერსპექტივაში. გადარიბებისა და სოციალური მოწყვლადობის ზრდის ტენდენცია განსაკუთრებით მოწყვლად პირობებში ქალებსა და ბავშვებს აყენებს, რომლებსაც, გარდა უშუალო მატერიალური კრიზისისა, სოციალური კვლავწარმოების მძიმე კრიზისიც უდგებათ - ხდება რა მათი ფიზიკური და ემოციური დეზინტეგრაცია, ადგილმონაცვლეობები და სხვა ფენომენები, რომლებიც ხელს უშლის ქალთა სრულფასოვან, ღირსეულ ცხოვრებასა და შრომას, თუ ბავშვთა სრულფასოვან განვითარებას.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული კონტექსტის გააზრების გარეშე, ადგილობრივ დონეზე ქალთა გაძლიერებისკენ მიმართული საჯარო თუ კერძო ინიციატივები უმეტეს შემთხვევებში უუნაროა, პირველ რიგში აღიქვას, შემდგომ კი უპასუხოს ადგილობრივ ქალთა რეალურ, ყოველდღიურ გამოწვევებსა და საჭიროებებს. ეს აცდენა ვლინდება რესპოდენტ ქალთა განწყობებში, რომლებიც ყოველდღიური ცხოვრების დონეზე ხედავენ და გრძნობენ ზემოთმოყვანილ სტრუქტურულ პრობლემებს და როგორც თავად უწოდებენ, ხშირად „უადგილოდ“ ან „არაადეკვატურად“ ეჩვენებათ მსგავს კონტექსტში ქალთა გაძლიერებისა თუ გენდერული სტერეოტიპების შესახებ შაბლონური გზამკვლევის საფუძველზე შემუშავებული ინიციატივები.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში მოქმედებს გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელსაც საკუთარი ბიუჯეტი და დამტკიცებული სამოქმედო სტრატეგია გააჩნია. გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის ანალიზი ცხადყოფს, რომ საბჭო მუშაობს საქართველოში მოქმედ თვითმმართველ ერთეულთა გენდერული თანასწორობის საბჭოებისთვის დადგენილი ერთიანი სტანდარტიზებული მიდგომებითა და სტრატეგიით და მასში

ნაკლებად ჩანს უშუალოდ ტყიბულელ ქალთა კონკრეტული და სპეფიციკური საჭიროებების ანალიზზე დაფუძნებული პოლიტიკა. მიუხედავად ძალიან მწირი წლიური ბიუჯეტისა, საბჭოს საკმაოდ ბევრი ღონისძიება აქვს დაგეგმილი, რომელთა უმეტესობაც ეხება ოჯახში ძალადობის, გენდერული და სექსუალური ძალადობის, ადრეული ქორწინებისა და სხვ. საკითხების შესახებ ტრენინგებსა და ცნობიერების ამაღლების ზომებს. გეგმაში გათვალისწინებულია ძალადობის მსხვერპლ ქალთათვის შესაბამისი დახმარების მიღების სერვისიც, ქალთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ზრდის ღონისძიებები და სხვ.

ტყიბულელ ქალებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუები აჩვენებს, რომ ზოგადი, სტანდარტიზებული მიდგომების ან მწირი ბიუჯეტის პირობებში ერთჯერადი სოციალური დახმარებების გაცემის ნაცვლად, ქალაქში მცხოვრებ ქალთათვის პირველად საჭიროებას შესაძლოა გაცილებით უფრო მეტად წარმოადგენდეს, მაგალითად, სივრცის გაჩენა, რომლის არარსებობის სიმწვავეზეც ქალები განუწყვეტლივ მიუთითებენ - სივრცის, სადაც ისინი კომუნიკაციას, ერთმანეთთან შეხვედრასა და საუბარს, გადაკვეთას შეძლებდნენ; სუფთა წყლისა და წყლის გრაფიკის პრობლემის მოგვარებაზე ფოკუსირება; ქალაქში ჯანდაცვის სისტემის პრობლემების აღმოფხვრისაკენ მიმართული ინიციატივები და გეგმიური სამედიცინო შემოწმების პრაქტიკის გაჩენაზე ზრუნვა; ქალაქში ქვანახშირის გროვების მასთან ახლოს მცხოვრებ უბნებზე რეალური ზეგავლენის გაზომვისაკენ მიმართული ინიციატივები; ქალებსა და ბავშვებზე მორგებული საქალაქო და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის დახვეწა; პროფესიული გადამზადების ერთი კოლეჯი მაინც, რომელიც ქალთათვის სხვადასხვა სპეციალობებში დახელოვნების შესაძლებლობას შექმნიდა და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, უშუალოდ ამ ქალაქში ქალთა ცხოვრების სპეფიციკის დეტალურ კვლევაზე, და შესაბამისად, არსებული საჭიროებების ცოდნაზე დაფუძნებით, ქალთა კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფებისთვის, რომლებისთვისაც განსხვავებული სახის პრობლემები იკვეთება: მაგალითად; ემიგრანტთა მოზარდი შვილებისათვის; ახალგაზრდა და საშუალო ასაკის საშინაო შრომაში ჩართული დიასახლისებისათვის, ასაკით პენსიონერი დასაქმებული ქალებისათვის, მემხატეთა ცოლებისთვის, დეზინტეგრირებული ოჯახებისთვის თუ სხვა - სპეციალურ საჭიროებათა აღიარების, სხვადასხვა კუთხით ხელშეწყობისა და კოლექტიური თვითგამორკვევის ღონისძიებების დაგეგმვა თუ შესაბამისი პოლიტიკების შემუშავებაში სწორედ ამ ჯგუფების ჩართვა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტს ზოგად, სტანდარტიზებულ ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვის ნაცვლად, შეუძლია იზრუნოს რეალურ და ხელშესახებ, ქალაქში უკვე არსებული კონკრეტული სივრცეებისა და შესაძლებლობების გამოყენების წახალისებაზე გოგონებისა და ქალებისათვის, როგორცაა, მაგალითად, მოქმედი საცურაო აუზი.

წინამდებარე კვლევამ ასევე აჩვენა, რომ სტანდარტიზებული გენდერული თანასწორობის სტრატეგიებით განსაზღვრული სახეხატები და კატეგორიები, როგორცაა, მაგალითად, ლიდერი და მეწარმე ქალები, მმართველობით პოზიციებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული ქალები და სხვ; ამ კვლევაში წარმოდგენილი არაერთი პრობლემის,

ქალაქის თავისებურებებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, არ წარმოადგენს რეალურ, სასურველ სახეხატებსა და კატეგორიებს ტყიბულელი ქალებისთვის, ვინაიდან სწორედ ეს პრობლემები, თავისებურებები და გამოწვევებია ის ფაქტორები, რომლებიც თუნდაც უკვე წარმატებულ კერძო მეწარმე ქალებს საწარმოო საქმიანობის გაფართოების, ადამიანების დასაქმების შესაძლებლობას არ აძლევს; ან, მაგალითად, საჯარო ობიექტებში მმართველობით პოზიციებზე მყოფ ქალებს იმ დონეზეც კი ვერ უქმნის ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობებს, რომ მათი ანაზღაურება რიგითი მიგრანტის შემოსავალზე გაცილებით დაბალი არ იყოს. შესაბამისად, იმის გაცნობიერების გარეშე, რომ უმეტეს შემთხვევებში, ქალაქის განვითარების ძირითადი ჩამკეტი მექანიზმები, რომლებიც არ მოდის მხოლოდ ადგილობრივი ბიუჯეტის სიმწირიდან, არამედ მთელი რიგი ეროვნული და გლობალური პრობლემებიდან, წინასწარ და სტრუქტურულად კეტავს იმ შესაძლებლობათა უდიდეს უმრავლესობას, რომლებსაც, ამ სტანდარტული გზამკვლევების თანახმად, ქალებმა ინდივიდუალურად უნდა მიაღწიონ - შესაბამისად, ქალთა საჭიროებების დეტალური გამოკვლევებისა და ქალაქის რეალური იერსახის, რეალური კონტექსტის გარეშე დაგეგმილი ინიციატივები და პოლიტიკები, ყოველგვარი კეთილი მოტივაციისა და ნების მიუხედავად, განწირულია არარელევანტურობისა და სტრუქტურულ ძალადობაზე, სტრუქტურულ უთანასწორობაზე თვალის დახუჭვისაკენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

Bhattacharya, Tithi. "Social reproduction theory: Remapping class, recentering oppression." (2017).

Federici, Silvia. "Women, globalization and the international women's movement." *Canadian Journal of Development Studies/Revue canadienne d'études du développement* 22, no. 4 (2001)

Human Rights Watch. "No Year without Deaths: A decade of Deregulation Puts Georgian Miners at Risk". (2019).

Lewis, Jane. "The decline of the male breadwinner model: Implications for work and care." *Social Politics: International Studies in Gender, State & Society* 8, no. 2 (2001): 152-169.

Lindio-McGovern, Ligaya. "Labor export in the context of globalization: The experience of Filipino domestic workers in Rome." *International sociology* 18, no. 3 (2003)

Martinez-Fernandez, Cristina, Ivonne Audirac, Sylvie Fol, and Emmanuele Cunningham-Sabot. "Shrinking cities: Urban challenges of globalization." *International journal of urban and regional research* 36, no. 2 (2012): 213-225.

Meng, Xin, and Chikako Yamauchi. "Children of migrants: The impact of parental migration on their children's education and health outcomes." (2015).

Sassen, Saskia. "The global city." *New York, London, Tokyo. Princeton University Press, Princeton, NJ.* (2001).

UNICEF. "STUDY ON QUALITY OF EARLY CHILDHOOD EDUCATION AND CARE IN GEORGIA: Summary." *Tbilisi. http://unicef.ge/uploads/Pre-school_quality_study-eng-2018.pdf* (2018).

აროშვილი, ალექსანდრა. „როგორ აქცევს ექსტრაქტივისტული კაპიტალიზმი ზრუნვას ამოწურვად რესურსად.“ *ექსტრაქტივისტული გადაკვეთები: პოლიტიკა, ეკოლოგია და სოციალური სამართლიანობა*, EMC. (2020): 51-96

ტყეზულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმა, 2019.